# დროშა

№ 8 აგვისტო 1973

ეროვნული ბიბლიოთეკა
619
1973



ეროვნული ბიბლიოთეკა



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკელი ხალხი ყველგან გულთბილად ხვდებოდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

საკდესის ფოტო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 8 (441) აგვისტო, 1973 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

© „დროშა", 1973

# მეფოლადის ერთი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეფოლადის დღიური

დღეს დილით გრიგოლ ბერეკაშვილმა მითხრა: — ავარიის მიზეზების გამომრკვევი კომისიის წევრი ხარ, საქმეს სასწრაფოდ უნდა შევუდგეთო.

გრიგოლი სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეა. მეფოლადეც კარგია, საზოგადოებრივ საქმესაც გატაცებით ეკიდება. მაგრამ დღეს ვერაფრით ვერ დავესწრები კომისიის სხდომას. დაიწყონ და მერე ჩავერთვები.

საქმე ისაა, რომ პარტბიუროს მდივანმა გამაფრთხილა: მესამე პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა დარეკა, მეფოლადეებთან შეხვედრა გვაქვს და აუცილებლად უნდა მოვიდესო.

მარტო კი არა ვარ: ზაქარია ყაველაშვილი, შოთა შუბითიძე და მიხეილ სპანდერაშვილი მოდიან კიდევ. წაუსვლელობა არ ივარგებს: მოსწავლეებს განსაკუთრებით აინტერესებთ იმ მეფოლადის ცხოვრება, ვინც ეს სასწავლებელი დაამთავრა. მათი ოცნება მეფოლადეობაა და, როცა ოცნების ფრთაშესხმას ხედავენ თუნდაც სხვაში, ეს უკვე საქმის ნახევარია. შენი მომავალი ხელობის კაცი რომ გაიმარჯვებს, გული სიამაყით გევსება და ცდილობ, თუ მეტს არა, ნაკლებს მაინც არ მიაღწიო.

— ვერც ლექციაზე დარჩები? — მეკითხება გრიგოლი, — პროფესორი კითხულობს საერთაშორისო თემაზე.

— ვერა, ვერ დავრჩები...

ამ ლაპარაკში რომ ვართ, ენვერ შანიძეს მოვკარი თვალი. აქეთ მოდის. მის დანახვაზე ყოველთვის აკადემიკოსი აკაკი შანიძე მაგონდება, რომლის წიგნებითაც ვსწავლობდი ქართულ გრამატიკას. მაგრამ ის გურულია, ენვერი კი ლაგოდეხის რაიონის სოფელ გურგენიანში დაიბადა. ალბათ წინაპარი გურული იყო. ენვერი ახალგაზრდა მეფოლადეა, ხშირად ასრულებს ფოლადმდნობელთა ბრიგადის ხელმძღვანელის მოვალეობას, თუმცა ჯერჯერობით ხელშემწყობად ითვლება. მან სწორედ მესამე პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და ახლა სიამოვნებით იგონებს იქ გატარებულ წლებს: „ჩემი ოცნება იყო ამირან ფანცულაიას, გიორგი სიგუას, თარიმან ბარბაქაძის, მიხეილ სპანდერაშვილის გვერდით ვყოფილიყავით (მეც მასახელებს, მაგრამ ამის თქმა, მართალი გითხრათ, მიჭირს, მხოლოდ გულში ვინახავ სიხარულსა და სიამაყეს).

ენვერ შანიძე ახლა მეორე ღუმელზე მუშაობს ცნობილ მეფოლადე გოდერძი ფანჩვიძესთან და ძალიან კარგი ავტორიტეტი აქვს.

არა, პროფტექნიკური სასწავლებელი ნამდვილად კარგი სკოლაა ხელობის ასათვისებლად.

აი რას ნიშნავს ექსკურსია, უნახავი ადგილების დათვალიერება! ენვერი სკოლამ ჩამოიყვანა რუსთავში ექსკურსიაზე. ძალიან მოეწონა. რომ დაამთავრა, მეტალურგთა პროფტექნიკურ სასწავლებელში შევიდა.

ორი წლის შემდეგ უკვე მარტენში იყო გრიგოლ ბერეკაშვილის ხელშემწყობად. გამოცდილი კაცის ტკბილი სიტყვა და რჩევა-დარიგება წამალივით მოუხდა.

ახლა ენვერის დევიზია — ყოველი მესამე დნობა — ჩქაროსნული! იმაზეც კი ფიქრობს, რომ ხუთი დღის გეგმა ოთხ დღეში შეასრულოს. ქარხანაში ხომ 1 400 კომკავშირელია და, ყველა რომ ენვერ შანიძესავით მუშაობდეს, რამდენს მოიგებს სახელმწიფო!..

რეზოს სასადილოდან მოსვლა დააგვიანდა: ხელფასი მოუტანიათ და რიგში მდგარა. მეც მომიხდება წასვლა და რამდენიმე წუთის დაკარგვა. შეიძლება წუთებიც არ მეყოს. თანაც ხელფასის დღე მუდამ საჭოჭმანოა როგორც ქარხანაში, ისე ქალაქში. ზოგს წესად აქვს, რომ აუცილებლად „დაასველოს", თორემ გემო არ ექნებაო. დათვრება, წესრიგს დაარღვევს, ციხეში წავა ან ცვლაში გამოვა ზარხოშად და ავარიას მოახდენს...

გუშინწინ ერთი ჩვენი ნაცნობის ცოლი ეუბნებოდა ქაშაკაშვილს: ხელფასზე მე მოვალ ხოლმე, ჩემს ქმარს ნუ აძლევთო. გურამმა იუარა: მუშას ხელფასს ვერ დავუკავებო. მაინც დაპირდა დახმარებას, რაღაცას მოვიფიქრებო...

მეფოლადე გრიგოლ ჟუჟუნაშვილს აუღია ხელფასი და ყვირილით მოდის: დნობა უნდა გამეშვა და დავაგვიანეო... ერთხელ ავარიაში მოჰყვა და თბილისში დააწვინეს. ექიმები შედიოდნენ პალატაში და კითხულობდნენ, აქ მეფოლადე წოლილა, რომელიაო. თან უკვირდათ, რა პატარაა, ეს როგორი მეფოლადე იქნებაო. მეფოლადე მათ ალბათ დევი ეგონათ...

ისევ დღევანდელი საღამო მაფიქრებს. რა და როგორ ვილაპარაკო? ყველაფერს ვერ მოედები. ამიტომ ზოგი რამ წინასწარ უნდა გაიაზრო.

საშუალო რომ დავამთავრე, მე და მამაჩემი ერთად ჩამოვედით თბილისში — უმაღლესში გვინდოდა შესვლა. მამა ფინგანში მუშაობდა, მაგრამ უმაღლესი ცოდნა არ ჰქონდა. მე დღის დასწრებულზე ვაბარებდი, ის — დაუსწრებელზე.

მამა მოხვდა, მე — ვერა (მერე კი ჩავაბარე დაუსწრებელზე).

შინ როდილა დავბრუნდი, რუსთავში ჩამოვედი და მესამე პროფტექნიკურ სასწავლებელში შევიტანე განცხადება. საერთოდ, იოლი საქმე არ მიზიდავს. ერთხანს ჭიათურაში მინდოდა წასვლა. მაღაროში ვიმუშავებ, თან ვისწავლი, სამთო ინჟინერი გამოვალ-მეთქი.

მოვიყარეთ თავი სხვადასხვა კუთხის ბიჭებმა, დავიწყეთ მეცადინეობა. ფოლადის დნობის პროცესებს ტექნიკოსები გვასწავლიდნენ; პრაქტიკაზე მარტენში დავდიოდით. ვუყურებდი შალვა კუხალეიშვილს, ამირან ფანცულაიას, ვაჟა გიგიბერიას, გიორგი სიგუას, ვანო მეტრეველს, თარიმან ბარბაქაძეს, შოთა შუბითიძეს, მიხეილ სპანდერაშვილს და მეფოლადეობა მენატრებოდა, იმ დღეს შევხაროდი, როცა მემარტენეთა რიგებში ჩავდგებოდი. აკლიმატიზაცია უკვე სასწავლებელში მივიღე, მაგრამ პრაქტიკა მაინც სხვა არის, ამის გარეშე კარგი სპეციალისტი ვერ დადგება. მოვიდა ერთხელ ახალდამთავრებული ინჟინერი, მეფოლადის ხელშემწყობად არ იმუშავა, ითაკილა, სხვა კი არაფერი იცოდა. დაწერა განცხადება, ოსტატად გამიშვითო. რა თქმა უნდა, არ გაუშვეს, მეორე დაწერა გულმოსულად, მომეცით მუშაობის საშუალებაო. მესამე დაწერა — გამათავისუფლეთო... მას დაავიწყდა, რომ კაცი, რომელიც თავის პროფესიას სათანადოდ არ ფლობს, ხელმძღვანელად არ გამოდგება.

სასწავლებელი წარჩინებით დავამთავრე და მარტენში მოვედი. ხელშემწყობად დავიწყე მუშაობა. რასაკვირველია, მესამე ხელშემწყობად. მაშინ მესამეც გვყავდა. რამდენიმე საათს ვიყავი ივანე სამცოვთან. სახელიანი კაცი იყო. მერე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. მეზობელ ღუმელზე შოთა შუბითიძე მუშაობდა. ისიც სახელიანი, მერე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. როგორღაც თვალი დამადგა. ალბათ მოვეწონე. ხელი მომკიდა, ოსტატთან მიმიყვანა და უთხრა: ეს ბიჭი ახალგაზრდა მეფოლადესთან უნდა მუშაობდესო (სამცოვი ხნიერი იყო. ახლა პენსიაზეა) და შოთამ თავის ბრიგადაში გადამიყვანა.

ერთხანს მიშა სპანძერაშვილთანაც ვმუშაობდი. ვიყავი მეორე ხელშემწყობიც, პირველიც. ერთი წლის შემდეგ მეფოლადე გავხდი, დამოუკიდებლად ვუშვებდი ნადნობს.

პროფტექნიკური სასწავლებლის გარეშე ოთხი-ხუთი წელი უნდა იმუშაო ხელშემწყობად, რომ მერე მეფოლადეობა შეძლო.

პროფტექნიკური სასწავლებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეხამებაა. ამაზე მეტყველებს მისი აღზრდილების დიდი წარმატებანი.

ბევრი მათგანი წარმოების ხელმძღვანელი, ნოვატორი, რაციონალიზატორია. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი სოციალისტური შრომის გმირებმა — გრიგოლ ბოგვერაძემ, ეთერ სოლომონიამ, შოთა ფირცხალავამ, იოსებ ხაზარაძემ, ალექსანდრა გამყრელიძემ, ნანული ჩერქეზიშვილმა, გრიგოლ დოლონაძემ, კონსტანტინე მდივანმა და მრავალმა სხვამ.

ასევეა მარტენშიც. ჩემი ბრიგადის ყველა წევრი ხომ პროფტექნიკუმელია! შოთა შუბითიძე, იური მარგალიტაძე, ჯემალ გვიმრაძე, ვლადიმერ ზედგინიძე, უშანგი ივანიშვილი. ყველას როგორ ჩამოთვლი! მაგრამ არ მინდა გვერდი ავუარო შესანიშნავ ფოლადმდნობლებს — არსენ კაკალაშვილს, ავთანდილ დოლიძეს, იოსებ ვარდიაშვილს, დავით თათარაშვილს, ზურაბ ქიაბრიშვილს, ოპერატორ ოთარ მორბედაძეს...

მეორე ღუმელზე მეფოლადე ილარიონ ტაბატაძე არ გამოვიდა ერთხელ. ავად გამხდარიყო. ევგენი ვორონკოვმა, ცვლის უფროსმა, მომკიდა ხელი, ღუმელთან მიმიყვანა და მითხრა, თუ ვერ გააკეთო, კი მაინც ნურაფერს გააფუჭებო. მოძველებული ღუმელი იყო, სარემონტო, იფიქრეს, მაინც არ ვარგა და, რაც იქნება, იქნებაო. გადავდევი თავი. არ მინდოდა სირცხვილი მეჭამა. კიდეც გამიმართლა: ჩქაროსნული გავუშვი, შვიდსაათიანი. აუჰ, როგორ გაუკვირდათ!.. ყველა ალაპარაკდა, ეს ვინ ყოფილაო!.. არავინაც არ ვიყავი, მაგრამ საქმე ვიცოდი და გულიც მტკიოდა. ასე იყო მეორე დღესაც, მესამე დღესაც...

მერე მეშვიდე ღუმელზე გადამიყვანეს. კომკავშირულ-ახალგაზრდულია, ბორის ძნელაძის სახელს ატარებს. ყველა მას შეჰყურებს, მაგალითს უნდა იძლეოდესო, ახალგაზრდული შემართება უნდა ეტყობოდესო. კიდეც გვეტყობოდა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მოვიდა მარტენში, მეფოლადეებს გვესაუბრა. განსაკუთრებით დაინტერესდა ჩვენი ღუმელით, მუშაობა მოგვიწონა, მერე ყრილობის დელეგატად ამირჩიეს. ოთხჯერ ვიყავი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი. ყრილობის პრეზიდიუმში ვიჯექი სულ...

ბევრ დელეგაციაში ვყოფილვარ. სიტყვაც მითქვამს. განსაკუთრებით ამურის კომსომოლსკი დამამახსოვრდა. ქალაქის იუბილე იყო. საქართველოდან მე და ცნობილი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ვინარი სხულუხია წავედით. სიტყვაც კარგი გამომივიდა, დროც კარგი გავატარეთ.

სიყვარულზეც უნდა ვთქვა ორიოდე ლერი...

ერთი მეფოლადის ხელშემწყობი გვყავდა, ნოდარ შენგელია, სტუმრად წავიყვანე სოფელში. მეგობრები ვიყავით, პროფტექნიკურ სასწავლებელშიც ერთად ვსწავლობდით.

---

* დასასრული. იხ. „დროშა", № 7.

1914

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ბეჯითად და მოთმინებით

ეროვნული ბიბლიოთეკა



მომავალი ოსტატები პრაქტიკულ მეცადინეობაზე.

თავისი არსებობის სამ ათეულზე მეტი წლის მანძილზე რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებმა მოამზადეს 260 ათასზე მეტი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. დღეს რესპუბლიკის 71 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში 33 ათასზე მეტი მოსწავლე ეუფლება 200 სხვადასხვა პროფესიას.

მეცხრე ხუთწლედის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად პარტიამ დასახა კვალიფიციური მუშების მომზადების საქმის გაუმჯობესება; ეს ამოცანა წარმატებით სრულდება. პროფტექნიკური სასწავლებლები ყოველწლიურად უშვებენ განათლებულ და თავიანთი საქმის მოყვარულ ახალგაზრდა მუშებს, რომლებიც თავდადებით შრომობენ სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ფირზე აღბეჭდა თბილისის № 35 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ცხოვრება. ამ სასწავლებლის აღსაზრდელები მომავალი მკერავები არიან. ისინი, სწავლასთან ერთად, ხალისიან გართობა-დასვენებასა და სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევიან.

მერე ნათესავებში წავედით — ქარელის რაიონის სოფელ სამწევრისში.

ქეიფი გაჩაღდა.

თამადა ვარ. ენავმქევრობ. ყოველ შემთხვევაში — ვცდილობ.

მეზობლებმა გაიგეს, რუსთაველი მეფოლადეები ჩამოსულანო, და დაგვიწყეს გადაპატიჟება.

შემოვიდნენ გოგოები, თითი ყელთან მიიტანეს და შეგვეხვეწნენ, ჩვენსა წამობრძანდითო.

ყანწი მიჭირავს ხელში, სად უნდა წავიდეთ! რაღა ჩვენ წამოვიდეთ, თქვენ დარჩით-მეთქი აქ, ვეუბნები. დავტოვეთ. ერთი მათგანი თვითონ ყოფილა სტუმარი — ლილი მთავრიშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პოლიკლინიკის ექთანი. გავიცანი. დავმეგობრდით...

მერე პოლიკლინიკაშიც დავდიოდი: ერთმანეთს ვხვდებოდით.

ისე დავქორწინდით, არც მე მიკითხავს მშობლებისთვის, არც — იმას. ეს არ არის კარგი, მაგრამ, თუ გაგიმართლა, მოსათმენია. თუ არ გაგიმართლა, სად უნდა გამოყო თავი!.. ჩვენ კარგად შევეთვისეთ ერთმანეთს და ბედს არ ვემდურით.

ორი კვირის ნათხოვი მყავდა, მარცხი მომივიდა: შემთხვევით ჩამოვარდა რკინა და თავში დამეცა. ღუმელის წინ წავიქეცი და სახე დავიწვი.

კარგა ხანს ვიწექი საავადმყოფოში. ლილი მადგა თავზე.

მამამ მინახულა. რძალი არ მოსწონებოდა, მაინც ეთქვა: კაია, რომ ლილი ექთანია, მას უნდა უმადლოდესო გადარჩენას. თითქოს ექთანს გარდა, ვერავინ მიშველიდა!..

ქირურგებმა მიშველეს — გივი ოდიშარიამ, გიორგი კაკოიშვილმა, ოთარ ანთაძემ. ოდიშარიას ოქრო ხელს განა ცოტა გადაურჩენია! დამიჯდებოდა სასთუმალთან და მიყვებოდა მთისა და ბარისას...

ერთხელ ასეთი რამ მიამბო: თურმე ძველად, აღმოსავლეთში, ერთმა იმპერატორმა ყველაზე სახელგანთქმული ექიმი მიიწვია თავისი მეუღლის გასასინჯად. მაგრამ იმ ქვეყნის სამეფო კარის წეს-ჩვეულების თანახმად, ექიმს უფლება არ ჰქონდა დედოფალი ენახა და ავადმყოფობა გამოეკითხა. ამით ისარგებლა პაციენტმა და მოინდომა მკურნალის ხელოვნების გამოცდა. დედოფალსა და ექიმს თეჯირი (ტიხარი) ჰყოფდა. ექიმს შეეძლო პულსი გაესინჯა, მაგრამ ისე, რომ მაჯას არ უნდა შეხებოდა. მაშინ ექიმმა დედოფალს სთხოვა ძაფის ერთი ბოლო მაჯაზე შემოერტყა, მეორე კი მისთვის მიეწოდებინა. დედოფალმა ძაფის ერთი ბოლო ექიმს მიაწოდა, მეორე კი სკამის ფეხს შეაბა. ექიმმა ძაფი მოსწია და მაშინვე წამოიძახა: „მაცდენთ, ძაფი შებმულია არა ცოცხალ არსებაზე, არამედ უსულო ხეზე“. გაოცებულმა დედოფალმა ძაფი მოხსნა სკამიდან და ახლა ძაღლის ფეხს შეაბა. ექიმმა კვლავ მოქაჩა და ნაწყენი ხმით თქვა: „თქვენ ისევ მცდით. ჩემგან შეცნობილი პულსი არ შეიძლება ადამიანის იყოს. ეს არის ცხოველის პულსი“. ექიმის სიბრძნეში დარწმუნებულმა დედოფალმა ძაფი საკუთარ მაჯაზე შეიბა. ექიმმა თქვა: „აი ახლა მე ვგრძნობ ქალის მაჯას. გავიგე თქვენი ავადმყოფობა და ამის შესახებ მოვახსენებ იმპერატორს“. მალე კი ხელმწიფეს აცნობა: „დედოფალი სრულებითაც არ არის ავად; იგი ფეხმძიმედაა და ხუთ თვეში გაჩუქებთ ვაჟს“. ექიმის წინასწარმეტყველება ახდა... აი, ეს ყოფილა მკურნალი!.. ახლა ექიმი აპარატებსაც ხმარობს, კიდეც ეხება და სინჯავს, აქედანაც აბრუნებს, იქიდანაც, მაინც ვერაფერს გებულობს ზოგჯერ...

ამას ჰყვება კაცი, რომელიც თვითონაა სამედიცინო გმირობის განსახიერება.

**კარპე მუმლაძე**



სტუმრად ვარკეთილის მეურნეობაში.



ახალგაზრდა მკერავები გულმოდგინედ უვლიან ყვავილებს.

ფოტო ა. გოგოლაძისა





დასვენების დღე.



სამხედრო სწავლების კაბინეტში.

# ენგურთან ერთი სოფელია

## სათანჯო

სათანჯოს ციხე-კოშკი მაღლობიდან გადაჰყურებს ჩემს სოფელს, მარტო ჩემს სოფელს კი არა, მთელს კოლხეთს...

საიდანაც უნდა უახლოვდებოდე მას, აფხაზეთიდან თუ გურიიდან, ერთნაირად ჩანს მისი ქონგურები.

ირგვლივ ხშირი მუხნარი და წიფლნარი არტყია.

ხნიერი ხალხისაგან გამიგონია, სათანჯო საგანგებო გვირაბით უერთდებაო ენგურის ნაპირთან აშენებულ ოცარცეს ციხე-კოშკს.

ასეთი ამბავიც მახსოვს ჩემი ბავშვობიდან: ორ ციხე-კოშკს შორის, მინდორში ძაბრის მსგავსად იყო მიწა ჩაზნექილი; იმ ადგილას იდგა ერთი ძველებური ნიგა, ანუ ხის სათლი. სოფლელები წყალს ამოიღებდნენ ხოლმე იმით. ერთხელ, თითქოს მიწამ პირი უყოო, დაიკარგა ხის ნიგა. მეორე დღეს ოცარცესთან გამორიყა იგი მიწისქვეშა მდინარემ.

ამ დღეებში კოლხურ კოშკში ვეახელი კონსტანტინე გამსახურდიას. სათანჯო და მისი შემოგარენი იკითხა მწერალმა („მთვარის მოტაცებაში" აქვს აღწერილი ეს მიდამოები).

სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი გაკაფეს და ციტრუსები გააშენეს-მეთქი, ვუპასუხე.

— მუხნარიც გაკაფეს?

— გაკაფეს, ალაგ-ალაგ დატოვეს ქარსაფარ ზოლებად.

— დიდებული ადგილია...

— მე ქართული სიტყვა მეგონა სათანჯო, ახლა წავიკითხე, თურმე უცხოური ყოფილა.

— ჰო, ზოგი მასეც ფიქრობს. „სენტ-ანჯელოსი" ხომ წმინდა ანგელოზს ნიშნავს.

— იქნებ მეგრული თანჯიდან არის ნაწარმოები...

— ეგეც შეიძლება ვიფიქროთ. რა მდგომარეობაშია ახლა ციხე-კოშკი? მე ოცდაათიანი წლების მერე არ ვყოფილვარ იქ.

დამალვა არ შემეძლო, ვუთხარი, დანგრევის პირასაა მიმდგარი-მეთქი.

— აღდგენა სჭირდება, ულამაზესი ქმნილებაა იგი, — ჩაილაპარაკა მწერალმა და რძალს გასძახა მეორე ოთახში, კონიაკი და ჩაი მომიტანეო.

## ჭუბურხინჯი

ასე ჰქვია ჩემს სოფელს.

მისი სახელის გამო ასეთ ლეგენდას გაიგონებთ აქ: სათანჯოს ფერდობებიდან დაშვებული ბაბაშიას ღალი (ღელე) ადიდებულა თურმე, გზად მომავალი ცხვრისა და თხის ფარა ორად გაუყვია და ასე გაჭენებულა ზღვისაკენ.

კიოდნენ თურმე ნაპირის ორივე მხარეზე მწყემსები და ასე ამხნევებდნენ ერთმანეთს. მდინარე კი მოაბურთავებდა ქვის ლოდებს და საშინელი ხმაურით მიჰყვებოდა გზას.

— მოვჭრათ, კაცო, ჭუბური (წაბლი) და ხინჯად (ხიდად) გავდოთ, — მოიფიქრა ერთმა გონიერმა.

წააქციეს ვეება წაბლის ხე. მისი წვერი მეორე ნაპირს მისწვდა.

ცხვრის ფარა გადაატარეს მწყემსებმა და გზა მშვიდობიანად განაგრძეს.

ვინ იცის რამდენი წელი ემსახურა წაბლის ხიდი ადამიანს...

დღეს ექსპრესები ბაბაშიას ღალზე რკინა-ბეტონის ხიდით გადადიან.

## სოფელი ფეხზე დგება

ზუგდიდ-სოხუმის გზატკეცილი მთისა და ბარის გამყოფ ხაზად გასდევს სოფელს. ბარში ჩაის, სიმინდის და თამბაქოს პლანტაციები და ყანებია, მთიან ნაწილში კი მანდარინი ხარობს.

მესამე წელია აქ კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა.

ახლა აქ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობთ შრომის არნახულ ხალისსა და წყურვილს.

ხუთწლედის მესამე წელს დიდი შემართებით შრომობენ ჭუბურხინჯელები. აქაური მეჩაიეები მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ სულ ცოტა 880 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 861 ტონისა.

ჭუბურხინჯელებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოუწვევიათ სოფელ სიდას ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი.

ჭუბურხინჯელების დირექტორი მამრიკო აბლოთია, პარტბიუროს მდივანი ნოდარ ტორუა, ადგილკომის თავმჯდომარე რომან გელოვანი და მე მინდორში მივდივართ.

პირი უცინის, სასიცოცხლო ძარღვი მაგრად უცემს სოფელს. ხნულში ჩამდგარ კაცს ძალა მომატებია მუხლში და სიხარულით გახსნია შუბლი.

— ახლა დაადგა საშველი ჭუბურხინჯს, — მახსენდება ჩემი ერთი მეზობლის გუშინდელი ნათქვამი.

— ამ კაცზე აუგის მთქმელს ვერ ნახავ, — დასძინა მეორემ.

ასე ლაპარაკობენ ჭუბურხინჯელები მამრიკო აბლოთიაზე.

სასიკეთო გზაზე რომ დგას სოფელი, ეს ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. ლურჯად ლივლივებენ ჩაის პლანტაციები. ჭილისქუდიანი ქალები და კაცები შესევიან მწკრივთაშორისებს; ზოგან „საქართველო" თუხთუხებს და ახვავებს „მწვანე ოქროს". მარჯვედ მართავს მას ეფრემ ძანძავა... მარტო ეფრემი როდია აქ კარგი მექანიზატორი, ასევე უქებენ მარჯვენას გივი ჭკადუას, ნოდარ ქირიას...

აგროუბნების უფროსებად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტდამთავრებულები მუშაობენ, ბრიგადირებად — აგროტექნიკოსები.

ჩვენ მეოთხე აგროუბანზე ვართ. ბრიგადირი ალიოშა ქორთუა გაჰყოლია ახალგადაკრეფილ მწკრივთაშორისებს და ყოველ ბუჩქს აკვირდება. ალბათ, ამოწმებს, ვინმემ ხომ არ დატოვა მოსაკრეფი ფოთოლიო.

ახლა აქ ასეთი წესი აქვთ: დილას ერთად დადგება ბრიგადა, მოჰკრეფს ჯერ ერთ ნაკვეთს, შემდეგ მეორეს და ასე შემდეგ. აქ გამორიცხულია ფოთლის გადაუხეშება და, ამავე დროს, დანაკარგიც.

სამი ბრიგადაა ამ უბანზე — მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე. ბრიგადირები: ალიოშა ქორთუა. გიორგი გამსახურდია და არჩილ კორძაია ერთმანეთს ეჯიბრებიან მაღალი საჰექტარო მოსავლის მისაღებად.

აქ თითოეული მეჩაიე ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში.

## მიწის ჭრილობა

პატარა ხევში უსახელო ღელე ჩურჩულებს, ხევს აათავებთ და იქ ვარდი დეიდა ცხოვრობს.

მეუცნაურა ახალი მაღალი ოდა-სახლი. ადრე ძველი ფიცრული მახსოვდა.

„ალბათ ვარდი დეიდას რძალმა თუ გამოიღო ხელი, ან შვილიშვილმა". ბომბორა ძაღლები მოაწყდნენ ჭიშკარს.

ბექობზე ვდგავართ და ვსაუბრობთ.

ნეშოებჩაყრილ თხრილებში რომელიღაც ჩიტი ფაჩუნობს.

მამრიკო და ნოდარმა არ იციან ამ თხრილების ისტორია, არც რომან გელოვანმა იცის.

ორმოცდაერთში მე, პირველი კლასის მოსწავლე, ვიდექი აქ და ვაკვირდებოდი, თუ როგორ თხრიდნენ მიწას ჩემი უფროსი ძმები და მეზობლები.

— აქ ტანკი უნდა გაეტიოს

— აქ ქვემეხი დაიდგმება.

— აქ კი, ტყვიამფრქვევი მოთავსდება.

ბიჭები იქვე მდელოზე დაფენილ ნახაზებს ჩააცქერდებოდნენ, მერე თხმელის გრძელ ჭოკს აიღებდნენ და ამოთხრილ ადგილს დაატოლებდნენ.

ბიჭები თამბაქოს ეწეოდნენ. თამბაქო ნესტიანი იყო და კარგად არ ეკიდებოდა, ასანთი კი ჭირდა.

ვარდი დეიდას სახლი ყველაზე ახლო იყო.

— აბა ჩვენში ყველაზე უმცროსი ვინ არის, — დაიძახებდა ერთი, როცა ყველას ჩაუქრებოდა პაპიროსი.

ყველაზე უმცროსი გვეძე იყო (მე ჯერ კაცად არ მთვლიდნენ).

გვეძე შინ შეირბენდა, უმალავდა დედას, თამბაქოს თვითონაც რომ ეწეოდა და ვარდის ყოველთვის ერთი და იგივე ესმოდა შვილისაგან: „ბიჭებმა მუგუზალზე გამომგზავნეს".

ბევრი ხანდაკი გაითხარა გვეძეს სახლის წინ.

ბიჭები ჯარში წავიდნენ.

გვეძეც წავიდა, წავიდა და დატოვა სამი თვის მოყვანილი ნორა.

ჭუბურხინჯელები — კაპიტონ ქორთუა, გვეძე ჭედია და ივანე ქაჯაია ერთად იბრძოდნენ დნეპროპეტროვსკის მისადგომებთან.

წერილი ენატრებოდა სოფელს.

გვეძეს ცოლს ბიჭი შეეძინა. სამახარობლო სროლა ატყდა ჭედიების უბანში. მისალოცად მიდიოდნენ: გაბელიები, ტაბალუები...

ბიჭს ნუგზარი დაარქვეს.

ნორა ჭედია აკვანსაც არწევდა, საქონელსაც უვლიდა და ჩაის საკრეფადაც დადიოდა.

კაპიტონ ქორთუა და ივანე ქაჯაია დაბრუნდნენ ჭუბურხინჯში, გვეძე ჭედია კი...

ომგამოვლილი კაცები სდუმან ვარდის შეკითხვაზე...

მისდევდნენ წლები წლებს. ვარდი ისევ იყურებოდა ჭიშკრისაკენ, იქნებ მთლად არ გამწირა განგებამო. ნორა, სასოფლო საბჭოს დეპუტატად მრავალგზის არჩეული მოწინავე ქალი, ისევ ჩაის პლანტაციებში იყო.

ბექობზე სამხედრო მაგიდის უფროსი დადგა და ჭიშკრისაკენ გაიხედა. ვარდის გული გადაუქანდა, აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

„ნუთუ, ნუთუ ბედნიერი ვარ?" — ამბობდა თავისთვის.

სამხედრო მაგიდის უფროსს კი ნუგზარი უნდოდა, ჯარში გაწვევის ვადამ მოუწია ჯარისკაცის შვილს.

პირნათლად მოიხადა მხედრის ვალი შვილმაც.

მის დაბრუნებას შინაურები ზეიმით შეხვდნენ.

ნუგზარი შოფერია დღეს, თვითმცლელით დააქვს ქვა-ქვიშა მშენებლობაზე; ნორა ისევ ჩაის პლანტაციაშია, ვარდი დეიდას წელთა სიმრავლე დასტყობია, ხანდაკები ისევ ჩანს ბექობზე, როგორც დიდი ხნის მორჩენილი ჭრილობა.

## პაპა იოსები

ოთხმოცისა მალე გახდება პაპა იოსები. მისი მეუღლე აგრა ათი წლით უმცროსია, ალბათ.

ცოლ-ქმარი ყოველდღე დადის ჩაის პლანტაციაში.

იოსებს ფართოფარფლებიანი ქუდი ახურავს და ასე დგას მცხუნვარე მზის ქვეშ, მის გვერდით დგას მეუღლე. ცოტა მოშორებით, რძალი ნათელა და მისი შვილები კრეფენ.

— ბრიგადირი გამოგიძახებს ხოლმე, პაპა იოსებ, თუ თქვენი სურვილით მობრძანდებით სამუშაოზე? — ვეკითხები ბერიკაცს.

— არა, შვილო ბრიგადირი არ დამიძახებს. მაგრამ შინ რა გავაკეთო. ჭიშკარი რკინისაა და რემონტი არ სჭირდება, ღობე მავთულისაა და ისიც არ დალპება. ადრე წყალი მომქონდა ენგურიდან, ახლა სათანჯოს წყაროს წყალი გვაქვს ეზოში მილებით გაყვანილი. რაღა ვაკეთო შინ?

დამშვიდობებისას ერთი შეკითხვა მოგვცა ბერიკაცმა: საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბებამ აქ ბლომად მოითხოვა ხალხი, რომელი კუთხიდან მოსულ აგრონომს არ ნახავთ აქ. ჩემი ძმისშვილი გიორგი აგრონომია, და ადგილს არ აძლევენ, რამდენად სამართლიანიაო?

მე რაღას ვეტყოდი, დირექტორმა უთხრა, სხვაგან მომუშავე ყველა ჭუბურხინჯელს გამოვუძებნით შესაფერის საქმეს, მათ შორის, თქვენს გიორგისაცო.

## ჩემი უსინათლო მეგობარი

სამი წლის კუკუ ხუბუა ენგურზე უბანავებია დედას და ტვინის ანთებით დაავადებულ ბავშვს მხედველობა დაჰკარგვია თურმე.

ახლა ორმოცის, თუ ცოტა მეტისაა კუკუ. მისი სახლისკენ მიმავალ შუკას მივუყვებით მე და ჩემი სოფლის თავკაცები; მივუყვებით და ბავშვობა მაგონდება ჩვენი.

სინათლედაკარგული კუკუ ნადირობაზე ოცნებობდა მუდამ, მამით ობოლი და უსინათლო ამხანაგი გვეცოდებოდა ბავშვებს და საქონლის სამეთვალყუროდ გასულებს დილიდან საღამომდე ხელჩაჭიდებული დაგვყავდა.

—ნახავთ, ყველას თუ არ გაჯობოთ. ლამაზ ცოლს მოვიყვან და ბევრ ბავშვებს ვიყოლიებო, — გვეტყოდა ხოლმე ყმაწვილკაცობის ზღურბლზე დამდგარი კუკუ.

ღონიერი და მამაცი ბიჭი ბარვაში ეხმარებოდა დედას, შეშის ჭრაში, ღობის შერემონტებაში, მაგრამ ჩვენ მაინც არა გვჯეროდა მისი დაოჯახების ამბავი.

ახლა კუკუს სახლთან ვდგავართ.

ერთოთახიანი სამზადის გვერდით ახალი ქვის სახლი დაუდგამს კუკუს, ეზო ლამაზად შემოუკავებია, ხეხილი ჩაუყრია.

სამი ბიჭი ჰყავს კუკუს, მეუღლე ენგურჰესის მშენებლობაზე მუშაობს, დედამისი ზინო მოხუცდა, მაგრამ კარგ ამინდში ბრიგადაში გამოდის და ხელს წაგვაშველებს ხოლმე, — გვეუბნება ჯემალ დემურია, კუკუს მეზობელი.

## ჩე ოხვამე

წარსულმა არაერთი ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული ძეგლი დაუტოვა ჩვენს თანამედროვეობას.

გელათიდან ბედიისაკენ მიმავალ გზაზე, ჭუბურხინჯში ორი მომცრო ტაძარია აშენებული. ამ ძეგლებს „ჩე ოხვამეს“ (თეთრი სალოცავი) სახელით იხსენიებს ხალხი.

სახურავჩანგრეული, ფრესკებგახუნებული, ჩუქურთმა ჩამორეცხილი, უპატრონო და უმეთვალყურეო, აი, როგორია დღეს ეს უძველესი ძეგლები.

მამრიკო აბლოთია მეუბნება, შევაკეთებთო, მაგრამ ნუთუ რესპუბლიკის კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება თავის მხრივ არ იზრუნებს ამ ძეგლებზე?

ᲘᲞᲝᲚᲘᲢᲔ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ

## ეს გაუმარჯოს...

ეს გაუმარჯოს დღევანდელ დღის
ლტოლვას, ძიებას,
ღელვას და წვას,
თავის დადება რისთვისაც ღირს,
ყველაფერს,
რაც კი გვჯერა და გვწამს.
ეს გაუმარჯოს დღევანდელ დღის
ექოს —
გატყორცნილს შორსა და შორს;
ამ საფიცარი მიწის და ცის
უთვალავ ფერს,
ლაზათს და შნოს.
ეს გაუმარჯოს დღევანდელ დღეს,
დღევანდელი დღის ზღაპარს და მითს,
საშვილიშვილო რომანს და ლექსს,
საშვილიშვილო სახლსა და ხიდს.
ეს გაუმარჯოს დღევანდელ დღეს,
ჩვენი იმედის ფესვსა და ძირს,
სამშობლოსათვის განძრეულ ხელს,
სამშობლოსათვის გატეხილ ძილს;
ძეობის ღამეს გავარდნილ თოფს,
სათიბში მარჯვედ მოქნეულ ცელს,
სამშობლოსათვის მოდენილ ოფლს,
ცრემლს,
სიხარულის
იშვიათ ცრემლს.
ეს გაუმარჯოს კირკიტა ფიქრს —
მიგნების, ძებნის
სულსა და გულს,
მართალი კაცის პირიან პირს,
მიწის ძახილის გამგონე ყურს.
ეს გაუმარჯოს გოგოს და ბიჭს,
ყველა ხელწალმართ კაცსა და ქალს,
ჩვილის პირველად გადადგმულ ბიჯს,
დედისკენ შიშით მიპყრობილ თვალს.
ეს გაუმარჯოს დღევანდელ დღის
ლტოლვას, ძიებას,
ღელვას და წვას,
თავის დადება რისთვისაც ღირს,
ყველაფერს,
რაც კი გვჯერა და გვწამს.

## კვლავ დამიძახებს

კვლავ დამიძახებს ლამაზი დარი
და გაზაფხული მესვრის სტრიქონებს.
ღია თვალებზე გადირბენს ქარი
და სიხარულის ცრემლს გაიყოლებს.
სახურავებზე გადიჯირითებს
მოდიდებული მზის ნიაღვარი
და ჩრდილებს,
როგორც საყვარელ თითებს,
მოუფათურებს ფანჯრებს ჭადარი.
და შადრევანი —
ლურჯი კანდელი
ცაში დაიწყებს
ბრწყინვას და ლიცლიცს
და სამაისო მზის ყრუანტელით
აყიყინდება ძარღვებში სისხლი.

ᲢᲐᲒᲣ ᲛᲔᲒᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

## [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე გათენდა, მზე მოდის
და ჩრდილებს ძერწავს.
დიდი ხანია
არ მინახავს ამხელა ზეცა.
ვხედავ: იმკობა
მეწამული ვარდებით ღრუბლის
კავკასიონი —
საქართველოს მაღალი შუბლი.
მივუყვები შარას
მე — ამ სოფლის სისხლი და ხორცი.
წარსულს თვალებში შევციცინებ,
ვეხვევი, ვკოცნი.
ეს მერამდენედ
სიხარულის მერევა ცრემლი.
დედის ალერსი —
უკვდავების წამალი მელის.
დიდი ხანია
არ მინახავს ამხელა ზეცა.
მზე მეფერება,
მზე ჩემს ჩრდილსაც
გულდაგულ ძერწავს.

წყაროსაკენ.

ფოტო გ. ზაქარაშვილისა.





სიმონ ჩიქოვანი და ლევან ასათიანი.

# მწერლის უბის წიგნაკიდან

## პაპის მედლები

**ს. ჩიქოვანი** (1946 წ. 2 მარტი):

— ბაბუაჩემს თურმე ჯვარ-მედალი ჰქონია. მისი სიკვდილის შემდეგ მათ მოკრძალებით ინახავდნენ ოჯახში.

რეაქციის დროს, როცა სოფელს პლასტუნები შემოესივნენ, ბაბუაჩემის ჯვარ-მედალი ჩვენებს სასოებით ბალიშზე დაუბნევიათ და მზად ჰქონდათ, როგორც ფარი.

მართლაც, როცა კაზაკები ეზოში შემოვიდნენ და სახლსაც ესტუმრნენ, ჩვენებს გამოუტანიათ და უჩვენებიათ ეს ჯვარ-მედლიანი ბალიში. მათ „ჩესტი" აუღიათ და წასულან.

ასე გადარჩენილა ოჯახი დაწიოკებას.

## მხოლოდ ერთი პირობით...

**ს. ჩიქოვანი** (15 აპრილი, 46 წელი):

— ყოველგვარი უხერხულობა შეიძლება დაუშვას პოეტმა ლექსში, მხოლოდ ერთი პირობით: ის არ უნდა სტოვებდეს უხერხულობის შთაბეჭდილებას.

## ჟურნალის სახელწოდება

**ს. ჩიქოვანი** (19 თებერვალი, 47 წ.)

— ჩვენს პირველ ფუტურისტულ ჟურნალს სახელი $H_2SO_4$ გამოუგონა აკაკი ბელიაშვილმა. ის დიდი ოსტატი იყო სახელების გამოგონებაში. გოგირდის სიმჟავის ფორმულაც მას მოაფიქრდა, რადგან მაშინ საინჟინერო ფაკულტეტის სტუდენტი იყო, ქიმია იცოდა.

## ს. ჩიქოვანი გ. ლეონიძეზე

— გიორგი ლეონიძე იმ იღბლიან პოეტების რიცხვს ეკუთვნის, რომლებშიც გარეგანი ელვარება (внешний блеск) ბედნიერად შეერთებულია ჭეშმარიტ პოეტურ ტალანტთან.

ლეონიძე შესანიშნავი პოეტია. გახსოვს მისი „ყივჩაღის პაემანი"? მომიტანეთ ლეონიძის წიგნი! (მოუტანეს). ან რა საუცხოვოა ეს ლექსი (მიკითხავს). ან კიდევ „ყივჩაღური ღამე"! აბა ყური დამიგდე (უფრო მეტის პათოსით მიკითხავს). დიდებული არ არის?!

**ნუ გამინათებ, ნურც გამიჩალებ,**
**ირმის ნახტომებს ვემარტოები;**
**შავს ყურღანებში სძინავთ ყივჩაღებს.**
**თავქვეშ უგიათ თექალთოები!**

არა, ლეონიძე ჭეშმარიტი, ნამდვილი პოეტია! მერე რამდენი ასეთი კარგი ლექსი აქვს! ბევრი!

(ვახშმად ლადო გუდიაშვილთან).

## ს. ჩიქოვანის მშობლების ოჯახი

ლიტერატურის სიყვარულს მე უნდა ვუმადლოდე ჩემს ოჯახს: მამას და ბებიას. მამა უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ დიდი მოყვარული მწერლობისა.

ბებიამ შესანიშნავად იცოდა ძველი ქართული წიგნები: რუსთაველი, გურამიშვილი, ზეპირად იტყოდა ხოლმე ადგილებს ს. გუგუნავას „თამარიანიდან".

მამაჩემმა უკანასკნელი ქონება — ხის ოდა გაყიდა და თვითონ ოჯახით სამზად ქოხში შევიდა საცხოვრებლად, რომ იმ ფულით ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შევეყვანე.

ის ოცნებობდა, რომ ჩემგან სამთო ინჟინერი გამოსულიყო.

მამა ხეიბარი იყო, ცალი ფეხი გამხმარი ჰქონდა, ყავარჯნებით დადიოდა. ლამაზი ვაჟკაცი იყო. საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა, ცხენზე რომ იჯდა.

ძალიან უყვარდა ნარდის თამაში.

(აბაშა, 31.I. 47 წ.).

## სამი მსხვერპლად შეწირული ქალი

**ს. ჩიქოვანი:**

მე რომ დავიბადე, დედაჩემი თურმე სამი დღის შემდეგ გარდაცვლილა, ის გადაჰყვა მშობიარობას.

მე ძიძისთვის მივუბარებივართ. ჩემი ძიძა, ჩიტაიას ქალი, ახალგაზრდა, ლამაზი დედაკაცი იყო თურმე. ცხოვრობდა სოფელ ტყვირში, იქ სადაც მე-14 საუკუნის ეკლესია იდგა.

ორი წლის რომ გავმხდარვარ, ძიძამ თურმე მიმიყვანა მამაჩემთან, სოფელ ნაესაკოვოში. მე აღარ ვცილდებოდი თურმე ძიძას, ვტიროდი; ამიტომ ის იძულებული გამხდარა საღამომდე მოეცადნა, სანამ დამეძინებოდა. დაძინებისას ის გამოთხოვებია ჩვენებს და გასდგომია გზას თავის სოფლისკენ. გზად მას ტყვირის ეკლესიის გვერდით უნდა გაევლო. იქ უზარმაზარი ჭადრები შრიალებდნენ.

ბნელდებოდა, მარტოკა იყო. სასაფლაოზე მდუმარება იყო. უეცრად ქალს რაღაცა მოეჩვენა თურმე. თავზარი დაეცა, თითქმის უგონოდ მიაღწია სახლს, ლოგინად ჩავარდა.

ხუთი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

მთელი თვის განმავლობაში თურმე აივანზე ვიდექი და ტირილით მოვუხმობდი ჩემს ძიძას...

შემდეგ მე მზრდიდა ბებია.

ერთხელ, როცა ცხრა წლის ვიქნებოდი, ჩემთვის მაგარი სიცხე მოუცია. ბებიას შეშინებია, ბავშვი ხელში არ შემომაკვდესო. ღამით ამდგარა, ურემი შეუბამს, აბაშას წასულა და ექიმი მოუყვანია ჩემთვის განთიადის ხანს.

ამ ფუსფუსში გაცივებულა, მეორე დღეს მე ფეხზე წამოვმდგარვარ, მაგრამ ბებია ჩაწოლილა და რამდენიმე დღის შემდეგ სული დაულევია.

ამგვარად სამი სიცოცხლე შეუწირავს ჩემს ბავშვობას.

(ღამის საუბრიდან სასტუმროში. აბაშა. 47 წ.)

## ქარვის კრიალოსანი

**ს. ჩიქოვანი:**

— ჩვენს ოჯახში ერთი ობოლი ქალი იზრდებოდა. ის გაათხოვეს ბათუმელ ვაჭარ ქადეიშვილზე. ამ ვაჭარს ძალიან ესახელებოდა ჩვენს ოჯახთან დამოყვრება. ბაბუაჩემი სიკო ჩიქოვანი მეზობლებში პატივისცემით სარგებლობდა, ასევე მამაჩემიც, თუმცა ორივენი ნაკლებადშეძლებული აზნაურები იყვნენ.

მახსოვს იმ ვაჭარმა ერთხელ დედაჩემს საჩუქრად მოუტანა შესანიშნავი ქარვის კრიალოსანი. სტამბოლში ეყიდნა შემთხვევით. მართლაც იშვიათი რამ იყო. თორმეტი ქლიავის სიმსხო ქარვა იყო ძაფზე აცმული და ორი იმავე სიმსხოს მარჯანი აბრდა.

დიდხანს ინახებოდა ეს ქარვის კრიალოსანი ჩვენს ოჯახში, როგორც ძვირფასი ნივთი. 1918-19 წლებში, მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენ ძალიან გვიჭირდა. ბავშვები პატარები ვიყავით, უმწეონი. დედა იძულებული იყო საოჯახო ნივთები გაეყიდნა სიმინდის შესაძენად.

ჯერი იმ ქარვაზეც მიდგა. დედამ ის გასაყიდად ვერ გაიმეტა. ჩვენ სოფელში ერთი მდიდარი მოსახლე იყო, ნესტორ ცომაია, იმას დაუგირავა ექვს ფუთ სიმინდზე, ახალ მოსავლამდე.

ეს ცომაია ჭიათურაში მოსაქმეობდა, შემოსავალი ჰქონდა, კარგად ცხოვრობდა. როცა დრო მოვიდა, დედამ მიმართა ამ ცომაიას, თქვენი სიმინდი მიიღეთ, კრიალოსანი დაგვიბრუნეთო, ცომაიამ უპასუხა, დიდი სიამოვნებით, მაგრამ კრიალოსანი აქ არა მაქვს, ჭიათურაში დამრჩაო. და ამის შემდეგ მუდამ რაღაც მიზეზებს იგონებდა, არ იქნა არ დაგვიბრუნა უკან. გავიდა ხანი.

ერთხელ ასეთი ამბავი მოხდა: ამ ცომაიას შვილმა ახალი ნათხოვი ქალი მიატოვა. მოყვრებმა იწყინეს, ერთ ღამეს მოვიდნენ ჩუმად და როცა ცომაიებს ეძინათ, ხის ოდას ოთხივ კუთხივ ნავთი მიასხეს, ცეცხლი წაუკიდეს, მძინარე ოჯახმა ძლივს გამოასწრო გარეთ.

და აი ამის შემდეგ, როდესაც დედამ ერთხელ კიდევ მიმართა ცომაიას კრიალოსანზე, მან მწუხარებით განაცხადა, ქარვაც, ისევე როგორც ბევრი ძვირფასი ნივთი, ცეცხლში დაგვეღუპაო.

დარწმუნებული ვიყავით სტყუოდა, მაგრამ ვერაფერი ვერ მოვუხერხეთ.

ახლაც გული მწყდება როცა მომაგონდება ეს შესანიშნავი კრიალოსანი.

(თბილისი. საღამოს, ბაღში სეირნობის დროს. I. VIII. 45 წ.).

## გერმანული ენის გაკვეთილზე

**ს. ჩიქოვანი:**

— ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გერმანულ ენას ნიკო ლორთქიფანიძე გვასწავლიდა. დიდი ზარმაცი იყო განსვენებული. პირველ გაკვეთილზე. როგორც წესი, მუდამ იგვიანებდა. კლასში რომ შემოვიდოდა, ბავშვები, მის დასანახავად, განგებ მთქნარებას დაიწყებდნენ, ნიკო ამაზე დამრიგებელი ტონით შენიშნავდა მოწაფეებს:

— ყმაწვილებო კარგად უნდა გამოიძინოთ და სკოლაში ისე მოხვიდეთ!

საგანს თითქმის არ გავდიოდით, გაკვეთილზე ნიკო უფრო სხვა თემებზე გვესაუბრებოდა. ამიტომ წლის ბოლოს თითქმის არაფერი ვიცოდით მისი საგნიდან. ნიკო გვეტყოდა ხოლმე:

— ყმაწვილებო, გახსოვდეთ, ცოტა უნდა იცოდეთ, მაგრამ კარგად.

სამწუხაროდ, ის ცოტაც არ ვიცოდით. ვერ გვასწავლიდა ნიკო. შესანიშნავი მწერალი იყო განსვენებული, მაგრამ პედაგოგად არ იყო მოწოდებული.

(ბესოსთან, ძეობაზე, როცა ჩვენს ბავშვობას ვიგონებდით. 10.VII. 45 წ.).

## უცხოელი პოეტი ს. ჩიქოვანზე

**ს. ჩიქოვანი:**

— ერთხელ ონდრა ლისოგორსკიმ დაწერა ჩემზე: „ლექსს ისე სწერს, თითქოს მერცხალი ბუდეს აშენებდესო". ძალიან კარგი ნათქვამია, მომწონს.

(ბანკეტზე რუსი მწერლების პატივსაცემად; მითხრა, როცა მისი სადღეგრძელო დალიეს. 2 VI. 47 წ.)

---

* მიმდინარე წელს შესრულდა 70 წლისთავი გამოჩენილი ქართველი პოეტის სიმონ ჩიქოვანის დაბადებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ მისი უახლოესი მეგობრის, მწერალ ლევან ასათიანის ჩანაწერებს, რომლებიც პოეტის ბიოგრაფიის ცალკეულ ეპიზოდებს ეხება. ხელნაწერი რედაქციას გადმოსცა ლევან ასათიანის მეუღლემ — თინა ასათიანმა. **რედ.**



# კარალეთის დღეები

1934 წელი... იმ ხანებში „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში ვმუშაობდი. მოსავლის აღების ცხარე დღეები იყო, როცა გორის რაიონში მივლინებით მომიხდა ჩასვლა. იმავე დღეს, კომკავშირის რაიკომის მდივანთან ერთად, სოფელ კარალეთისაკენ გავემგზავრეთ.

ივლისის კაშკაშა დღეა, მხურვალე და ნათელი. გაშლილ ველზე, გადამკილ ყანებში ჩანს ვეება ზვინები, სალეწი მანქანები. ჰაერში კი თავთავის სუნი ტრიალებს. გახურებული კალოობაა. მივყვებით აღმართს. მდინარის მახლობლად გრილი ნიავი დაქრის. კალოზე უმთავრესად ქალები და ბავშვები ტრიალებენ. მხიარულად კისკისებენ.

ცოტა მოშორებით, ფერდობზე, ვილაც ტანმაღალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი შემდგარა. ხელში გაზეთების დასტა უჭირავს. მივუახლოვდით. „ეს ხომ გალაკტიონია“, გადავუჩურჩულეთ ერთმანეთს. პოეტი დაფიქრებული გასცქერის სივრცეს. ძნელია გაარკვიო ოცნებაში წასული მგოსნის თვალთა ფერი. იგი მოლურჯო-მოიისფროცაა, მოთაფლისფროც და მომწვანო-მოცისფეროც; მასში ცის ლაჟვარდის, ლურჯი მთების და გაჭრილი პურისყანების ანარეკლია.

მოულოდნელად დავარღვიეთ პოეტის მყუდროება. მივესალმეთ, მივეხალისეთ. ჩვენმა მასპინძელმა სადილად მიიპატიჟა. მანქანაც შესთავაზა.

ის კი იდგა და იღიმებოდა. სხვა დროსაც ბევრჯერ მომიკრავს თვალი მისი ღიმილისათვის. იგი ბაგეთა კიდეზე ირიბად გაწოლილი, ხანდახან ოდნავ გამკილავი იყო.

— გმადლობთ, გმადლობთ, — თავისებურად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოილაპარაკა, — მე აქ ისე, შემთხვევით მოვხვდი, ორიოდე ნაცნობი ბილიკი მინდა მოვინახულო.

პოეტი ისევ თავის ფიქრებში ჩაიძირა. ჩვენ კი ხელი შევუშალეთ. სწრაფად დავემშვიდობეთ და კალოსაკენ გავწიეთ.

— ახირებული ხალხია ეს პოეტები, — იცინოდა ჩემი თანამგზავრი. ბილიკების სანახავად ამხელა კაცი აქ რამ ამოიყვანაო. კალოზე კოლმეურნე ქალებმა გვითხრეს, რომ ის უცხო კაცი ჩვენთანაც იყოო. ჩვენი სოფლის ახავალ-დასავალი კარგად სცოდნიაო. სალეწ მანქანებზე გვეკითხებოდა, ხომ კმაყოფილი ხართ შრომა რომ შეამსუბუქაო, ხორბლის ჯიშებზე ჩამოაგდო სიტყვა, რომელი უფრო მეტს იძლევაო, რაღაცეები ჩაიწერა კიდეცო.

მაინც რამ მოიყვანა პოეტი ამ პაპანაქება სიცხის დროს კარალეთში? — ვეკითხებოდით ერთიმეორეს. მერე მისი ცნობილი ლექსი გაგვახსენდა:

გაგონდება თუ არა,
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა,
უცხო სამოთხეები?
ისევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალები?
თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?
მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა,
აწ არ ვიცი სადა ხარ
და რომელსა მხარესა.

არ ვიცი ვინ არის ამ ლექსის ადრესატი. ან რა კავშირი ჰქონდა მას სოფელ კარალეთთან. ამას ალბათ გალაკტიონის ბიოგრაფიის მკვლევარები თავის დროზე იტყვიან. ლექსი დაწერილია 1916 წელს. თანაც ლექსში ძველი ამბავია გახსენებული. მაშასადამე, პოეტი კარალეთში 1916 წლამდე ყოფილა.

და აი, თითქმის ოცი წლის შემდეგ, ალბათ შემთხვევა მიეცა, და მიჰყვა თავისი ლექსის, თავისი განცდის ნაკვალევს. მოინახულა „გარინდებული ბილიკები და ბულბულები. „ცა ლურჯი, ასე უსაზღვროდ ლურჯი“, გაიხსენა [illegible] „მხიარული თვალები“, „სიარული მხარდამხარ“. შემდეგ ისევ დაეშვა ფერდობზე და გზას გაუდგა. შორიდან მოჩანდა „მთების ლურჯი კამარა“, მზის კაშკაშა ფერებში გახვეული ახლად გადამკილი ყანები, ბულულები, ზვინები. და ყანებს შუა გაჭრილ ვიწრო ბილიკზე ნელნელა მიმავალი ჩაფიქრებული გალაკტიონი. ზოგჯერ ზევიდან ნიავი წამოუქროლებდა, გაშლილ თეთრ ხალათს უფრიალებდა, და ისევ სწრაფად ქრებოდა. მისი ლექსი გაგვახსენდა:

— მკათათვის მზე ამწვანებულს
უვლის ველს,
აქა-იქ ჩანს დარჩენილი
კიდევ ძნა,
გაენთები მოგონებებს
უდარდელს,
დავიწყება არ იქნა და
არ იქნა.

გალაკტიონ ტაბიძე თავის ერთ ლექსში წერს: „წამყე ბეთანიისაკენ! იქ, სადღაცა ახლომახლო, არის ორბელიანების და ერეკლეს სამოსახლო“. ეს დაუცხრომელი სწრაფვა და სურვილი მშობლიურ მხარეში მოგზაურობისა, ბუნების წიაღში გაჭრისა, პოეტს ყოველთვის ჰქონდა. განსაკუთრებით უყვარდა, ისტორიულ ადგილების და ძეგლების, მწვერვალებზე აღმართული ტაძრების, ასწლოვანი ხეების და წყაროების იდუმალი გარემო. უყვარდა საკოლმეურნეო მინდვრებზე მშრომელებთან გასაუბრება, სკოლებში, პიონერთა ბანაკებში მოსწავლე ახალგაზრდობასთან შეხვედრები. სული პოეტისა მუდამ სავსე იყო ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით.

**მარგო თომაძე**

# ვაჟა თავის პროსპექტზე

ვაჟა-ფშაველა, ზვიადი მთების მკვიდრი და ქართული პოეზიის დიდება, მხოლოდ დროდადრო ჩამოდიოდა თბილისში ახალი ნაწარმოებების გამოსაქვეყნებლად, მეგობრებისა და თანამოლვაწეთა მოსანახულებლად, ან სხვადასხვა საზოგადო ხასიათის მნიშვნელოვანი გარემოების გამო.

სიცოცხლე კი აქ დაამთავრა მან, მაგრამ სამუდამო სავანედ კვლავ მთა, ერის წმინდა მთა ხვდა წილად.

ამ დღეებში გენიალური მგოსანი-მოაზროვნე თბილისის ქუჩებშიც ჩამოსახლდა თავისი სახელობის პროსპექტზე, თბილისელთა თანამოქალაქე გახდა. და, რაც მთავარია, ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავი მონუმენტით დამკვიდრდა იგი დედაქალაქში.

ვაჟას მონუმენტი მკვეთრად გამოირჩევა უკანასკნელ წლებში თბილისში დადგმულ მწერლის, კომპოზიტორისა და ისტორიული პიროვნების ყველა ძეგლისაგან როგორც თავისი პლასტიკური, ისე სახეობრივ-წარმოსახვითი ღირსებებით. რა თქმა უნდა, ისეთი მწერლის სრულქმნილი მონუმენტური სახე, როგორიც ვაჟა-ფშაველაა, შეუძლებელია შეიქმნას გარკვეული ტრადიციის შემოქმედებითი გამოცდილების ჩამოყალიბების გარეშე. ამიტომ არის, რომ აქ გვხვდება ზოგი ჩრდილოვანი (შედარებით ნაკლები ოსტატობით შესრულებული) დეტალები, ან ამა თუ იმ ცალკეული კონკრეტული ასპექტის სადავო გადაწყვეტა. მიუხედავად ამისა, გ. ოჩიაურის ვაჟა-ფშაველა, საერთოდ აღებული, მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული და, ამასთან, აბსოლუტურად განრიდებულია ყოველგვარ მიმბაძველობას, მით უმეტეს უცხოური მოდური ცალმხრივი მხატვრული ხერხებით გატაცებას.

ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, ჩვენშიც გაუჩნდა მომხრეები იმ ცნობილ, პრინციპულად მცდარ შეხედულებას, რომლის თანახმად, როგორც ყოველ პორტრეტში, ისე, კერძოდ, პორტრეტულ მონუმენტშიც წარმოსახულის მხოლოდ სული უნდა იყოს განსახიერებული, გარეგნული მსგავსება კი ზედმეტიაო. სხვა არგუმენტს რომ თავი დავანებოთ, განა მოქანდაკეს, თავისი დარგის გამომსახველობითი თავისებურების გამო, შეუძლია ისე ნიშანდობლივად განასურათოს სული, შინაგანი სამყარო, რომ გარეგნულის განზოგადებული წარმოსახვა სრულიად ზედმეტი აღმოჩნდეს ჭეშმარიტი პორტრეტის შესაქმნელად? არსებითად, „სულის პორტრეტის“ ზემოაღნიშნული პრინციპი ისეთივე მცდარი და ცალმხრივია, როგორიცაა მხოლოდ გარეგნული მსგავსების ძიება, გარეგნულის პასიური მიბაძვით გადმოცემის ნატურალისტური თეორია.

პორტრეტი უაღრესად რთული ჟანრია. განსაკუთრებით რთულია იგი მონუმენტურ ქანდაკებაში. ეს იმიტომ, რომ ამ ჟანრის ქმნილება მხოლოდ მაშინ ხასიათდება ნამდვილი მხატვრული სიმართლით და შემოქმედებით-ესთეტიკური ღირსებით, როდესაც მასში მიგნებულია ობიექტურის (წარმოსახულის) როგორც გარეგნულის, ისე სულიერ-ინტელექტუალური სამყაროსა და მოქალაქეობრივი თვისებების ორგანული მთლიანობა, ერთობლივი მართალი განსახოვნება.

გ. ოჩიაურის ვაჟა-ფშაველა სწორედ ამგვარი ღრმად რეალისტური და, რაც აგრეთვე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეროვნული მონუმენტური სახის შექმნის უაღრესად საინტერესო და თავისებურ ცდას წარმოადგენს. იგი მასთან დაკავშირებულ სათუთად გამოძერწილ კომპოზიციურ მოტივებთან ერთად, უთუოდ გვაგრძნობინებს ვაჟას „მე“-ს და პოეტის მშობლიური კუთხის თავისებურ კოლორიტსაც.

გულითადი გრძნობით ვულოცავ მგოსნის მთებისავე შვილსა და მეტად ნიჭიერ ოსტატს, გულმართალ ხელოვანს გ. ოჩიაურს ამ შემოქმედებით წარმატებას. ვუსურვებ მას მომავალში კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი, ამაღლებული და ღრმად რეალისტური ეროვნული ნაწარმოებებით დაემშვენებინოს ჩვენი თბილისი.

**მამია დუდუჩავა**

# სასიძო

ნანული გოცვაძე

მოთხრობა



ნახატები დ. ერისთავისა.

— მასპინძელო, სტუმარს არ მიიღებთ? — საშუალო ტანის, გამხდარი, თავზე შლაპაჩამოფხატული, ზურგზე ფოტოაპარატწამოკიდებული კაცი ჭიშკარს მიაწვა.

ოდა-სახლის ქვედა სართულიდან ლურჯკაბიანი მოხუცი ქალი სირბილით გამოეგება.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! — ფოტოაპარატიანმა კაცმა ჯერ ეზო შეათვალიერა და მერე მის წინ კითხვის ნიშნად ქცეულ ვასასის სალამი აღირსა.

— მე გიორგის მეგობარი გახლავართ, ქალბატონო, თბილისიდან.

— ჩემი გიორგის? — შეიცხადა ვასასიმ, — ჩემი გიორგის მეგობარი? უი, შენ გენაცვალე, ნენა, რავა გამახარე. როგორაა ჩემი გიორგი, იმას ენაცვალოს დედა!

— კარგად, ქალბატონო, ძალიან კარგად, — თქვა ახლადმოსულმა და მხრიდან აპარატი ჩამოიღო.

— მობრძანდი, ბატონო, სახლში, ამ წუთში მოვა სევასტი, აგერაა ბაღჩაში გადასული...

სტუმარმა შლაპა მოიხადა და მისმა მელოტმა თავმა მზის შუქზე ლაპლაპი დაიწყო. ერთხანს ოდა-სახლს ათვალიერებდა, მერე ეზო-კარს მიმოავლო თვალი და ვასასის შემოთავაზებულ სკამზე დაჯდა.

ვასასიმ სტუმარს წინ მეორე სკამი დაუდგა და ზედ ხილი დაულაგა, ამით თავი შეიქციეთ და მე სევასტის დავუძახებო.

ზორბა, ბეჭებში ოდნავ მოხრილი თეთრთმიანი მოხუცი თავზე წამოადგა სტუმარს. სტუმარი საფანტიკით ისროდა ბლისა და ალუჩის კურკებს. მოხუცმა ჩახველა.

— ო, დაბრძანდით, დაბრძანდით, ბატონო, — შეეგება ფეხზე წამოჭრილ სტუმარს და თვითონ სამფეხა დაბალ სკამზე ჩამოჯდა.

— რაო, ჩემმა გოგიამ, როდის ჩამოვალ სოფელშიო?

— ვერ იცლის, ბევრი სამუშაო აქვს. ხომ იცით რედაქციის ამბავი... — დაიწყო სტუმარმა.

— ჰო, გადაუვა, ბატონო, ამ რედაქციას და ძველი ჟურნალ-გაზეთების ჩიჩქნას... არა, რაცხა ხუმანიტარულია, იმას არ უნდა მიაკარო შვილი, თვარა, თლა წაგივა ხელიდან. გვეუოფოდა, ბატონო, ოჯახში ერთი პროფესორი, მაგიც დისერტაციის წერას რომ არ გადაყოლოდა.

სტუმარმა ქერაწამწამებიანი თვალები გაკვირვებით აფახულა. მერე თავისთვის ჩაეღიმა, „ხედავ, გოგიას როგორ ჰქონია ოჯახში საქმე დაყენებული“ და აიტაცა მოხუცის სიტყვა.

— დისერტაციას ახლა ყველა წერს და თქვენი გიორგი ისეთი განათლებული და კულტურული ახალგაზრდაა, ისეთი ჭკვიანი და დარბაისელი...—

სტუმარმა ჩახველა, ნერწყვი გადაყლაპა, — ჰო, იმას ვამბობდი, — გიორგი აუცილებლად, თანაც ძალიან მალე, როგორც კი საშუალება ექნება, ჩამოვა სოფელში. ასე დამაბარა.

სევასტი ერთხანს ჩუმად ათვალიერებდა სტუმარს.

— რედაქცია რომ ბრძანეთ, ახლა რომელ რედაქციაშია გიორგი?

— „სოფლის დილის“ რედაქციაში.

—რა თქვი, კაცო?—ფეხზე წამოიჭრა სევასტი,— „სოფლის დილის“ რედაქციაში? შენც იქიდან ხარ, ბიძია? აგაშენა ღმერთმა! შენ ყოფილხარ, ბიძიკო, ჩემი მხსნელი და ეგაა. დეილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი. რას აკეთებ, ბიძია, იმ ჟურნალში, თუ საიდუმლო არაა?

— მე? ფოტორეპორტიორი ვარ.

— სურათებს იღებ, ბიძიკო? ო, შენ გეიხარე შენს ცოლ-შვილში.

— მე უცოლო გახლავართ, — შეიტანა პატარა შესწორება რეპორტიორმა.

— ხომ გეყოლება, ბიძიკო. ჰოდა, ლოცვა უკვალოდ არ ჩაივლის. ადექი, ბიძიკო, და წამოდი ახლა ჩემს ბაღში, გაჩვენებ რა მიჭირს და ამის წამალს შენზე კარგად ვინ მასწავლის. შუათანა ბიჭი მყავს აგრონომი. მარა, კი იცი, ბიძიკო, შენ ახლანდელი აგრონომების ცოდნა და მარიფათი. ვერაფერი უშველა ჩვენს გაჭირვებას.

სევასტი ბლის უშველებელს ხეს მიადგა და ხელისგულზე პაწაწინა მწერი დაისვა.

— იცნობ ამას, ბიძიკო, შენ?

რეპორტიორი გაშტერდა. მიმოიხედა, მერე სევასტის შეხედა და რომ მიხვდა, ამ მწერის უცნობლობა მასპინძელს ძლიერ ეწყინებოდა, ამოილუღლუღა:

— ბუგრია.

— აგაშენა ღმერთმა! — თქვა ცოტა დუმილის მერე სევასტიმ, — ბუგრი რომაა, მაგი მეც ჭკ ვიცი, მარა რისია... რისია კი არა, რა მწერია ეს?

რეპორტიორმა მხრები აიჩეჩა.

— ეს მწერი კი არა, მოსისხლე მტერია ჩემი. ამ ხეებს რომ უყურებ, ბიძიკო, ამათთან ერთად გავიზარდე და დავბერდი, ესენი ყველა სულიერია, სანთელივით მინთია ეზოში. ახლა მოხეტა საღაციდან ეს ოხერი მწერი და ხედავ რა დღეშია ხე?

რეპორტიორს ცრემლით აევსო თვალები.

— აგაშენა ღმერთმა, კაი გულის კაცი ყოფილხარ. ასე მეცოდება მეც, ბიძიკო, ეს ხეები და დავდნი ამაზე ფიქრით კაცი. ახლა შუათანა ბიჭი თბილისში გავუშვი და ეს მწერიც გავატანე. გაიგონ იქნება რა ოხერი და ტიალია ეს დასამიწებელი.

რეპორტიორმა სევასტის მალულად მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით ზედა წამწამი თვალის ბუდეში შეასწორა და მერე გამწარებით მოისრისა.

— სურათებს იღებ ხომ, ბიძიკო? ჰოდა, ერთი სურათი ამ მწერსაც გადაუღე. მერე წერილი მენს ჟურნალში და ვინმე მცოდნე კაცს კითხე. დაწერეთ და ეგება რამე ვუშველოთ საქმეს.

— მაგას ჩემი ობიექტივი ვერ აიღებს.

სევასტი შეწუხდა.

— იხე კარგია, რომ კირით შეგითეთრებიათ. დდტ-ც მოუხდება მაგას, — განაცხადა რეპორტიორმა ავტორიტეტულად.

— დუსტი არა, ბიძიკო! თქვენსავე ჟურნალში წავიკითხე, შხამია, მავნებელია და არ მოაყაროთ, ხმარებიდან ამეიღეთო. ჰოდა, მე დავწამლო ახლა ოქროსავით ოჯახი?

სევასტი აშკარად იმედგაცრუებული გამოჟვა რეპორტიორს.

— კახეთში როგორი მოსავალი იქნება თუ იცი, ბიძიკო?

— კარგი პირი უჩანს.

— რა ვიცი, სიტყვა იყოო.

— ჰო, აგრე ამბობენ, — წაიჩურჩულა ნირწამხდარმა რეპორტიორმა და ხილს გადახედა.

— მიირთვი, ბიძიკო, პირი გაისველე. მალე ჩემი ბებრუცუნა საჭმელსაც წამოგვაწევს. ადესაქე მაქ, ჩემო ბატონო, და კაცის პადი და უვალი არ დამელევა.

რეპორტიორმა გახამებული ცხვირსახოცით თავზე ოფლი შეიშრო.

— გადაღება ეგ არაფერი, ბიძიკო, — დაუთმო სევასტიმ, — დაწერა თუ შეგიძლია რამესი. მივწერდი ჩემს გიორგის მარა, მეტყვის, მე ფილოლოგი, მეცნიერი ვარო, მასეთი რამეებისთვის კორესპონდენტები არსებობენო. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, თუ დაწერ, რამეს ბიძიკო?

— თუ ფაქტი იქნება?

— ფაქტი იქნება და მერე როგორი, — დაფაცურდა სევასტი.

რეპორტიორმა მუდმივი კალამი და ბლოკნოტი მოიმარჯვა. სევასტიმ სკამიდან ხილი მიწაზე ჩამოდგა და მარჯვენა ხელისგული გულდაგულ გადაუსვა.

— დაწერე, ბიძია, მე არავის არ მეშინია, როცა ვხედავ, საქმე ფუჭდება და ყურს არავინ აპარტყუნებს, რედაქციას კი არა, ცენტრალურ კომიტეტს მივწერ. აგერ გეტყვი ყველაფერს და მერე შენ გასინჯე, ვინაა მართალი და ვინ მტყუანი. ჩვენი ახალი თავმჯდომარე ბათლომე გობრონიძე, ახლა მაგას, ბიძიკო, ბათოს ეძახიან, ეკონომისტია სწავლა-განათლებით. ეგება ფულის ანგარიში კარგად ეხერხება მისდა სასარგებლოდ, მაგი არ ჩაწერო, ბიძიკო, საქმეს არ ეხება. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ამ ჩვენ ბათოს ნაკლებად ესმის სოფლის მეურნეობა. კი, ჩემო ბატონო, სატყუო ტექნიკუმიც კი დაამთავრა მარა... რა გინდა შენ. რაც არ იცის, არ იცის! მივედი იმ დღეს. ძალიან რომ შემაწუხეს ამ მწერებმა და ვეუბნები, კი არ ვეუბნები, მინდა ავუხსნა საქმის ვითარება. ვეუბნები — სოფლის მეურნეობას ბევრი მავნებელი ჰყავს-მეთქი, იმან თვალები დამიბრიალა და მომაძახა — ახლა ვინც



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩაიში არაა და არ კრეფს, ყველა მავნებელიაო. ამაზე შევყევით ცოტა. ბოლოს გავაგებინე რომელ მავნებელზე იყო ლაპარაკი. თუ არაფერს აფუჭებ, ბიძიკო, შენ თავზე რატომ მიიღებ ცუდ სიტყვას? ასე არაა? არც მაგია ჩვენი საქმე. ჰოდა, ბოლოს ვეუბნები: — ბატონო ბათო, აგი მავნებელი ჩემს ბაღში გაჩნდა, ვერაფერი მოვუხერხე, კოლექტივის ბაღი არც ისე შორსაა, რომ აგი მოსასპობელი ვერ მიწვდეს-მეთქი. მოდი, ერთად ვიღონოთ რამე-მეთქი? იცი, ბიძიკო, რა მითხრა? — რეპორტიორს სამზარეულოდან მონაბერი შემწვარი ქათმის სუნი ყნოსვას ულიზიანებდა და დაბინდული თვალებით უყურებდა ქადაგადდავარდნილ სევასტის.

— ეს კი ჩაიწერე, ბიძიკო, საქმისათვის საჭიროა. მე არავისი არ მეშინია. ჩვენი წინა თავმჯდომარე ვეტექიმი იყო. კოლექტივის საქონელი სულ თავის ეზოში შერეკა და რიგრიგობით ყელი გამოღადრა. იცოცხლე, სამი წელი არც ღორის, არც ხბოს და არც ციკნის ხორცი არ მოკლებია. მერე მოვიდნენ, აღწერეს და ჩასვეს. მაგი არ დაწერო, ბიძიკო, წინა თავმჯდომარის ამბავია.

— ჰოდა, ამ ბათომ მითხრა, შენს ბაღს კარგად მოუარე, მავნებელი საზოგადოებრივ ქონებას არ დაერიოს, დარგი არარენტაბელური არ გამიხადოს, თორემ სამართალში მიგცემო. ახლა მე შენ გეკითხები, ბიძიკო, რა ვასწავლო ამ გასაწყვეტ მწერს, ჩემს ხეებზე იყავით, კოლექტივისაზე არ გადახვიდეთ, თუ არა თვითღირებულება გაიზრდება და ბათო დამიჭერს-თქვა?

რეპორტიორი გამოცოცხლდა.

— მერე, ბატონო?

— რა მერე, ჩემო ბიძია. კაცს ვერ გავაგებინე, რომ თუ დიდ ბაღს შეესია ეს გასაწყვეტი, მოსპობს ხეებს. ეს არ ესმის და მოკალი. ახლა მთავარი ჩაის გეგმააო.

— მოდი, კაცო, ნუ დაასხე ეს პატიოსანი ადამიანი ამდენი ლაპარაკით, — მიიპატიჟა სტუმარი ვასასიმ.

სუფრა თანდათან ეშხში შევიდა. რეპორტიორი სულ სხვა კაცად იქცა. ენად გაიკრიფა და ლამაზი სიტყვების ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ ვასასი და სევასტი პირდაბჩენილები შეჰყურებდნენ.

ცოტა ხანში მეზობლებიც შემოუერთდნენ. ორი მოხუცებული, დარბაისელი კაცი დინჯად შეუდგა სმას.

— ჩვენი გიორგის მეგობარია, — წარუდგინა ცოტა ხნის შემდეგ სტუმარი მეზობლებს სევასტიმ.

— მაგიც მეცნიერია? — იკითხა ერთმა.

— არა, რეპროდუქტორია.

— ვინაა რეპროდუქტორი?!... — უცებ აფეთქდა რეპორტიორი. რეპროდუქტორი თქვენი გოგიაა, ენაზე რომ არაფერი ადგება...

— ვაიმე, რას ამბობს აი კაცი... — შემოირტყა ლოყაზე ხელი ვასასიმ.

— აბა რა გეგონათ. თქვენ რომ მეცნიერი გგონიათ, დისერტაციას წერსო. დისერტაციას კი არა, წერილს ვერ მოგწერს, ძლივს ვასწავლე აპარატის დაჩხაკუნება. აქ კიდევ სოფლის მეურნეობის ცოდნას მთხოვენ, უყურე შენ? — გაიქაჩა რეპორტიორი.

შემოსწრებულები დაბნეულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

— მოიცა, ბიძიკო, შენ, მოიცა, — წამოდგა სევასტი, — ჯერ ერთი, ვის სახლში ყვირი ასე მოურიდებლად. მერე, ჩემმა გიორგიმ შარშან ასპირანტურა დაამთავრა, მალე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაამთავრებს. რავა?! უკვირს ჩემს ოჯახს მაგი, თუ რაი. უფროსი ბიჭი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მყავს, უმცროსი აგრონომია, მარა, ბევრ შენისთანა თბილისელს ჯიბეში ჩაიჯენს. რა გაყვირებს აქანა, ბიძიკო. სტუმართმასპინძლობის ვალია კეთილი სიტყვა ვუთხრათ ერთმანეთს.

— გიორგის ძმა დოქტორია? — ჩურჩულით იკითხა რეპორტიორმა.

— კი, ბიძიკო, ჩემი უფროსი ბიჭი. ივანე, იგივე ვანიკო დოქტორი გახლავს. რაა ამაში გასაკვირი!

— ბოდიში, ჩვენ ალბათ შეგვეშალა, — აიწურა რეპორტიორი.

— კი, ბიძიკო, შეგეშალა, მარა ღვინის ბრალია მაგი.

— არა, ჩვენ შეგვშლია. ეს გიორგი წილოსანის ოჯახი არის, ხომ?

— არა, ბიძიკო, ჩვენ გვარჯალაძეები ვართ.

— ჩვენ ბოდიში, — წამოიწია რეპორტიორი, — დიდი ბოდიში, უკიდეგანო ბოდიში, ეს ხომ სოფელი ნიგოითია?

— არა, მაჩხვარეთია.

— მოიცა, ბიძია, გოგიე რომაა, ზოსიმე წილოსანის ბიჭი, აგი ბალანაი მისი ამხანაგი იქნება. იგი აჩხაკუნებდა ამ ზამთარს აპარატს სოფელში, — თქვა მოხუცმა მეზობელმა.

— აგაშენა ღმერთმა! ქე არ დევიზაფრე კაცი? რეპორტიორი აწრიალდა.

— დაჯექი, ბიძიკო. დღეს შენ ჩემი სტუმარი ხარ. ამაღამ აგერ გააღენე, სახლი და კარი სამყოფი მაქვს. ხვალ წადი წილოსნებისას და შენ საქმესაც მიხედე. იგი, რაც გითხარი, დაივიწყე, იმ საქმეს ჩემი ბიჭი მოუვლის. კაი დაგემართოთ. მეიტანე, ქალო ეს ღვინო, რავა საკურთხივით მოგაქვს გამოზომილი, დალიოს ამ ქალაქელმა კაცმა, მე შენ გეტყვი, ხვალ თავის ტკივილი შეაწუხებს.

— ანაგებად რომაა, არ შეაწუხებს, — ჩაიცინა მეზობელმა.

— აბა, კაცო, სადაა იმისთანა თავი, ტკივილი რომ აწუხებდეს, — დაურტყა კვერი მეორემ.

რეპორტიორმა ყურები ცქვიტა. მეზობლები უდრტვინველი სახეებით შესცინოდნენ სტუმარს.

— ახლა ვიმღეროთ, — გამოაცხადა სტუმარმა ბოლოს, — ხასანბეგურა ვიმღეროთ.

— ე, გვეშველა და ესაა. აბა, სევასტი, დაიწყე ერთი, ბანს ვლადიმერი გეტყვის, კრიმანჭულს მე გავჭიმავ, მეორე ხმაც გვყოლია და ეგაა.

რეპორტიორმა იმ საღამოს სიმღერის ისეთი ნიჭი და ცოდნა გამოამჟღავნა, რომ დილამდე ისმოდა სევასტის ეზოდან კარგი ჩახვეული გურული კრიმანჭული და სიმღერა.

— სიმღერა რომ გისწავლია, ბიძიკო, ისე სოფლის მეურნეობა გესწავლა, იმ მწერის ასავალ-დასავალს მაინც გეიგებდი, — არ ეშვებოდა სევასტი რეპორტიორს.

— გამატანეთ ის გოგო, მე მას წავიყვან, ცოლად შევირთავ, თვალისჩინივით მოვუვლი, — ლუღლუღებდა მთვრალი რეპორტიორი და ძილში შედიოდა.

სიზმარში ნათლად ხედავდა გოგია წილოსანის დას, მისთვის უცნობ დარეჯანს, რომლის სანახავადაც წამოვიდა ნიგოითში.



# ვინ არის სამართლიანი?

ერთი ძველი მეგობარი მყავს. ალექსის ეძახიან. უბრალო, უპრეტენზიო კაცია. მთელი თავისი ცხოვრება სკოლაში გაატარა, ჯერ, როგორც მოსწავლემ, სტუდენტმა, მერე, როგორც მასწავლებელმა და აღმზრდელმა.

მისი ცხოვრება იმდაგვარად მოეწყო, რომ ოჯახს ვერ მოეკიდა, ახლობელთაგან კი ყველა შემოეცალა: ზოგი ამ წუთისოფელს საერთოდ გამოეთხოვა, ზოგმაც საკუთარი ბუდე გაიკეთა და იქ გადასახლდა.

და არის ახლა ალექსი მარტო, სრულიად მარტო, შუახნის კაფანდარა კაცია, ცრიაკი თვალები აქვს და მუდამ ფუსფუსშია გართული. არასოდეს მინახავს ის უქმად, უსაქმურად.

იმ დღეს კი, — ეს საოცარი იყო, — იდგა ალექსი, იდგა პირდაპირ ქუჩაში, იქ სადაც ლაზღანდარა ახალგაზრდები იყრიან თავს... იდგა და იცდიდა, იცდიდა და იდგა. ვის უცდიდა, რად იდგა, ვერ მივხვდი. გვერდით ჩავუარე და სალამი მივეცი; არ გავჩერდი (არ უყვარს, როცა მის ფიქრებში ვინმე ფათურს შეეცდება). ფიქრი კი ამყვა ალექსიზე, ფიქრმა იცის უკიდეგანო გაქანება, ორომტრიალი, სიმძიმილი, ალტაცებაც...

ფიქრიდან ფეხის ხმამ გამომიყვანა. უკან მივიხედე, ალექსი მომდევდა, მომდევდა და არ მეხმიანებოდა, არ მეძახდა, მხოლოდ მომდევდა, ტყაპიტყუპით მომდევდა.

მივუბრუნდი სიყრმის ამხანაგს, თვალებში ღრმად ჩავხედე, იქნებ უთქმელად მეგრძნო, დამენახა, შემეტყო რამე, მაგრამ არა, ვერაფერს მივხვდი. ცრიაკი, მუდამ მოძრავი თვალები თითქმის დავიწროებოდა, თითქოს დაშრეტოდა, უძრავი გამხდარიყო.

— შენთან საქმე მაქვს, საქმე კი არა ისე, — გაჩერდა, — რაღაც მინდა გითხრა.

იქვე იყო მისი სახლი, პატარა ბოღჩასავით გამოკრულ ცქრიალა ეზოში შევედით.

— შენ გამიგებ, უნდა გამიგო, უნდა მიხვდე, შენგან ველი პასუხს, შენ მოვალე ხარ პასუხი გასცე კაცს, რომელიც გენდობა, რომელსაც სჯერა შენი... ყური მიგდე, კარგად განსაჯე და მერე მიპასუხე, ნუ დამინდობ, ნუ მომერიდები, — მითხრა მან, ვატყობდი, ღელავდა.

— ამბავი, რომელიც მინდა მოგიყვე, — გააგრძელა ალექსიმ, — დღეს და გუშინ არ დაწყებულა. ის არც დამთავრებულა. მე ერთს გეტყვი, მაგრამ ის ერთი მრავალია. ის, რაც ერთს ეხება, მრავალის სატკივარიც არის და ცოტასიც...

ამ ორი წლის წინ მერვე კლასში მომცეს გაკვეთილები, სხვა დროს ყოველთვის მეცხრე-მეათე კლასებში ვასწავლიდი. მითხრეს „დამამთავრებელი კლასია და ყველაზე მეტად შენ გენდობითო“. მეამა, რომ ნდობას მიცხადებდნენ, მესიამოვნა, ჩემი იმედი რომ ჰქონდათ, გამეხარდა, რომ მაფასებდნენ.

კლასთან ჩემი ურთიერთობა ჩვეულებრივად დაიწყო. მოსწავლეები მომენდვნენ, გამიგეს, დამიჯერეს. ახლა მოდაშია ლაპარაკი ძლიერ და სუსტ კლასებზე და რახან ძლიერი და სუსტი არის, საშუალოც უნდა იყოს. სწორედ, რომ საშუალო ძალის კლასი იყო. ისე კი, კლასში უფრო ბეჯითნიც იყვნენ და მოზარმაცენიც.

მათ შორის ერთი მოწაფე გამოირჩეოდა, თავი ყოველთვის გამომწვევად ეჭირა, მეტისმეტად განებივრებულს ჰგავდა და ცდილობდა თავი მოეჩვენებინა. უფრო მეტად თავის გამოჩენაზე ფიქრობდა, ვიდრე ცოდნის შეძენაზე...

გადიოდა დღეები. მეოთხედის ბოლოს ყველა მოსწავლეს უკვე კარგად ვცნობდი, არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ვიცოდი მათი სულიერი შესაძლებლობაც, უნარი და ისიც, თუ რომლის ცოდნა რა ნიშნით უნდა შეფასებულიყო.

და თუმცა ყველა მოსწავლის ცოდნა-არცოდნა ჩემთვის ცნობილი იყო, მეოთხედის ბოლოს მაინც ყოველი მათგანი ცალ-ცალკე შევამოწმე. და აი ის ბავშვი, რომელსაც სურდა სხვებისაგან გამორჩეულიყო ყველაფრით, ცოდნითა და, რა თქმა უნდა, მისი შესატყვისი შეფასებით, გამორჩეული არ იქნა.

ამის თქმა ასე იოლია...

სამასწავლებლოში, როცა კლასის ხელმძღვანელმა ჩემი შედეგები ნახა. პირველყოვლისა, იმ ბავშვის გვარს დაადო თითი და მითხრა:

— ალექსი, შენ ეტყობა შეცდომა მოგივიდა, ამ მოსწავლეს მეტი ნიშანი ეკუთვნის.

— არა!

— როგორ არა.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, ცოტა კიდევაც მომატებული აქვს.

— ალექსი, ხუთიანია საჭირო, ხუთიანი.

— საჭირო იქნება არის, მაგრამ რომ არ იმსახურებს!

— დაგაწერინებენ!

— ოჰო, როგორ?

— როგორ და ისე... — თქვა და გამცილდა. ერთი საათის შემდეგ დირექტორის მოადგილემ მიხმო, ამიხსნა, შემეხვეწა, მაგრამ არა, ვერ მომდრიკა. მე გული მომივიდა და შინ წამოვედი.

სალამოხანს ჩემს ბინასთან „ვოლგა“ გაჩერდა, იქიდან დაბალი, ჩაფსკვნილი კაცი გადმოვიდა და სახლიდან გარეთ გამომიხმო.

— თქვენ ბრძანდებით ალექსი? — მკითხა უდარდელად და, როცა პასუხი მიიღო, ბოდიშის მოუხდელად წინადადება მომცა:

— გავიაროთ, თქვენი გაცნობა მინდა...

— ა ბატონო ჩემი ბინა, მობრძანდით, — ღიად პატიჟი არ დასჭირდა, შემოვიდა. მიმოიხედა, არ დაჯდა, ტუჩები აპრიხა და მკითხა:

— ესაა სულ?

— რა, ბატონო?

— ასე ცხოვრობ?!

— დიახ!

— ეს თქვენ არ გეკადრებათ.

გული მომივიდა, არ ვაგრძნობინე, სკამზე მივუთითე, არ დაჯდა, მიმოიხედა კიდევ, თითქოს სახლის გასასინჯად იყო მოსული და აი რა მითხრა:

— ეტყობა გიჭირს, თუმცა მასწავლებელს ხელფასის მეტი რა გექნება! ასეთ ყოფაში ხარ და ჯიუტობ, შე კაცო? მე შენს ადგილზე ასე არ მოვიქცეოდი.

— როგორ, მაშ როგორ მოიქცეოდით?!

— ერთი სიტყვით, გავანებოთ თავი ამ იწილ-ბიწილოსა და ოკრო-ბოკროს. პირდაპირ გეტყვი, მე აქ ჩემი უფროსის ბავშვის საქმეზე მოვედი. მინდა გთხოვოთ ამ დიდი მომავლის მქონე ბავშვს წინ არ გადაუდგეთ და ღირსეული ნიშანი დაუწეროთ. იცოდე, ჩვენც ხალხნი ვართ...

...და მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი. ან როგორ უნდა გამეთვალისწინებინა, როცა მე ისეთ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელნიც წინასწარ არ ფიქრობენ რა შემთხვევაში როგორ მოიქცევიან: მან წინადადება მომცა ნიშანი ამეწია და სამაგიერო პატივისცემა მიმეღო...

მე ის სახლიდან გავაგდე.

მეორე დღეს სკოლის დირექტორმა დამიძახა, მთხოვა — „არ ღირს ამაზე აყალ-მაყალის ატეხაო“, მერე მუქარის მსგავსი რამ აღმოხდა, ხოლო მესამე დღეს იმ კლასში სხვა მასწავლებელი შევიდა, ერთი თვის შემდეგ მე სხვა სკოლაში გადავედი სამუშაოდ.

...და აი, გასულ წელს კვლავ იმავე სკოლაში გადმომიყვანეს. განათლების განყოფილებაში მითხრეს, რომ მასწავლებელი, რომელიც იმ სკოლაში მეათე კლასს ასწავლის, ავად არის. სხვა კლასებს კი მოევლება, მაგრამ მეათე კლასში რომ ასწავლის, ისეთი მასწავლებელი ვერ ვნახეთ და თქვენ უნდა იტვირთოთო. დავეთანხმე.

კლასში რომ შევედი, ნაცნობმა თვალებმა იელვეს ჩემს წინ, ნაცნობმა სახეებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება და მივხვდი, რომ სწორედ იმ კლასში ვარ, საიდანაც ამ ორი წლის წინ გამომიყვანეს. სკოლის ხელმძღვანელები შეცვლილიყვნენ. ახალმა დირექტორმა მითხრა, რომ „კლასი ძლიერია, განსაკუთრებით ერთი, რომელიც მედლის კანდიდატია, სკოლის ღირსება და სიამაყე“, და დაუფარავად ისიც თქვა, რომ ჩვენ ყველანი ვუფრთხილდებით მას, მან უნდა გვასახელოსო. ჟრჟოლამ ამიტანა. წინასწარ ვიგრძენი მომავალი უსიამოვნება. ფიქრი ფიქრს ელვის სისწრაფით მისდევდა. რა მექნა, გავცლოდი აქაურობას? რა მიზეზით. ვითომ კმაროდა მოტივები, რომელიც მე მქონდა? დამიჯერებდნენ, გამამართლებდნენ? არა და... მე სკოლაში დავრჩი.

ფრთხილად მოვსინჯე კლასის შესაძლებლობა, ბავშვები შეცვლილიყვნენ ფიზიკურად, გონებრივადაც, მაგრამ მათი შესაძლებლობა და უნარი იგივე დარჩენილიყო.

„ის“ ბავშვი, ახლა უკვე ყმაწვილი, იგივე იყო. „ის“ სხვებისაგან არაფრით განსხვავდებოდა, პირიქით, ზოგჯერ მას სხვები სჯობნიდნენ. მეოთხე მეოთხედი იყო და დღე და ღამე ვმუშაობდი. ჩამორჩენა დავძლიე, მოსწავლეები მომყვნენ, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ არც ერთი მათგანი ხუთიანს არ იმსახურებდა, ხოლო „ის“, რომლის გამო ორი წლის წინ სკოლის დატოვება მომიხდა, ოთხიანის პრეტენდენტიც არ იყო.

...იმ დღეს ადრე მივედი სკოლაში. მოსწავლეები იქ დამხვდნენ. კვირა დღე იყო, სკოლაში არავინ იყო და ჩვენ საშუალება გვქონდა, დროის ეკონომიის გარეშე, მთელ დღეს გვემუშავა. ყველა მოსწავლე სათითაოდ გამოვიძახე, ყველას ცოდნა შევამოწმე, შევაფასე და გავუშვი.

მეორე დღეს შედეგები წარვადგინე. კვლავ იგივე სცენა, ამ ორი წლის წინ რომ გაიმართა... კლასის ხელმძღვანელის აღშფოთება, დირექტორის მოადგილის გაწიწმატება, მასწავლებლების ჩურჩული, და რაც მთავარია, მყის იქ გაჩნდა მშობელი, რომელიც ჯერ მეხვეწა, მერე აღშფოთდა და მომახალა:

— ვიცი შენ რაც გინდა. ორი წლის წინათაც ასე გააკეთე. შენ ჩემი ჯავრი გაქვს. მე ამას დაგიმტკიცებ.

გული მომივიდა, უფრო იმიტომ, რომ ეს კაცი ცილს მწამებდა. მე მხოლოდ ჩემს პედაგოგიურ სინდისს ვერ ვღალატობდი, მას, ვისაც ოთხიანიც არ ეკუთვნის, ხუთიანს არ ვუწერდი და იმის მაგივრად, რომ ყველა ჩემი კოლეგა ამდგარიყო, ამხედრებულიყო და ჩემს გვერდით დამდგარიყო, პირიქით, ჩემი შეგონება დაიწყეს. ის კაცი დაამშვიდეს, გარეთ გაიყვანეს, დაპირებით — ყველაფერი მოგვარდება, ნუ ნერვიულობთ, ალექსი არც ისეთი ჯიუტი კაცია, როგორც თქვენ გგონიათ, მოიფიქრებსო.

მე კი მოსაფიქრებელი არაფერი მქონდა, მეორე დღეს დირექტორმა მიხმო





ეს ილუსტრაციები შესრულებულია ახალგაზრდა ქართველი მხატვრის ფერიდე მანაგაძის მიერ ძველი რომაელი პოეტის ვერგილიუსის (70-19 წ.წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) დიდი ეპიკური ქმნილების „ენეიდასათვის“. ეს პოემა მოგვითხრობს ტროელი ენეასის მოგზაურობასა და ომებზე და შექმნილია როგორც რომაული პარალელი ბერძნული „ილიადა“ და „ოდისეისა“. ვერგილიუსის პოემა ძველი რომის ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს.

„ენეიდას“ ქართულ ენაზე თარგმნის რომან მიმინოშვილი; წიგნი გამოდის ბერძნულ-ლათინური ლიტერატურის სერიაში, რომელსაც სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა აქვეყნებს,







# რუსუდან სიხარულიძე

რუსუდანი ათი წლისა იყო, როცა ბათუმის სპორტულ სკოლაში მივიდა. ერთი წლის შემდეგ ტანმოვარჯიშე გოგონამ საქართველოს პირველობაზე პირველთანრიგოსან სპორტსმენთა შორის ყველას აჯობა და ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა. 1967 წელს რუსუდანი პირველად გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე და საფრანგეთის ტანმოვარჯიშეებთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა მომდევნო წელს ბათუმელი გოგონა საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრების წევრი გახდა ბულგარეთში გამართულ „დინამოს" გუნდების შეჯიბრებიდან რუსუდანი 4 ვერცხლისა და 1 ოქროს მედლით დაბრუნდა

ქართველ გოგონას აღტაცებით უკრავდნენ ტაშს იაპონიასა და დასავლეთ გერმანიაში. ამერიკასა და ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთსა და იუგოსლავიაში

ამას წინათ რუსუდან სიხარულიძე მეორედ გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც, საბჭოთა კავშირის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად, რვა ქალაქში საჩვენებელი გამოსვლებით აღტაცებაში მოიყვანა მაყურებლები

ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი 19 წლისაა წინ კიდევ ახალი გამარჯვებებით აღსავსე გზაა

რუსუდანის მწვრთნელია ანგელინა გაბრიაძე.





ფოტო ს. ედიშერაშვილისა
და
მ. დათიკაშვილისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიტო შანიძე

ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ ამ სახელოვან სპორტსმენს საკმარისია გავიხსენოთ, რომ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დიტო შანიძემ ხუთჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება. მეხიკოსა და მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენმა თანამემამულემ ვერცხლის მედლები დაიმსახურა. გასულ წელს კი კონსტანცაში გამართულ ასპარეზობაში დიტო შანიძე პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვეტერანმა სპორტსმენმა თორმეტი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს 20 რეკორდი დაამყარა.

დიტო ახლა 35 წლისაა. მაგრამ ჩვეული შემართებით განაგრძობს ბრძოლას ამას წინათ ესპანეთის დედაქალაქის სპორტის სასახლის ფიცარნაგზე გამართულ ევროპის ძალოსანთა XXXII ჩემპიონატზე დიტომ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი ქვემსუბუქ წონით კატეგორიაში უძლიერესი სპორტსმენია მთელს ევროპაში.

ევროპის ორგზის ჩემპიონი დიტო შანიძე ახლა წარმატებით ემზადება მომავალ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად



ეროვნული ბიბლიოთეკა







# საქართველოს სამხედრო გზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა





ფოტო თ. არჩვაძისა
და
ი. დვალისა.

## რუთა ბეროძე

# გალაკტიონი

ჩურჩული მისი იყო ზოგჯერ თხრობა კაეშნის
ანდა დახშული ტაში, კაცის
გაოცებულის,
ვერ ეტეოდა საქართველოს მთების მკლავებში
დიდი სიცოცხლით მოცახცახე მისი სხეული.
და ვხედავ ჭაბუკს —
რიონიდან მიდის მხარულით,
ემორჩილება ოკეანის შავი ურჩხულიც...
მან იცის გზები
სამყაროსი
და სიყვარულის,
მან იცის
როგორ დაამშვიდოს ტალღა ჩურჩულით.

# სტალინგრადში

ერთი ქალი დადის ძაძით —
მხრებით მოაქვს სტალინგრადი...
ოცდაათი წელიწადი
მაღალ ბორცვთან ქალი დადის.
ტკივილი არ უნელდება,
არ შორდება გლოვა მკაცრი...
ან კი როგორ დაცხრეს დედა
დაკარგული ჯარისკაცის!
ბავშვი დგას და უტყვი ჭმუნვით
თვალის ბროლი ებინდება
და მიხაკებს ჩუმზე ჩუმი
შარიშურის ერიდებათ.

## მირიან მირნელი

# პატარა მხატვარი

ჩემს შვილს მურზაყანს

მომირბენინებ დილაადრიან
პაწია ნობათს გამოწვდილ ხელით
და ჩემს ღიმილს ან დუმილს ავდრიანს,
როგორც უტყუარ განაჩენს ელი.
აი, დავცქერი საყვარელ ნახატს:
,,წინ ფერდობია, მთებია მაღლა,
გზა მდინარისკენ სწრაფად მოკლდება,
და კაცებივით ჩადიან ახლა
ნაპირზე ხენი ცალად და წყვილად,
ალბათ წყურვილის დასაოკებლად;
,,ცა დაუპყრია ფერთა სიმრავლეს,
წყალი კი — ოქროს თევზებს და თევზებს,
სოფლის შუაში მიდის მდინარე
და, ვით ძვირფასი სამკაულები,
კოხტა სახლები შეუსხამს ფრთებზე;
,,დასკუპებულან სერზე ბუჩქები
და ტყიდან — ციურ შრიალში წვიმის —
გამოუყვიათ დათვებს დრუნჩები
ჩუმად სამზერლად თითქოსდა იმის —
ეს მოდუდუნე არსება, ნეტა,
ასე გულდაგულ როდემდე ივლის;
ხევი ივსება ნისლის სინაზით,
მიდის მდინარე — სწრაფი და ურჩი"...
და სამუდამოდ რჩება მიწაზე
სიმღერა შენი პატარა ფუნჯის.

# ტ ა ლ ღ ა

გზადაგზა ფეხქვეშ ეგება ქარი, —
მოჰყვება კვალში სინათლის თოვას
და ცის და მიწის მზიანი დარი
ზღვაში ჩაძირულ განძივით მოაქვს.

თეთრი სიმღერა — შუქი დაღვრილი
თუ აფეთქება აპრილში ნუშის —
აბრიალებულ ჩირაღდანივით
იჭრება ღამის მთვლემარე სულში.

იჭრება... სწრაფად მიფანტავს ნისლებს
შორი გზების და მზეების მიღმა,
შემდეგ ნაპირთან მაღლდება იგი,
თითქოს კვარცხლბეკზე აყენებს ვიღაც.

* * *

სიჩუმეს — მფეთქავს ღამის სიმებზე —
როს მივაჩერდი თვალდაჭყეტილი,
თითქოს გაუჩნდა ბზარი სიბნელეს, —
ცაში განათდა რაღაც წერტილი —
პაწაწკინტელა, ფეტვის ოდენა
და მაინც თვალით მისაწვდომელი,
და გამოესხა ფრთებიც როდესაც,
ჩემთვის ნათელი გახდა ყოველი. —
ის იყო სწორედ! — ვისთვისაც ძილი
გამიტყდა, თეთრი გამომერია —
ჩემი გატანჯულ ლოდინის წილად
ცით მოვლენილი თეთრი ფერია. —
კარგი დღისა და დარის ნიშანი —
ის მოფარფატდა, როგორც ფრთოსანი,
და თავს დამადგა
მარტის წვიმაში
აბრიალებულ
ტყემლის
რტოსავით.
აი, გაიბნა ირგვლივ ჭილყვავი,
ტყეებიც ცის ნამს დაუთრთვილია...
მაგრამ, ღამეო, ეს რა მიყავი:
რა დროს აყეფდა შენი ფინია!

---

და იწყო ჩემი დარწმუნება. ვერ დამარწმუნა, დამემუქრა და როცა ამანაც ვერ გასჭრა, გაიცინა, იქედნურად გაიცინა და მითხრა:

— შენ შენი გზა გაქვს, სკოლას თავისი. ვიზრუნებ, რომ გამოცდები სხვამ ძიიღოს.

ვერ მოახერხა. ეტყობა განათლების განყოფილებაში მხარი არ დაუჭირეს. იმ მოსწავლეს წლიური შეფასება მაინც ხუთიანი გამოუყვანეს.

ეს ამბავი მთელ ქალაქს მოედო. იყო ერთი მითქმა-მოთქმა. ჩემზე ამბობდნენ — „ახირებული ვინმეა, ერთხელ იმ ბავშვის მამას რაღაც უწყენინებია და სამაგიეროს შვილს უხდისო. ეგ რა პედაგოგიაო". მეორენი არ ეთანხმებოდნენ — „რა ქნას, პედაგოგია, თავის თავს ვერ ღალატობს"; მესამენი: „დიდი ამბავია ხუთი დაუწეროს, ბოდიში და კოსმოსიდან ხომ არ მოფრინდა, აქაური კაცი არ არისო" და ა. შ.

ამასობაში წერითი გამოცდა მოახლოვდა, წინა დღეს შინიდან არ გამოვსულვარ. საღამოს ტელეფონი აწკრიალდა, ყურმილი ავიღე და...

— ხვალ წერითი გამოცდაა. საჭირო არ არის ძველი სცენები. აზრზე მოდით და ყველაფერი იღონეთ. იმ ბავშვმა ხუთი უნდა მიიღოს, გასაგებია!

— გასაგებია, — ვუთხარი ავტომატურად და ტელეფონის ყურმილი ძირს დავაგდე.

იმის მიუხედავად, რომ გამოცდები მშვიდ ფსიქოლოგიურ მოვლენას არ განეკუთვნება და, რომ ჩუმი, დაძაბული, ნერვიული ვითარება სუფევს, როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის გულში, გარეგნულად ყველაფერი რიგზეა. სკოლას, კლასს, მიდამოს, საზეიმო ელფერი დაჰკრავს. თვით მოსწავლეებიც, მასწავლებლებიც საზეიმოდ არიან გამოწყობილნი. ასე იყო იმ დღესაც. წერა სპორტულ დარბაზში მიმდინარეობდა. საწერი თემა არ იყო ძნელი და ბავშვები ჩუმად მუშაობდნენ. ერთ-ერთმა ასისტენტმა კლასს ჩაუარა, მერე მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— გამოიყვანე?

— დიახ!

— მომეცით!

—რა მოგცე? მე მხოლოდ გონებაში გავიაზრე ამოცანის მსვლელობა და პასუხი!

მერე დირექტორმა გამაფრთხილა:

— ალექსი, მიეხმარე, მე გარეთ გავალ, — და მართლაც გავიდა.

რა თქმა უნდა, მე ზეზე არ წამოვმდგარვარ. მერე ისევ ის ასისტენტი შემოვიდა, მერხებს შუა ჩაიარა და იმ „რჩეულს" ჩუმად რაღაც მისცა.

ნაწერების შემოწმების დროს „ხუთი" ვერავინ დაიმსახურა. ვერც „მედლის კანდიდატმა".

კომისიის წევრები შეჩქვიფდნენ, „თავი მოგვეჭრებაო", თქვეს. მერე აზრი წარმოიშვა „ხელახლა ვაწერინოთო". დირექტორმა ეს შორს დაიჭირა — „ქაღალდი თვლითა მაქვს, ესეც არ იყოს, შეიძლება გაგვიგონ. დავიღუპებითო".

— მაშ რა ვქნათ, — ყველას ერთად აღმოხდა და მე შემომხედეს.

— ალექსი, გვიხსენი, მსგავსი მელნით ჩაასწორე, ხუთი დაწერე და ჩვენ ხელს მოვაწერთ!

— ამას არ ვიზამ...

დირექტორმა ხმას აუწია: „გვღუპავ, ერთი მედალოსანი აღარ გავუშვათ. მერე ვისი შვილია, რა მამა ჰყავს, რა დედა".

— ნიშანი ბავშვს უნდა დავუწეროთ. მას ხუთი არ ეკუთვნის.

— არ ეკუთვნის, ხუთი არც შენ გეკუთვნის.

— რა ბრძანეთ?

— ისე, ადამიანობაში არ გეკუთვნის ხუთი-მეთქი!

ამას მოჰყვა დავა, ჩხუბი, ოქმში მათ მაინც ხუთიანი შეიტანეს. მე ოქმს ხელი არ მოვაწერე.

და როცა გარეთ გამოვდიოდი, ყველამ ერთად მომაძახა: — გულქვა, ბოროტი!

მერე ეს სიტყვები იმ ბავშვმაც გაიმეორა, მერე კი ტელეფონშიც ჩამძახეს. ახლა მე გეკითხები:

— ჯერ ერთი, ვის ზრდიან ეს ვაჟბატონები და ქალბატონები, მშობლები და მათი მომხრე მასწავლებლები. ჩვენი დროის ღირსეულ მოქალაქეს, თუ სინდისიდან დაცლილ უქნარას, და მეორეც — მე განა გულქვა, ბოროტი კაცი ვარ?!

— განა ეგ საკითხავია, ჩემო ალექსი? — ვუთხარი და თვალებში შევხედე. ჩემს ძველ მეგობარს თვალები ცრემლითა ჰქონდა სავსე.

**ავთანდილ ჩხეიძე**
რესპუბლიკის დამსახურებული
მასწავლებელი.

# ციხექალაქი ხორნაბუჯი



ასეთი იყო ეს მიდამოები XIX საუკუნის დასაწყისში

ფოტო გ. სოხაშვილისა.

ხორნაბუჯი. მთავარი ციტადელის ნაშთები (ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან).



როგორც ყველა დიდი შემოქმედი სამყაროს წარმოსახვისას ერთგვარ საყრდენს რეალურად არსებულ ობიექტებსა და მოვლენებში ხედავს, დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი ციხე-ქალაქებიც მიგვანიშნებენ იმ დროის საქართველოს ნაგებობებსა და სიმაგრეებს.

„ვეფხისტყაოსანში“ სამი გრანდიოზული ციხე-ქალაქი გვხვდება. რომელთაგან ერთი ტარიელის, მეორე ავთანდილის, მესამე ქაჯეთის მეფის საპატრონოს წარმოადგენს.

პირველი ციხე-ქალაქის შესახებ თვითონ ტარიელი ამბობს: **„ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი“** (552)[1], რომელიც უეჭველია, ტარიელის მამის „მეშვიდე სამეფოს“ მიწაწყალზე მდებარეობდა, სანაპირო ზონაში; სარიდანი ხომ თვითონ ამბობდა: „წამიღია მტერთაგან ძლევით **ნაპირთა არებით**“. (308).

მეორე ციხე-ქალაქის შესახებ თვითონ რუსთაველი გვაუწყებს, რომ ავთანდილს ჰქონდა **„ქალაქი მაგარი საზაროდ სანაპიროსა, გარე კლდე იყო.** გიამბობ ზღუდესა უქვიტკიროსა“. (148). მისგანვე ვიგებთ, რომ ამ ციხე-ქალაქის შემოგარენი შესანიშნავი სანადირო ადგილები იყო (148). ციხე-ქალაქის დაბლა გაშლილ ველამდე, რომლის შორიახლო სახელმწიფოს საზღვარი გადიოდა, შამბნარიანი ჩასასვლელები იყო (168, 169, 176).

მესამე ციხე-ქალაქის (1230) დახასიათებას ნესტან-დარეჯანისა და ფრიდონის ნაამბობიდან ვიგებთ: ტარიელის ციხე-ქალაქივით იგიც **„მტერთაგან უბრძოლელია“** (1230) და ავთანდილის ციხე-ქალაქის მსგავსად აქაც **„ყოვლგნით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების“** (1374, 1377). ციხე-ქალაქის **„შიგან კლდე მაღალი და გრძელია“** (1230), მასზე აღმართულია ციტადელი, რომლის წვერიდან „თვალნი ვერ გარდასწვდებიან“ (1287). ამ ციტადელში ასვლა მხოლოდ გვირაბით (ხვრელით) შეიძლება.

ახლა თუ ამ დეტალებს ღრმად ჩავუკვირდებით და ამ ნიშნების მქონე ობიექტების მონახვას შევეცდებით, არ უნდა დავივიწყოთ პირველყოვლისა ის, რომ იგი კლდეებით შემოჯარული სახელგანთქმული მონაპირე ციხე-ქალაქი უნდა იყოს სამი კარით, შუაგულში აღმართული მაღალი და გრძელი კლდით, რომელზედაც ციტადელი იქნება დაფუძნებული, მის წინ უნდა იყოს ვრცელი და უხვი სანადირო შემოგარენი. ასეთი კი იყო ძველი საქართველოს სანაპირო ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი. ყველა ჩვენგანს შეუძლია დღესაც დაათვალიეროს კლდეების უწყვეტი ზღუდით შემოფარგლული მისი ნანგრევები, შუაგულში აღმართული მაღალი და გრძელი კლდით, რომლის მწვერვალზე დღემდეა შემონახული ციტადელის ნაშთები. მის წინ გადაშლილია დიდებული ალაზნის ველი. ხორნაბუჯის აყვავების ზენიტი სწორედ რუსთაველის ხანას დაემთხვა. უფრო ადრე (IV ს.) იგი გადაქცეულა ბაგრატიონთა ერთ-ერთ პირველ საბრძანებლად. (იხ. სუმბატ დავითის-ძე, ქართლის ცხოვრება, I. 1955 წ. გვ. 373, 374). თამარის დროს კი იგი წარმოადგენდა „მახატლის ძეთა“ რეზიდენციას. ამ ერისთავთა სახელის ხსენება თავზარს სცემდა მოსაზღვრე ქვეყნებს, მათი შიშით, როგორც მემატიანე ამბობს, განძისა და ბარდავის მხარეებში „ყრმა ვერ დუტირდებოდა დედისა“. („ქართ. ცხ.“, II, 1959, გვ. 130).

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერაში“ მითითებულია, რომ ხორნაბუჯს **„კლდესა ზედა შენი არს ციხე მაგარი, და იყოცა ქალაქი კარგი“**, რომლის პროვინციის მცხოვრებნი იყვნენ „კაცნი მბრძოლნი, მხნენი, ახოვანნი, შემმართებელნი, მაგარნი, მიმყოლნი ურთიერთთა“.

როდესაც მონგოლთა მიერ ოთხასი წლის წინათ განადგურებული ქალაქი ხორნაბუჯის ნანგრევთა შუაში ობლად დარჩენილ ციტადელს შაჰ-აბას I-ის ბრბოები შემოერტყნენ, ამ ტირანის მხლებელმა ისქანდერ მუნშიმ თავის „ისტორიაში“ ჩაწერა: „იმ ციხეს რომ წვიმის წყლით ასავსები ამბრის გარდა, ერთი წყაროც ჰქონოდა, ვერც ერთი დიდებული ხელმწიფე ვერ დაიპყრობდა“ (იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 110). მუნშის ცნობით ამ დროს თურმე კვლავ არსებულა ციტადელის თავისაკენ აღმავალი კლდეში ამოკაფული ან ჩაშენებული კიბის 560 საფეხური. თითო მათგანის სიგანედ რომ 25, ხოლო სიმაღლედ 15 სანტიმეტრი მივიჩნიოთ, კიბის საერთო სიგრძე 170 მეტრი გამოვა, ხოლო სიმაღლე (შვეულად) — 84 მეტრი. ხორნაბუჯის ციტადელის კლდეზე ამ ღია კიბისა და ძველი გვირაბის (ხვრელის) ფრაგმენტებია შემორჩენილი, კლდის სიმაღლე კი, რასაკვირველია, კვლავაც უდრის 28-30 სართულიან სახლს. ამ თვალშეუწვდენელი კლდის ირგვლივ შემზარავად არის შემოჯარული გამოქვაბულ-ნაპრალებიანი კლდეესის ზღუდე. ქაჯეთის ციხე-ქალაქივით მასაც სამი კარი უნდა ჰქონოდა — ერთი თანამედროვე წითელიწყაროს მხრიდან ჩასავალში, მეორე ალაზნის ველის მხრიდან ამოსასვლელში, მესამე კი სადღაც ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანში, სადაც „უქვიტკირო ზღუდეში“ სუსტი ადგილები შეინიშნება. ამ დეტალების დაზუსტებას უეჭველია შეძლებს ციხე-ქალაქი ხორნაბუჯის შემსწავლელი ექსპედიცია, რომელმაც მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გადაწყვეტილებით ამ ორი წლის წინათ დაიწყო მუშაობა.

გამორიცხული არ არის, რომ ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე და მეტწილად მხოლოდ მქუხარე საბრძოლო ამბებით ცნობილი ესოდენ უცნაური სახელწოდების მქონე „მაგარი“ და „დიდებულ ხელმწიფეთათვისაც“ მიუწვდომელი ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი საფუძვლად დაედვა „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრულად გარდასახულ ციხე-ქალაქებს.

**ივანე შაიშმელაშვილი**

---

1 ტაეპების ნუმერაცია მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით.

**ფრანსუა რაბლე**

# გარგანტუა და პანტაგრუელი

„საბჭოთა საქართველო“ მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სერიაში გამოსაცემად ამზადებს დიდი ფრანგი მწერლის **ფრანსუა რაბლეს** (1494-1553 წ.) გენიალურ რომანს — **„გარგანტუა და პანტაგრუელს“**. წიგნს ქართულ ენაზე თარგმნის **გურამ გოგიაშვილი.**

რაბლეს წიგნმა, განვლილი ხუთი საუკუნის მანძილზე, უზარმაზარი როლი შეასრულა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. „რაბლე — ჩვენი საერთო მასწავლებელია“, ამბობდა ბალზაკი. რაბლე ევროპული რენესანსის დიდი აღმავლობის მაუწყებელი იყო, ისე როგორც იტალიელი გენიოსის „ღვთაებრივი კომედია“ იდგა ამ რენესანსის სათავეებთან. „ორივე ეს წიგნი თავისი ჩაწვდომით — ენციკლოპედიებია, — ნათქვამია რაბლეს რომანის ახალი რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში, — დანტეს პოემა — პათეტიკური, რაბლეს რომანი — ირონიული. ერთიც და მეორეც — მებრძოლი წიგნებია, მიმართული ძველის წინააღმდეგ... საბჭოთა საზოგადოებისათვის რაბლე — ერთი უდიდესი მხატვარია წარსულისა. რომელმაც გაიგო ამ ცხოვრებისეული სიმართლის შეგრძნობით დიადი ღირებულება, რომელიც აქვს ხალხის მასებს. ეს შეგნება აძლევს რაბლეს ძალასა და სიმამაცეს რეაქციასთან საბრძოლველად და ასაზრდოებს მის ტემპერამენტს, რომელიც ეხმარება მწერალს შექმნას თავისი უკვდავი რომანი. რაბლეს სიცილს, რომელმაც შეარყია ბნელეთისა და კაცთმოძულეობის საყრდენები, არსად არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი გადამდები ძალა, როგორც ჩვენს საზოგადოებაში, რომელმაც საბოლოოდ დაამსხვრია ეს საყრდენები“.

ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ ცალკე ფრაგმენტებს რაბლეს რომანის პირველი წიგნიდან, რომელსაც ეწოდება **„ამბავი საზარელი ცხოვრებისა პანტაგრუელის მამის დიდი გარგანტუასი, ოდესლაც შეთხზული მაგისტრ ალკოფრიბას ნაზიესაგან, რომელიცა იყო გამომდენი კვინტესენციისა, წიგნი, აღვსილი პანტაგრუელიზმით“.**

## სილოდა, ანუ მთვრალთაგან უბნობა

როკვით გული რომ იჯერეს, მერმე ისევ სუფრა მოესურვათ — ბარემ პურიც აქვე, ჰაერზე ვჭამოთო. თქმა და გაშლა ერთი იყო. შეიქნა ბოთლთა ბზრიალი, ბარკალთ ტრიალი, სასმის-საწდეთა წკრიალი.

— დამისხი, დამალევინე!

— სული ნუ დამალევინე!

— სუფრას არ აგარევინებ!

— არცა წყალს გაგარევინებ!

— წყალი რათ მინდა, გენაცვალე, ღვინო დაასხი!

— ეგრე იყოს, მომე სასმისი!

— აჰა, მიდი, კლარეტი ჩამოუშვი! წვეთი არ დამაკლო, იცოდე!

— ვისაც სწყურის, ღმერთმა შეარგოს!

— თავს აქაც არ გამანებებ, ციებასავით რომ ჩამაცივდი!

— რა ვქნა, რაღაც ყელში არ ჩადის, რა ჩემი ბრალია!

— ვითომ რა, უქეიფოდა ხარ, შემოგევლე?

— შენმა მზემ. კარგად ვერა ვარ.

— თარალალი, თარანანო, ღვინის ჭირიმეო!

— პაპის ჯორისა არ იყოს, ვიცი, როდის უნდა ვსვა და დავლიო.

— მე იმ ჩვენი ბერივითა ვარ, არაფერი მეშლება: არცა სმა, არცა ქეიფი, არცა კითხვა ჟამნისაო.

— ნეტავი მაცოდინა, რა უფრო ადრე გაჩნდა: მწყურვალება თუ სამწყურვალო?

— უწყურვილოდ აბა ვინ დალევდა, შე კაი კაცო, თანაც წინანდელთა ამბავი არ იცი, ბალღნივით გაურყვნელნი იყვნენ!

— არც ეგრეა საქმე, შენ რო გგონია, ჯერ სასმელია გაჩენილი ამ ქვეყანაზე, ვინაიდან და რადგანაც... მე უფრო დამეჯერება, მღვდელთაგანი ვარ.

— ჩვენც ბალღნი ვართ, უმანკონი, უწყურვილოდ ვყლურწავთ.

— თქვენი არ ვიცი და მე ღმერთმა დამიფაროს. ეგების მაგრა არცა მწყურიან ხოლმე, მაგრამ ცოტაცოტაობაში მინდება კიდეც. თუ არ დალევ, რა მოგწყურდება? გამიგე, გენაცვალოს ჩემი თავი? სიფხიზლეს რა ჰკუა აქვს? სიცოცხლე ღვინოშია!

— მაშ დაასხი, დავლიოთ! ჩვენი წუთისოფელი სულ ღილინში გავლიოთ!

— დაიცა, ძმაო, ჯამი რა მექნა, ვინ ამწაპნა?

— ჯამს ვინ ჩივის, მე ღვინოსაც აღარ მისხამენ.

— შენ რა, ყელის სიმშრალე ხომ არა გაქვს? მაგას სისველე მოუხდება, მართალი ხარ.

— მაგდენი აღარ ვიცი, ოღონდ სმა თუა, სმა იყოს!

— მიდი, აბა დაასხი, მიდი!

— სიკვდილი ჩავკლათ, მაგის დედაც ავატირე, მაგისი!

— გადაუშვი, ნუ გეშინიან, სიკვდილს შენთან რა ხელი აქვს!

— გინდა სიკვდილი ყოფილა, გინდა ულვინობა, ერთი მაგრა ჩავბუებუედეთ, მაგის ყოფაც რა ვთქვი!

— აბა მერიქიფენო, გაუმარჯოს ჩვენს ხელობას — მსმელობას! ვინც არა სვამს, კისრით დაალევინეთ!

— ულვინობის გვალვა მჭირს, კუჭ-ნაწლავი ერთი კარგა უნდა დავიჟიო.

— ეგ რაღაც იპრუწკება, არა სვამს, ჰაი დედასა, ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია!

— ღვინო, გენაცვალე, სულ სისხლში მიდის, ფეხსადგილისთვის სად არი!

— დილანდელი გაწმენდილი ნაწლავები ცოტა თუ არ გავალაღლაღე, ისე არ გამოვა!

— ღმერთმანი, უკვე ფაშვი დამედო!

— ჩემი სათამასუქე ქაღალდებიც რო ჩემსავით სვამდნენ, აი მაშინ გენახათ სეირი, ნაყლურწიასოები სასამართლოში, გიყვარდეს, ყირა-ყირა გადავიდოდნენ და საქმეს აბა ვინ გაარჩევდა.

— ხო უყურებ, ხელი ღვინისკენ გაგირბის და ცხვირიც იმად გაგწითლებია.

— აბა ამდენ ღვინოს გამოცლა არ უნდა?

— რაღა სათითით სმა და რაღა ბეღურის ზიარება!

— რაც სწორია, სწორია!

— სმა წინაპართა გენახა, დალევა იმათ იცოდნენ!

— ვიმღეროთ და ვიღიღინოთ, არ მოვიკლოთ ცივი ღვინო!

— მდინარეზე რა მინდა? ნაწლავებს ამისთანად რა წყალი გარეცხავს!

— კი არა ვსვამ, ღრუბელივითა ვსრუტავ!

— მე ვითარცა ტამპლიერი მივირთმევ.

— მე შენი ჭირიმე, tanguam sponsos[1].

— მე კი — sicut terra sine agua[2].

— არა, მაინც რა არი შაშხი?

— რა არი და, სუფრის ცხონებაა, მარნის კიბეა, ზედ ღვინის კასრებს რო აგორებენ, აბა ღვინოს ისე სტომაქში რა ჩაიყვანს!

— მაშ დავლიოთ. დავლიოთ, ჯერ ტვინში არ ასულა!

— ყოყინიც რო ისე ვიცოდე, როგორც ბოყინი ვიცი, მე და ჩემმა მზემ, კარგი ყოყინა ვიქნებოდი.

ჩვენი ქაკ კერი ულმერთოდ სვამდა.
ჩვენც, ძმაო, გვესვა, გვეჭამა, ჰხამდა!
ბახუსმა სუფრა გაშალა ინდთან.
მთვრალმა ლაშქარმა დასცა მელინდა.[1]

— სადაცა წვიმს, ჩვენც იქა ვართ, გვიყვარს კოკისპირული!

— აბა, მიდი, აზნაურიშვილო, ერთი კიდევ ჩამოასხი, არადა, იცოდე, საჩივარი წამოვიდა!

— თქვენ სმა შეიძელით, ღვინო ბევრია.

...ვცალოთ ძირამდე
და ვისხდეთ დილამდე.

— შენ რა გინდა, მე ჩემს წყურვილს ვუჩივი! ნაჩივარი არ გამომიყვანო, თუ ძმა ხარ!

— ერთი ეგ მომაწოდე!

— დაცლით წინათაც ვცლიდი, ეხლა წვეთს აღარ ვუშვებ!

— სად მიგვეჩქარება რა! დასალევი უნდა დაილიოს და შესაჭმელი შეიჭამოს!

— ი ჭრელი მოზვრის ჯიგრისა სუ აღარა დარჩა რა? კარგა შეგიტევია, ძმობილო! პირის გემოც ეგეთი უნდა!

— ჰა, მიდი, გადაუშვი! თორემ ხო იცი...

— დაძალება არ იყოს!

— კი არ გაძალებ, გეხვეწები!

— მაშ, სანამ მაგრა არ შემეხვეწები, წვეთს არ ჩავუშვებ. თავპატიჟი მიყვარს, რა ჩემი ბრალია! შეძლეული ლუკმა ძაღლმაც არ შეჭამაო, ხო გაგიგონია.

— legona edatera[2]. ორი დღე რო მასხა, ამ ღვინით მაინც ვერ გავძლები.

— მეც რაღაც უფრო მწყურდება.

— მე გამოვიბრუჟე და თქვენი არ ვიცი.

— დასამალი რა არი? ღვინო თუ აღარ გწყურის, შენს თავს დააბრალე, წარამარა ნუნუას ოყნა სად გაგონილა!

— ღმერთმა შექმნა ხმელი, ფეხთდასადგმელი, ვაი ამ დგომასა!

— ნუმც მომშორებია ბაგეთაგან სიტყვა უფლისა; sitio[3].

— ალბათ ქანსელის ქვას უფრო ადვილად მოერევა კაცი, ვინემ მე მოვერევი მწყურვალებას, რასაც ეგზომ განიცდის მალალღირსება ჩემი.

---

[1] ვითარცა სასიძო (ლათ.) — ციტატა დავითნიდან (XVIII, 6); აქ გადაკრულად არის ნათქვამი, რომ ქორწინების წინა ღამეს ღვინით იკრებდნენ ძალ-ღონეს.

[2] ვითარცა მიწა ურწყავი (ლათ.) — ფსალმუნი CXLII.

---

[1] მელინდა, ქალაქი აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე, აღმოჩენილი ვასკო დე გამას მიერ.

[2] დავლიოთ ძმობილო! (ბასკური).

[3] მწყურის (ლათ.) — ჯვარზე გაკრული იესოს სიტყვა (სახარება იოანესი, XIX, 28).

— მადა ჭამაში მოდისო, უთქვამს ანჟი მანელს.[1] მაშ წყურვილი სმაში გაივლის.

— არი რამე წამალი მწყურვალებისა?

— არი, ოღონდ ძაღლის კბენას რო გადაგარჩენს, იმის საპირისპიროა. ძაღლს უკან თუ აედევნები, თავის დღეში კბილს ვერ გამოგკრავს, მოწყურებამდის თუკი დალევ, წყურვილს რაღა ჩემი ფეხები გაგიჩენს!

— მერიქიფევ, ჩანჩალაო, გვასვი ცოტა ჩქარჩქარაო! მწდე ხარ, მწდედ გვექმენ, საწდე არ დაგიშრეს! არგუსს სიფხიზლისათვის ასი თვალი ჰქონდა, მერიქიფეს კი, ბრიარეისა არ იყოს, ასი ხელი უნდა. აბა ისე სუფრას რას აუვა!

— რაც უფრო დავლბებით, უფრო ჩავტკბებით!

— თეთრი დაასხი, თეთრი! გულმუცელი მეწვის, გაალიცლიცე.

— ჰა, არ გადავკრათ, რას იტყვი, მოსაგრევ?

— ასწი, შენი სადღეგრძელო დავლიოთ!

— გავიტენე, გავიჭყიპე, შენმა სიცოცხლემ, გავტყვრები!

— O, lacruma christi![2].

— ეს დევინიერია, ეგ პინოა!

— ღმერთივით ღვინოა!

— ღვინო კი არა, ნამდვილი ხავერდია!

— ოჰ-ოჰ-ოჰ! ამისთანა ტყუილია! ჩადის მაგრამ რა ჩადის! ცალყურაში ჩამოასხი, იმაში ბევრი ჩადის.

— მოდი რაც არი, არი, ერთიც შევუტიოთ, ბიძაშვილო!

— შენ მარტო თქვი, დანარჩენი ჩვენ ვიცით!

— Ex hoc in hoc![3] მამაძაღლობა არ იყოს. ხალხია მოწმე, ჩემდენი კაციშვილს არ დაულევია!

— მსმელნო, ძველნო, მწყურვალენო, თქვენ გენაცვალეთ!

— აბა, ჰა, აზნაურიშვილო, ისე ჩამოუშვი, სასმურს გვირგვინი დაადგეს.

— ფრჩხილზე დავიწურე, ისიც შევსვი, მეტი რაღა ვქნა!

— კარდინალის სკარამანგივით ცეცხლისფერი იყოს!

— Watura abhorret eacuum[4].

— ეგრე, ეგრე, ბრეტანულად ვყლუპოთ![5]

— მოწაფება და დაცლა ერთი იყოს!

— დალიე, წვეთი არ ჩატოვო, პირდაპირ მალამოა!

## ამბავი, თუ ვითარ შემოსეს გარგანტუა

მამამ ჯერეთ ისევ ყრმა შვილისთვის შეაკერინა სამოსელი საგვარეულო ფერისა: თეთრმოროეული ცისფერი. შესამოსელს ამას დიდი დავიდარაბა დასჭირდა, სანამ გამოსჭრიდნენ და შეჰკერავდნენ შესაბამად მაშინდელი მოდისა. ქალაქ მონსოროს ლართ საუნჯეში შემონახულ ძველთა დავთართა მოწმობით ნიშანდობლივ ვიტყვი, რარიგადაც შემოსეს გარგანტუა.

პერანგს მისას ცხრაასი წყრთა შატელროდის ტილო მოუნდა, ხოლო იღლიებქვეშ ჩაკერებულ ორ პერანგის ბარტყს — ორასი. კვართი იგი ნაოჭაუსხმელი იყო, რამეთუ ნაოჭასხმული მხოლოდ მას უკან მოიგონეს, ოდეს თეთრეულის მკერვალთ ნემსთა წვერნი წაემტვრათ და ყუნწით იწყეს კერვა.

ქუქუნაკს მისას რვაას ცამეტი წყრთა თეთრი ატლასი დაახარჯეს, თასმა-კოპი კი ათას ხუთას ცხრანახევარი ძაღლის ტყავისა დასჭრეს. რაკი იმჟამად უკვე საწმერთულს სახლართავით იკრავდნენ ქუქუნაკზე და არა ქუქუნაკს საწმერთულზე, რაიც ფრიად არაბუნებურია, როგორც ოკამმა ცხადყო მაგისტრ შალვარის **Exponibilia**-ს თარგმანებში.

საწმერთულს, არც მეტი, არც ნაკლები, ათას ას ხუთი და მესამედი წყრთა თეთრი შალის ნაჭერი დასჭირდა. ტოტები სვეტებივით გამოუყვანეს და უკან, ზედ წელთან, აქეთ-იქით ორ-ორი ჩაქი დააყოლეს, რათა ყმაწვილს ჭაჭები არ ჩაჰხურებოდა. ამ ერთი ხელისდადება გახსნილ ადგილთ სულ ერთიანად ცისფერი დამასკური ხარა ამშვენებდა შესაფერი ზომისა. არ დაგავიწყდეთ, ბარე ერთსა და ორს შეშურდებოდა ლამაზად ჩამოსხმულნი და ტანთან შეფარდებულნი ბარკალნი ყრმა გარგანტუასი...

მაშიებს გარგანტუასას საპირედ ოთხას ექვსი წყრთა ცისფერი ხავერდი მოუნდა. ხავერდის ნაჭერი ზუზივ შუაზე გასჭრეს და ცალცალკე მრგვლად ამოკერეს. საძირეზე ათას ასი ძროხისტყავი დახარჯეს მუქი წაბლისფერი; ჭვინტნი ნემსებრ წაუწვეტიანეს.

ახალუხს ათას რვაასი წყრთა ღია ლურჯი ხავერდი მოანდომეს. ფათანაკერ ხავერდს გარშემო ფოთოლგამოტანილი ვაზის რქა-ლერწი ჰქონდა შემოვლებული, შუაგულში კი დია შვენოდნენ ვერცხლის კლაპიტონის სამწდეურნი, შემკულნი ურიცხვი ოქროს პეტალითა და მარგალიტით. მთელს ამ ბილიხტონში გადაკრულად ის აზრი იყო, რომ ოდესმე გარგანტუა უაღრესი მსმელი დადგებოდა.

სარტყელი სამასნახევარი წყრთა აბრეშუმისებრი სარჟისა შეუკერეს. სარჟი იგი ნახევრად თეთრი და, უკეთუ არ მეშლება, ნახევრად ცისა ფერისა იყო.

დაშნა ვალენსიური არა ჰქონია, არც ხანჯალი სარაგოსული, რამეთუ მამამისს თვალის დასანახავად სძაგდნენ იქაურნი შებრუჟებულნი იდალგონი, ესპანელთა და შეჩვენებულ ურჯულოთ ნარევნი. დაშნა გარგანტუასი ხისა იყო. ოღონდ ჩინებული, ხანჯალიც გაპოხილი ტყავისა ეკიდა; ორივ ფერადოვანი და ოქროცურვებული, ავ თვალს არ ენახვებოდა.

ქისა სპილოს ჭანჭლისა ჰქონდა. ჭანჭალი იგი ლიბიის პროკონსულს ჰერ პრაკონტალს ებოძებინა.

ლაბადას მისას ცხრა ათას ხუთას ოთხმოცდაცხრამეტი და კიდევ ორი მესამედი წყრთა ცისფერი ხავერდი დასჭირდა. ხავერდსა ზედა ოქრომქედით გეზად და ალმაცრივ მრავალთა კაცთ სახე იყო ამოქარგული და ტანზე ხან ამად ბზინავდა, უცხოდ ლივლივებდა, ვითარცა გვრიტის ყელი, თვალგასახარად მნახველისა.

ქუდი თეთრი ხავერდისა შეუკერეს, სულ სამას ორი და მეოთხედი წყრთა მოუნდა. სარქმელი იგი ფართო და მრგვალი იყო, შესაფერი თავის მოყვანილობისა. რაც შეეხება ყანასავით აბიბინებულ თავსარქმელთ, ყოველთა გამავრებულ ძაღლთა და მამაძაღლთ რომ ახურავთ, მამამისი კარგი თვალით არ უცქეროდა და ამბობდა, მაგათ უბედურება მოაქვთ თავიანთ შუბლაღპარსულ პატრონთათვისო.

თომარ-ჯიღად ვეებერთელა ლამაზი ცისფერი ფრთა შვენოდა ვარხვისა, რომლის ჯიშიც ჰირკანიის უდაბურ ადგილთა შინა ბუდობს. ფრთა იგი დია კოხტად გადმოჰფენოდა ზედ მარჯვენა ყურთან.

კოკარდა ოქროსი ეკეთა სამოცდარვა მარკის წონისა და ზედ კუკი იყო გამოსახული მინანქრისა. კუკს თავი ორი ება, ერთმანეთისაკენ პირმიქცეული, ხელ-ფეხი ოთხ-ოთხი და საჯდომი ორი ჰქონდა, რამეთუ, პლატონისა არ იყოს, ოდეს ნადიმში ამბობს, ესეგვარია ბუნება კაცთა თავისი დასაბამიერი იდუმალი არსით. კუკისა ამის გარშემო იონური ასოებით ეწერა: „სიყვარულსა არა ჰშურნ“[1].

ყელზედ ოქროს ძეწკვი ეკიდა წონით ოცდახუთი ათას სამოცდასამი მარკა ოქროსი. ერთიმეორეში გაყრილ სულ მუშტისოდენა თვალსა და თვალს შუა დიდრონ-დიდრონი მწვანე ეშმის ურჩხულნი ელავდნენ თინათინთა შუქში. ამა ურჩხულთა მინაგვარნი ესხა ოდესღაც თვით მეფე ნეხეფსს. შიბი იგი გულის კოვზამდე სწვდებოდა გარგანტუას და, მიზეზისა ამისა გამო, რაც კარგად მოეხსენებათ ბერძენ აქიმთ, სიკეთე არ მოჰკლებია მთელს თავის სიცოცხლეში.

თათმანთათვის თოხში ამოქმედებული თექვსმეტი ჭინკის ტყავი დახარჯეს, ხოლო ქობისთვის სამი დევქაჯი გაატყავეს. ყოველივე ზუსტად აღასრულეს, რასაც სენლუანელნი კაბალისტნი ბრძანებდნენ.

ბეჭედნი ხელთ ესეგვარნი აესხა (რამეთუ მამამისს სურდა დიდგვარიანნი და წარჩინებულნი ძველი წესისამებრ ამითაც გამორჩეულიყვნენ): მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზედ ბაჯაღლო ოქროს კოხტა ქულიჩიანი სირაქლემას კვერცხის ოდენა წითელი იაგუნდი ჰქონდა წამოცმული. იმავ ხელის უსახელო თითს უცხო ბეჭედი უმშვენებდა — აქამომდე არნახული და გაუგონარი ოთხთა ილეკროთ შენადნობი, რომელსა შიგან ფოლადი ოქროს არა სთხრიდა, ვერცხლი კი სპილენძს არა ბინდავდა. ბეჭედი იგი ნახელავი იყო კაპიტან შაპუისა და მისი დარბაისელი მეხვაიშნის ალკოფრიბასისა. მარჯვენა ხელის უსახელო თითზედ ხვეული ბეჭედი შვენოდა. ბეჭედში ლალი იყო ჩასმული, მკრთალი მოწითალო ფერისა, აგრეთვე წვეტიანი ბრილიანტი და ზურმუხტი ფიზონური, რომელთაც ფასს ვერ დასდებდით. მეფე მელინდელის უებრო ოქრომჭედელი ჰანს კარველი თვალთა ამათ პატიოსანთა სამოცდაცხრა მილიონ რვაას ოთხმოცდათორმეტი ათას თვრამეტ „ფაცახმატყლიან ცხვრად“ აფასებდა, ამავ ფასს სდებდნენ აუსბურგელნი ფუგერნიც.

## სიყმაწვილე გარგანტუასი

სიყმაწვილეში, სამიდან ხუთ წლამდე, გარგანტუას ზრდიდნენ და წვრთნიდნენ, ნებისამებრ მამისა, ყოველი წესითა და რიგით. დროს ისიც იქაურ ყრმათა დარად და მსგავსად ატარებდა, სამი რამ ახსოვდა და სამი რამ იცოდა: სმა, ჭამა და ძილი; ჭამა, ძილი და სმა; ძილი, სმა და ჭამა.

ყოველჟამ ტალახში გორაობდა; რაც მოხვდებოდა, ცხვირ-პირზე ისვამდა; მაშიები გვერდ-გვერდ დაჰქონდა გადაღრეცილ-გადაბრეცილი; ხან ბუზთა ჭერაში იყო და ხანაც მამის ქვეშევრდომ პეპელთა სდევდა ენაგადმოგდებული. ფეხთსაცმელზე ზედ იშარდავდა; დღენიადაგ შარვალში ისვრებოდა; ცხვირს სახელოთი იწმენდდა; მოხოცვით დასხმულ ჯამში იხოცავდა; წუმპესა და გუბეს არ ერიდებოდა, შიგ დატანტალებდა; სმა ხამლით უყვარდა, მუცელი თუ ექავებოდა, გოდრით იქავლებდა. კბილთ ჭოპოსნის ტარით ილესავდა; ხელს შექამადით იბანდა, საბნად სველ ტომარას იხურავდა; წვნიანს წყალს აყოლებდა; რასაც ჩასძახებდნენ, ქვევრივით იმას ამოსძახებდა, სიცილხსიცილში იკბინებოდა და კბენა-კბენაში იცინოდა; ჭას ჩაუფურთხებელს არ გაუშვებდა, ქონი ყელში აწვებოდა, ტყვრებოდა და სკდებოდა; შინაურთ ზედ აჯდებოდა; წვიმას წყალში ემალებოდა; პურს ცივ თონეში აკვრევინებდა; ცად ციხე-კოშკთ აგებდა; თავი მამა აბრამის ბატკნად მოჰქონდა; სიმღერით, მტერს, ის რომ მღეროდა; ლოცვითაც ცხვირში ჯიჯღვინებდა; წამსა და წამს თავიანთ ცხვართ ახსენებდა; რწყილს აქლემს აშობინებდა, ძაღლსა სცემდა, ლომს ასმენდა: ცხენზედ იჯდა და ცხენს ეძებდა; რძის შეშინებული დოს უბერავდა; საცა არ ესაქმებოდა, ცხვირს იქა სჩრიდა; არამკითხედ უბნობდა. ერთჟამიერად ორ კურდღელს დასდევდა; ხვალისა ფეხებზედ ეკიდა; იწვა მხართეძოზედ და მახათს იყრიდა; სხვამ რათ უნდა მილუტუნოსო, იღლიებში თვითონ ილუტუნებდა; ჯამში გამკეთებელი ამოჰყავდა, ორივ ყბით ილმურძლებოდა;

1 მანელი ეპისკოპოსი (XVI ს.).
2 ქრისტეს ცრემლი — ღვინოა ერთგვარი.
3 აქედან აქეთ. (ლათ.).
4 ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს. (ლათ.).
5 ბრეტანელნი ცნობილნი იყვნენ, როგორც მომღხენნი და მსმელნი.

1 „კორინთელთა მიმართ ეპისტოლე პირველი“, XIII, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ექიმი და წიგნის მაღაზია

კახეთში, ადრინდელ სიღნაღის მაზრაში ნიკოლოზ ჯანდიერი ოცი წელიწადი მუშაობდა. ეს იყო რევოლუციის წინა წლებში. ჯანდიერი ქიზიყელებისათვის მარტო ექიმი არ იყო, სულიერი აღმზრდელიც იყო. კეთილი გულის, სათნო ხასიათისა და უბადლო ექიმური ერუდიციის წყალობით მან დიდი სიყვარული დაიმსახურა. ის ყოველი სასარგებლო და საჭირო საქმის წამომწყები და მონაწილე იყო. არა მარტო ადამიანის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნავდა, ამას გარდა დაუღალავად იღწვოდა გლეხთა სულიერი და გონებრივი გამოფხიზლებისათვის, მათი განთლებისა და გათვითცნობიერებისათვის.

ნიკოლოზ ჯანდიერი ხელმოკლე ოჯახიდან იყო გამოსული, ღარიბთა ტკივილი კარგად ესმოდა, ღარიბ კაცს ის ფულს არ ართმევდა. ქვემო მაჩხაანის ექიმმა ლევან ფალავანდიშვილმა ურჩია: ექიმი ნაუმენკო კერძო პრაქტიკაში ფულს იღებს, შენ იმის ნახევარი მაინც აიღე, თუ მაინცდამაინც უარზე დადგები, ამ ფულს შენ ნუ მოიხმარ, სტიპენდიანტები იყოლიე, ამით დიდ მადლს იზამო. ნიკოლოზმა ეს კარგი რჩევა ნაწილობრივ შეასრულა — ფულს მხოლოდ შეძლებული ავადმყოფებისაგან იღებდა. ღარიბებს კი ისევ უფასოდ მკურნალობდა და წამლის ფულსაც თვითონ აძლევდა. თავის შემოსავალს სხვა კეთილს საქმეებთან ერთად, ახალგაზრდების განათლებას ახმარდა. პროფ. თედო ბეგიაშვილის გადმოცემით, სასწავლო წლის დასაწყისში სიღნაღის ქალთა და ვაჟთა სასწავლებლების დირექტორები ჯანდიერის მოთხოვნით მას ღარიბ მოსწავლეთა სიებს უგზავნიდნენ. ნიკოლოზი წელიწადში 40 მოსწავლის ფულს იხდიდა. მისი სტიპენდიანტებიდან მე პირადად ვიცნობდი ექიმ შაქრო მირიანაშვილს, ელისაბედ ჩოლოყაშვილს და სტეფანე საიკაშვილს, ამ სტრიქონების ავტორიც სწავლობდა ჯანდიერის ფულით.

იმ დროს სიღნაღში წიგნის მაღაზია არ იყო, წიგნის საყიდლად კაცი თბილისში უნდა ჩასულიყო. მაშინდელ პირობებში ეს არც ისეთი იოლი საქმე გახლდათ. სად ჰქონდა ხელმოკლე კაცს ამის დრო ან საშუალება! წიგნიც ხომ საკმაოდ ძვირი იყო. ამიტომ ნიკოლოზ ჯანდიერმა გადაწყვიტა სიღნაღში წიგნის მაღაზია გაეხსნა. უწიგნური კაცი არც თავის თავს არგია და არც თავის ერსო, ხშირად ამბობდა ხოლმე იგი. მაღაზია მთელ მაზრას უნდა მომსახურებოდა.

ამ დიდ და მეტად საჭირო საქმის თანამონაწილედ ჯანდიერმა სიღნაღის ხაზინის ყოფილი მოხელე ივანე შავლიაშვილი მოიწვია. ივანე ფანატიკურად იყო წიგნზე შეყვარებული, კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა. იგი 23 წლით უფროსი იყო ჯანდიერზე, მაგრამ ერთმანეთს ისე ექცეოდნენ, როგორც ტოლი ტოლს, სწორი სწორს, გულთბილი მეგობრები იყვნენ, მათ მეგობრობას საერთო, საზოგადო საქმე ადუღაბებდა.

ივანე შავლიაშვილი ჯიმითელი ღარიბი გლეხის შვილი იყო. ოთხკლასიანი სკოლა ჰქონდა დამთავრებული, სიღნაღში, ფოსტის ქუჩაზე ერთი პატარა სახლი ჰქონდა, ჰყავდა ლამაზი და სათნო ცოლი, ოთხი შვილი, ჰქონდა კარგი ოჯახი, კარგი მეზობლობა და ხალხში კარგი სახელი და მეგობრობა.

ხალხისათვის თავდადებულმა ამ ორმა კაცმა 1907 წელს სიღნაღში პირველად გახსნეს წიგნის მაღაზია და მის აბრას „ცოდნის წყარო“ დააწერეს. და მართლაც, ეს მაღაზია სიღნაღელებისა და მისი მაზრის სოფლებისათვის ცოდნის დაუშრეტელ წყაროდ იქცა. მაღაზია ვაგონივით ვიწრო და მოგრძო ოთახს წარმოადგენდა. აქ ატარებდა ივანე შავლიაშვილი მთელ დღეს, იქ მისული წიგნის ყოველი მყიდველი მისთვის დიდი სიხარული იყო. ივანე თვითონ ურჩევდა წიგნს, სთავაზობდა დიდს თუ პატარას, ქალს თუ კაცს წიგნს, მისთვის შესაფერისა და საჭიროს. ვისაც ფული არ ჰქონდა, უფასოდ აძლევდა, სხვას ნისიად ატანდა. ასე იყო ჯანდიერისაგან დარიგებული.

გარდა იმისა, რომ ნიკოლოზ ჯანდიერი და ივანე შავლიაშვილი მოსწავლეებსა და კერძო პირებს ეხმარებოდნენ, სოფლების ბიბლიოთეკებსა და სკოლებსაც აძლევდნენ წიგნებს უფასოდ. თუ რა საფასურის წიგნებს სწირავდნენ სკოლებსა და ბიბლიოთეკებს, ამისათვის მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს: სოფელ გურჯაანისათვის ერთ წელიწადს 27 მანეთის წიგნი მიუციათ, ნუკრიანის სამრევლო სასწავლებლისათვის — 15 მანეთის, სოფელ კარდანახისათვის — 20 მანეთის, ბოდბისათვის — 20 მანეთის. იმდენი სკოლა, ბიბლიოთეკა ღებულობდა ნიკოლოზ ჯანდიერის ფულით წიგნებს, საწერ-კალამსა და სხვა სასკოლო ნივთებს, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ჯანდიერი თავის შემოსავალს ცოლ-შვილს აკლებდა და ხალხს ახმარდა. მარტო ამით როდი განისაზღვრებოდა მისი მოღვაწეობა, მისი წვლილი საზოგადოების, ხალხის სამსახურში. „ჩემს მაღაზიაში ბევრი არალეგალური წიგნები ინახებოდა და მალულად იგზავნებოდა დანიშნულების მიხედვით“, წერდა ჯანდიერი თავის ავტობიოგრაფიაში.

1912 წლის 23 სექტემბერს ჟანდარმერიის პოდპოლკოვნიკმა რებროვმა მოულოდნელად გაჩხრიკა წიგნის მაღაზია და შავლიაშვილის ბინა. ბინაში აკრძალული ვერაფერი იპოვნეს, მაღაზიაში კი — „ბოროტმოქმედური, ტენდენციური და არალეგალური ხასიათის“ 2.496 წიგნი და ბროშურა აღმოაჩინეს. მათ შორის „სასამართლოს დადგენილებით აკრძალული წიგნების“ კატალოგში შეტანილი იყო 19 ავტორის წიგნი. აი ისინი: ვ. ი. ლენინის წიგნაკი სოფლის მშრომელების გასაჭირზე, ვ. ლიბკნეხტის — „ცოდნა ძალაა — ძალა ცოდნა“, ფ. ლასალის, პ. ლაფარგის და სხვათა ნაწარმოებები.

იმავე წელს სიღნაღის გაზეთი „ხმა კახეთისა“ ახალი ამბების განყოფილებაში წერდა: ივანე შავლიაშვილის მაღაზიის ირგვლივ ძიება დიდხანს სწარმოებდა. ძიების მსვლელობაში შავლიაშვილის ბინა კიდევ რამდენჯერმე გაჩხრიკესო. ჯანდიერის მაღაზიაში თანამონაწილეობა ივანეს არ გაუმხელია. ნიკოლოზს კი თავი არ დაუზოგავს, ყოველი ღონე უხმარია, რომ ივანე არ გაეციმბირებიათ. სწორედ მაშინ ნიკოლოზ ჯანდიერის რჩევით დაიწერა „ხმა კახეთისაში“, რომ მაღაზიის ჩხრეკისას აღმოჩენილ წიგნებს იმდენი მტვერი ედო, რომ ალბათ, პატრონს არც ახსოვდა მათი არსებობა. რასაკვირველია, მტვერდადებული, უმოქმედო წიგნები მეფისათვის საშიში არ იქნებოდა, პირცხვილია, გაუქრელი, გაუყიდავი წიგნების გამო მაღაზიის პატრონის დაპატიმრებაო. ივანე შავლიაშვილის დასჯა თვითმპყრობელური რეჟიმის სისუსტეს გამოამჟღავნებს და ამ რეჟიმს დასაცინს გახდისო. ეს კი მართალია, ასე დაიწერა, მაგრამ სინამდვილეში ამ წიგნებს მტვერი არასოდეს დასდებია, ისინი თავის გზას ყოველთვის დროზე პოულობდნენ. პირადად მე, ჩემს სიყმაწვილეში ბაკურციხეში ბევრ ოჯახში მინახავს შავლიაშვილის მაღაზიაში ნაყიდი წიგნები.

გაჩხრეკის შემდეგ „ცოდნის წყარო“ დალუქეს, წიგნებს კონფისკაცია უყვეს, მაგრამ ამის შემდეგ ექვსი თვეც არ გასულა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სიღნაღის განყოფილებამ, რომლის უცვლელი თავმჯდომარე ნ. ჯანდიერი იყო, სიღნაღში, ოთაროვის სასტუმრო „ლონდონის“ ქვედა სართულში წიგნის ახალი მაღაზია გახსნა. ეს ამბავი 1913 წლის 7 აპრილს „ხმა კახეთისამ“ ამცნო საზოგადოებას.

აი ასე, დაუღალავად და თავდადებით იბრძოდნენ ნ. ჯანდიერი და ი. შავლიაშვილი ხალხის მომავლისათვის. ისინი არც ქონებას ზოგავდნენ ხალხისათვის, არც თავის თავს და არც თავის ოჯახს.

ექიმი **თამარ ვაჩნაძე**

---

ღვთისთვის ჭიანი ტყემალიც არ ემეტებოდა; იანვარში მარწყვსა ნდომობდა; მწიფეს ესროდა და მკვახეს აყრევინებდა; მჭადის სახელი არც როდის ავიწყდებოდა; იდგა და წყალსა ნაყავდა; ქალალდი ფხეკა-ფხეკაში სიქაზედ გაჰყავდა; ეტრატზე ვირს აგორებდა; დაჰკრავდა ფეხს და ფხაჭას გაადენდა; სალვინეში შიგა ძვრებოდა; ჯერ წყალში შედიოდა, ფონს მერე კითხულობდა; ბევრჯერ მშრალზეც რჩებოდა; შაშვს ლაგამსა სდებდა, ბულბულს უნაგირს ადგამდა; თითო ხარს ორ პირ ტყავს აძრობდა; მშვილდს მალავდა, ისარს ისროდა; დღეში ცხრა პარასკევი ჰქონდა; წყალს საცრით ეზიდებოდა; ხორბალს ქათამივით კენკავდა; ნაჩუქარ ცხენს უცილოდ კბილთ უსინჯავდა. ტაშს ცალი ხელით უკრავდა; ერთხელ ზომავდა და ათჯერ სჭრიდა; არც ფიცი სწამდა, არც ბოლო აკვირვებდა; მთვარეს ყარაულად ედგა — მგლებმა არ შეჭამონო; სულ იმას ჩიოდა — რასაც ჩემი კბილი არ მოხვდა, ჩემს მუცელში არ მოხვდაო; საბანი როგორცა სწვდებოდა, ისე იფარებდა; რასაც ხელზე უსხამდნენ, წვერზეც ისიც იმას უსვამდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად; დილ-დილაობით ყურთასმენა მიჰქონდა. მამის ლეკვნი ჯამში პირს უყოფდნენ, იგი იმათ ყურებზედ ჰკბენდა. ისინი კი ცხვირს აკაწრიდნენ. ის კუდქვეშ სულს უბერავდა, ისინი თავ-პირს ულოშნიდნენ...

აქაოდა სხვა ყრმანი, ტოლ-სწორნი გარგანტუასი, დღეყოველ ქარწისქვილაობენო, ადგნენ და მირბალეს ქარის წისქვილის ფრთათაგან იმასაც ჩინებული ქარწისქვილა გაუმართეს.

თარგმნა **გურამ გოგიაშვილმა**

# უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული



ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ახლახან ჩვენმა პრესამ და საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნეს გამოჩენილი რუსი მომღერალი ქალის ა. ვ. ნეჟდანოვას დაბადების 100 წლისთავი. შალიაპინთან და სობინოვთან ერთად, ნეჟდანოვა რუსული ვოკალური კულტურის მშვენება და სიამაყე იყო. ნეჟდანოვას ჯადოქრულ ხმას ისმენდნენ არა მარტო საბჭოთა ქვეყანაში; საზღვარგარეთაც მას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა, განსაკუთრებით ხშირად იწვევდნენ საფრანგეთსა და იტალიაში.

ჩვენი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ნეჟდანოვას მემუარების ის ადგილები, სადაც იგი აღწერს თბილისში თავის ჩამოსვლას კონცერტების გასამართავად. ეს იყო 1932 წელს. ჩვენ ვთარგმნეთ მისი მოგონების ეს ადგილი, რომელსაც მკითხველი ქვემოთ გაეცნობა.

მიხეილ კაკაბაძე

უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული, როდესაც 1932 წელს საკონცერტოდ მიმიწვიეს თბილისში, სადაც ჯერ არ ვყოფილიყავ. ჩემი ასეთი განწყობა უსაფუძვლო არ აღმოჩნდა, თვითონ ქალაქმა და მისმა მიდამოებმა ჩემზე მომხიბლავი შთაბეჭდილება დასტოვა. გზა თბილისამდე მართლაც რომ გადასარევი იყო. კავკავიდან ავტომობილით ვიმგზავრეთ თვალწარმტაცი საქართველოს სამხედრო გზით. მე აქ არ შევუდგები იმ წარუშლელი ზეგავლენის აღწერას, რასაც ადამიანზე ახდენს ეს მოგზაურობა. კარგად რომ შეიგრძნო და ჩაწვდე ამ დიდებული ბუნების უბადლო მომხიბლაობას, უნდა პირადად ნახო და განიცადო ყოველივე ეს. აღფრთოვანებით შევცქეროდი და სულ აღტაცებაში მოვყავდი ყველაფერს, რაც კი რამ შემხვდებოდა გზადაგზა.

თბილისს საღამო ჟამს მივაღწიეთ. მთელი ქალაქი ლამაზად იყო გაჩირაღდნებული ლამპიონებით. დავბინავდით სასტუმრო „ორიანტში". მეორე დღეს, დილიდანვე დავიწყეთ ქალაქის გაცნობა. მისმა მშვენიერმა შენობებმა, ქუჩებმა, ლამაზი არქიტექტურის ტაძრებმა, ბაღებმა და უხვად გამწვანებულმა არემარემ უზომო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ვინახულეთ აგრეთვე ძველი ისტორიული ძეგლებიც. მთაწმინდიდან ულამაზესი ხედი გადაგვეშალა თვალწინ. ყველაფრისადმი ცოცხალი ინტერესი დამჩემდა. პირველად ვეცნობოდი ქართველთა ხასიათსა და მათ წეს-ჩვეულებებს. საამოდ განმაცვიფრა მათმა სტუმართმოყვარეობამ და ალერსმა.

სულ მოკლე ხანში ჩვენს ირგვლივ შემოკრბა ნაცნობთა დიდი წრე. სხვებზე ახლობელი ჩვენთვის კ. ა. მარჯანიშვილი გახლდათ. ბევრნი, ვისაც კი გაეგო ჩვენი ჩამოსვლა, მოდიოდნენ სასტუმროში, რათა შემოეთავაზებინათ თავიანთი ბინა და მასპინძლობა.

კონცერტები ერთ მთლიან დღესასწაულად იქცა. მხურვალედ, სულითა და გულით გვეგებებოდნენ თბილისელი მსმენელები. აქ ყოფნისას მე არ მომკლებია უგულითადესი მოპყრობა, ყურადღება თუ აღფრთოვანებული დამოკიდებულება.

დიდად დამაინტერესა ქართულმა მუსიკამ. ცნობილი კომპოზიტორები — ფალიაშვილი, ბალანჩივაძე და სხვები — არ იშურებდნენ გარჯას და მაცნობდნენ თავიანთ მშვენიერ ნაწარმოებებს. მოჰქონდათ თავიანთი შემოქმედების ნიმუშები, რითაც ძალიან ნასიამოვნები ვრჩებოდი, თანაც შევეცადე ზოგი რამ მომემზადებინა და მემღერა კონცერტებზე. თუ გამიჭირდებოდა ცალკეული თანხმოვნების სიზუსტით გამოთქმა — მშველიდნენ და საქმეს მიადვილებდნენ ნაცნობი ქართველი ქალიშვილები. კონცერტებზე ამ ჩემთვის უცხო ნაწარმოებების შესრულებას მაინც ახლდა წარმატება და რაც შეეხება გამოთქმას, რომელიც ალბათ, არც თუ ძალიან კარგად ჟღერდა, მსმენელებმა ჩანს მაპატიეს, ვინაიდან ხშირად მამეორებინებდნენ შესრულებას.

კონცერტები თავდებოდა მხიარული საღამოვახშმებით... ყველა ასეთ ვახშამზე მე გვერდით მარჯანიშვილი მეჯდა — საინტერესო, ჭკვიანი, მხიარული და მომხიბლავი ადამიანი. იგი ფრიად გამოჩენილი არტისტი და რეჟისორი იყო. მას იცნობდა, აფასებდა და პატივსა სცემდა მთელი არტისტული საზოგადოება. მას კარგად იცნობდნენ მოსკოვში, იცნობდა მთელი საბჭოთა კავშირი.

თბილისის საზოგადოების მოთხოვნით, მოგვიხდა კიდევ რამდენიმე ხნით დარჩენა და კონცერტების განგრძობა. შემდეგში კი ჩვენ სინანულით გამოვეთხოვეთ ამ მხიარულსა და სიცოცხლით სავსე ქალაქს.

# ერთი ბარათის ამბავი

ქართული სცენის დიდოსტატის აკაკი ხორავას ბარათი, რომელიც ქვემოთ მინდა გავაცნო მკითხველს, მე მგონია, ერთ მცირე შტრიხს მაინც მიუმატებს სახელოვანი მსახიობის ვრცელ შემოქმედებით ბიოგრაფიას. აი ეს ბარათიც:

„თბილისი. 15 III. 48 წ.

პატივც. ამხ. გივი!

გულითადი მადლობა მოძღვნილი ლექსისათვის და იმ გულთბილი წერილისათვის, რომელიც მე თქვენგან მივიღე.

ვერ წარმოიდგენთ, რა მნიშვნელობა აქვს მსახიობისათვის და რა გამამხნევებელია მისთვის ასეთი გულთბილი გამოძახილი მისი მაყურებლისა, განსაკუთრებით ისეთი ბუნების მსახიობისათვის, როგორიც მე ვარ, რომელიც თავის მუშაობას მუდამ კრიტიკულად უცქერის და სთვლის მას არასაკმაოდ დამაკმაყოფილებლად.

სიამოვნებით ვასრულებ თქვენს სურვილს და გიგზავნით სურათს „ოტელოს" როლში.

დაე, ეს სურათი მოგაგონებდეთ საბჭოთა მსახიობს, რომელიც უანგაროდ ემსახურება თავის სამშობლოს, თავის ხალხს და თავის თავში ვერ პოულობს ისეთ ძალას, რომ ოდნავ მაინც გამოსახოს ის დიდი ბუნება ქართველი ადამიანისა, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა და მოჰყავს მთელი კულტურული კაცობრიობა. დარწმუნებული ვარ მომავალი თაობა ამას უთუოდ შესძლებს.

იყავით კარგად და ჯანმრთელად. გისურვებთ გამარჯვებებს ჩვენი სამშობლოს სასახელოდ

პატივისცემით აკაკი ხორავა".

ბარათთან ერთად მივიღე ფოტოსურათი აკაკი ხორავასი „ოტელოს" როლში.

აქვე მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი ლექსი, რომლის შედეგი იყო აკ. ხორავას ეს ბარათი. ეს ლექსი მე 1948 წელს გავუგზავნე მას:

საკვირველება ო, რაოდენი,
ხორავა — მავრი ვენეციელი...
ქანდაკებაა ოგიუსტ როდენის,
ტილო მხატვარის, თუ ხორციელი?
მრუმე ღამეში ელვის მახვილი,
ვეზუვის ცეცხლი... გრგვინვა... არავი...
უგონო ვეფხის კვნესა-ძახილი,
შიშის მომგვრელი და შემზარავი.
ჯერ უნაზესი გრძნობების მონა,
მერმე ეჭვებით გულგაპობილი.
გასწირე თავი და დეზდემონა,
მაგრამ კვლავ დარჩი კეთილშობილი...
როცა თეატრში ეშვება ფარდა,
რჩება პარტერი ცრემლნატბოვარი,
მე მაინც დიდხანს მიმყვება დარდად
ხორავას მავრი — სწორუპოვარი.

აკაკი ხორავას ბარათიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ თავდადებული იყო იგი, სცენის ბუმბერაზი და სწორუპოვარი რაინდი... და რა დიდ მოთხოვნილებებს უყენებდა თავის თავს, როგორც მსახიობი...

გივი მესხი

# დამაკვირდი

### აფორიზმები

განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანისათვის კეთილი სიტყვით მხარდაჭერა და გამხნევება ისევე საჭიროა, როგორც რკინიგზაზე ისრის გადაწევა თავის დროზე. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში შეიძლება კატასტროფა თავიდან აცილებული იქნეს. **ჰენრი ბიჩერი.**

დიდი გული, ისევე, როგორც ოკეანე, არასოდეს არ იყინება. **ბირონი.**

ამ ქვეყნად ყველა ლამაზი გრძნობა და სურვილი გაცილებით ნაკლებს იწონის, ვიდრე ერთი კეთილი საქმე. **ლოუელი.**

კარგ კაცს რომ სიკეთეს ვუზამთ, ის უკეთესი ხდება, ბოროტს რომ კეთილ საქმეს გავუკეთებთ, მას უფრო ბოროტად ვხდით. **მიქელანჯელო.**

თუ ერთი-ორი ტკბილი სიტყვა ადამიანს ბედნიერებას მოუტანს, უნდა იყო უსინდისო, რომ უარი თქვა ამაზე. **უილიამ პენი.**

ყველაზე დიადი, ყველაზე ღვთაებრივი ადამიანში — ეს არის უნარი შეცდომების პატიებისა. **ალ. დიუმა (შვილი).**

ის, ვინც სხვაზე ცუდს გელაპარაკება, სხვებს შენს შესახებ უყვება ცუდ ამბებს. **დიდრო.**

როცა გემიდან გარბიან ვირთხები, ვაჟკაცი მაშინვე საჭესთან უნდა დადგეს. **ჰაუპტმანი.**

ადამიანის ხასიათს ყველაზე კარგად მაშინ გაიგებ, როცა ის შენი უფროსი გახდება. **რემარკი.**

მოთამაშე თავდაჭერილი უნდა იყოს. როცა წააგებ, ჭადრაკის დაფა არ უნდა ააყირაო. **როლანი.**

გმირი — ეს ის არის, ვინც იმას აკეთებს, რაც შეუძლია. სხვები ამას არ აკეთებენ. **როლანი.**

მტრისაგან დევნილი და კედელთან მიმწყვდეული კატაც კი ვეფხვად იქცევა. **სერვანტესი.**

შიშზე უფრო საშიში არაფერი არ არის. **ბეკონი.**

ბრძოლის ველიდან გამოქცევის დროს უფრო მეტი ჯარისკაცი იღუპება, ვიდრე ბრძოლის დროს. **ლაგერლეფი.**

ის, ვინც ერთხელ მორევში იხრჩობოდა, მერე პაწაწინა ღელესაც კი გაურბის. **ოვიდიუსი.**

უფრთხილდი მას, ვინც შენს დარტყმაზე ხელი არ შემოგიბრუნა. **ბერნარდ შოუ.**

თავის თავის უზომოდ შეყვარება — ეს ის ნუგეშია, რომელიც ღმერთმა წარმოუგზავნა წვრილმანი ხასიათის კაცს. **ბარტონი.**

თავის თავზე შეყვარებულს რაყიფი არასოდეს ეყოლება. **ციცერონი.**

ოპტიმიზმი და იმედიანობა — რევოლუციის რელიგიაა. **ბანვილი.**

ნუ ენდობი მას, ვინც თვითონ არავის ენდობა. **ოსკარ გრაფი.**

რასაც არ უნდა ამბობდეს მაკიაველი, მაინც ყველაზე მაგარი, ყველაზე აუღებელი სიმაგრე — ხალხის ნდობაა. **ნაპოლეონი.**

ხანდახან გინდა, რომ ცხვარი გაკრიჭო, გაიხედავ და შენ თვითონ გაუკრეჭიხართ. **სერვანტესი.**

ერთადერთი საშუალება, რომ ადამიანი გახადო ნდობის ღირსად, ის არის, რომ უნდა ენდო მას. **ნორმან ტომასი.**

ნდობა რომ არ იყოს ქვეყანაზე, ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა. მაშინ ადამიანი დამშვიდებით ერთ კერძ რაგუსაც ვერ შეჭამდა. **ჰენრი შოუ.**

ჭეშმარიტი გულუხვი ის არის, ვინც გასცემს მხოლოდ მას, რაც მას ეკუთვნის. **სენეკა (უმცროსი).**

გულს ნაოჭები არა აქვს, მას მხოლოდ ნაჭრილობევი დაეტყობა ხოლმე. **კოლეტი.**

დააწყნარო ვისიმე გული უფრო ძნელია, ვიდრე აღელვო იგი. **შატობრიანი.**

კატა არ შეწყვეტს თაგვების ჭერას, თუნდაც იგი ულამაზეს დედოფლად აქციო. **ბირონი.**

ცუდი მასწავლებელი მზამზარეულად მოგაწვდის ჭეშმარიტებას, კარგი — გასწავლის როგორ უნდა იპოვო იგი. **დისტერვეგი.**

უზრდელობა თანაბართა შორის ულამაზოა, უფროსის მხრით კი — ტირანიაა. **ლოპე დე ვეგა.**

აღზრდა — ეს ყველაფერია. ჭერამი ოდესღაც მწარე ნაყოფს ისხამდა, ხოლო ფერადი კომბოსტო — ეს ჩვეულებრივი კომბოსტოა, რომელმაც უნივერსიტეტი დაამთავრა. **მარკ ტვენი.**

ჩემი ჭიქა დიდი არ არის, მაგრამ მე ვსვამ ჩემი ჭიქით, **მიუსე.**

მოდა — ბატონია. ვერასგზით მისგან თავს ვერ დაიხსნი. **პაგიონი.**

ქურდმა რომელსაც დაწყებითი განათლება არა აქვს მიღებული, შეიძლება მოიპაროს რამე სატვირთო ვაგონიდან, მაგრამ თუ მან უმაღლესი განათლება მიიღო, შეიძლება მოიპაროს მთელი რკინიგზა. **რუზველტი.**

მხოლოდ წყალი აქცევს გედს გედად. უწყლოდ გედი — ბატია. **[illegible]**

კატა, რომელიც ერთხელ დაჯდა ცხელ ქურაზე, მეორეჯერ მასზე აღარ დაჯდება. არც ცივ ქურაზე დაჯდება. **მარკ ტვენი.**

გამოცდილება — ეს ის სკოლაა, სადაც ადამიანი გაიგებს ხოლმე, თუ რაოდენ სულელი იყო ადრე. **ჰენრი შოუ.**

შემეცნება ჰგავს ზღვას: ის ვინც ნაპირზე ჭყუმპალაობს, უფრო მეტს ხმაურობს და საყოველთაო ყურადღებას იქცევს, ვიდრე ის, ვინც მარგალიტის ამოსაღებად ზღვის უფსკრულში ჩაეშვება. **ვაშინგტონ ირვინგი.**

ათასი სიკეთე მიერგოს იმას, ვინც ისწავლა თუ როგორ უნდა ისწავლოს. **მენანდრე.**

მათ არაფერი არ დაივიწყეს და ვერაფერი ვერ ისწავლეს. **ნაპოლეონი** (ნათქვამია ბურბონებზე).

შეიძლება ისწავლო მტრისაგანაც. **ოვიდიუსი.**

იოლი არ არის გზა მიწიდან ვარსკვლავებისაკენ. **სენეკა** (უმცროსი).

ჩექმა კაცს რა ადგილას უჭერს, თვითონ ყველაზე უკეთესად იცის. **სერვანტესი.**

ვისაც ჭკუის მასწავლებლად მარტო თავის თავი მიაჩნია და სხვას არაფერს უჯერებს, მას სულელი მასწავლებელი ჰყავს. **ფრანკლინი.**

მეტისმეტმა ცნობისმოყვარეობამ კაცს სამოთხე დააკარგვინა. **არფა ბენი.**

ცნობისმოყვარეობა ადამიანს აკვნიდან მოსდევს. **მოლიერი.**

თავხედობა — უმეცრების შვილია. **ბატლერი.**

ხელოვნება — ხალხების პირველი მასწავლებელი იყო. **ჰეგელი.**

ყველაზე დიდ ჰარმონიას მრავალფეროვნება ჰქმნის. **ჰერაკლიტე.**

შთაგონება — ტარანი არ არის, რომ დაამარილო და წლობით შენახული გქონდეს. **გოეთე.**

ნამდვილი ხელოვანი თავისი ქმნილების მომავალზე არ ზრუნავს. **როლანი.**

ჭკვიანი კაცი — ყველაზე კარგი ენციკლოპედიური ლექსიკონია. **გოეთე.**

ცოცხლებს კეთილად უნდა მოეპყრო, ხოლო მიცვალებულებზე მარტო სიმართლე უნდა ილაპარაკო. **ვოლტერი.**

უნდა გეშინოდეს არა სიკვდილისა, არამედ ცარიელი და უაზრო ცხოვრებისა. **ბრეხტი.**

გმირის სიკვდილი მზის ჩასვლასა ჰგავს. **მარქსი.**

ყველაფერი შეიძლება გამოასწორო ქვეყანაზე, გარდა სიკვდილისა. **სერვანტესი.**

სიკვდილი — ადვილი და იოლია, იცოცხლო — გაცილებით ძნელია. **ფოიხტვანგერი.**

ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, ფიქრობდე, რომ შენ არასოდეს შემცდარხარ. **კარლეილი.**

შეცდომის აღიარება დაგვიანებულია მაშინ, როცა გემი უკვე ჩაძირულია. **კლავდიანი.**

თუ ყველანი ცდებიან, მაშინ ყველანი მართალნი არიან. **ლაშოსე.**

ბნელ ღამეში შეიძლება კარგი მეზღვაურიც შეცდეს. **თომას ფულერი.**

არასოდეს წაქცეულა მარტო ის, ვისაც მწვერვალზე ასვლა არ უცდია. **ჰაუელი.**

მე მირჩევნია ვცდებოდე და პლატონთან ვიყო, ვიდრე მართალი ვიყო და პითაგორელებთან ვიმყოფებოდე. **ციცერონი.**

მთებში დაბადებულს როდის იყო, რომ მთისა ეშინოდა. **შილერი.**

მთაზე ჭიანჭველასაც კი ფრთა გამოესხმება. **სერვანტესი.**

ოცნება ქვეყნიერებას ინტერესსა და აზრს აძლევს. **ფლობერი.**

ვისაც ძაღლის ცემა უნდა, ჯოხსაც იპოვის. **ბეილი.**

ყველაზე სასაცილო სურვილი — ესაა სურვილი მოეწონო ყველას. **გოეთე.**

იმედი — ღარიბის პურია. **ჰერბერტი.**

ყველაზე დიდი სიამოვნება ის არის, ასიამოვნო სხვას. **ლაბრიუერი.**



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

თენგიზ პირველი

# სასწაულმოქმედი აპარატი

### იუმორისტული მოთხრობა

ადამიანებო, ადამიანების მიმართ იყავით ადამიანური ადამიანები.
ადამისა და ევას ჩანაწერებიდან.

ამჯერად თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებ ფეხბურთელებზე, არც მათ მაღალ ტექნიკასა და შემტევ სტილზე, არც „დინამოს“ სტადიონის მშენებლობის ესოდენ სწრაფ ტემპებზე; ახლა უფრო რთული თემა მაქვს აღებული: მინდა გესაუბროთ ფრიად ჩამაფიქრებელ პრობლემაზე და ერთხელ კიდევ შეგახსენოთ, რომ ადამიანები ყველგან ადამიანებად უნდა რჩებოდნენ.

იმ დღეს თბილისში ჩვეულებრივზე უფრო მეტად ცხელოდა. მწვანეში ჩაფლულ, წითლად შეღებილ ვეებერთელა შენობას აუარებელი ხალხი მოაწყდა. მანქანების ნაკადს ბოლო არ უჩანდა: სხვადასხვა ცენზის, ასაკის და პროფესიის ადამიანები ადგილის დასაკავებლად მიიჩქაროდნენ დარბაზისაკენ. იყო ერთი გამაოგნებელი ქოთქოთი, აზრთა და პროგნოზთა ურთიერთგაზიარება. არა, აქ ფეხბურთის მატჩი არ იყო დანიშნული, არც ათეისტურ თემას ეძღვნებოდა ლექცია და არც სიმფონიურ ორკესტრის მოსასმენად იყო ხალხი მოსული. ცხრაასადგილიან დარბაზში ტევა არ იყო; ამ დარბაზში შალიკო ქიბროწაშვილი, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, იცავდა დისერტაციას მეტად უჩვეულო და უცნაურ თემაზე.

კარგად მოგეხსენებათ, რა თავბრუდამხვევი სისწრაფით იწერება ჩვენში დისერტაციები, და რაკილა იწერება, ასევე სწრაფი ტემპით იცავენ მათ. ალბათ ისიც გეცოდინებათ, რაოდენ მრავალფეროვანია ამ დისერტაციების თემატიკა. არის, მაგალითად, ასეთი თემებიც: „მამლის ყივილის ჟღერადობის კადენციები“, „ირონიული ღიმილის გამომწვევი ვაკანტური რეფლექსები“, „ყლურწუნი, როგორც ლოგიკური კატეგორია ახალი მონაცემების შუქზე“, „ყალიონისა და თუთუნის ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის“ და კიდევ ვინ მოთვლის რაზე არ იწერება და რაზე არ იცავენ.

ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილ დისერტაციებს გარკვეული შედეგები მოაქვთ ხარისხის მაძიებელთა მატერიალური და ეკონომიური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვეულებრივ დაცვას, როგორც წესი, ესწრება ასი-ორასი კაცი: მაძიებლის ნაცნობ-მეგობრები, ახლო ნათესავები, მოტაშეები და სხვ.

შალიკოს დისერტაცია კი სულ სხვა იყო. მას ცხრაასი კაცი დაესწრო. დარბაზში გულთბილი ატმოსფერო სუფევდა. დისერტანტმა მღელვარე მზერა გაჩირაღდნებულ ჭაღს შეავლო, ერთ წუთს ჩაფიქრდა და მერე ხმამაღლა დაიწყო:

— პატივცემულო სამეცნიერო საბჭოვ! პატივცემულო საზოგადოებავ! ჩემი დისერტაციის თემას, კაცობრიობის ისტორიაში მოგეხსენებათ ჯერ არავინ შეხებია. მე პირველმა დავამუშავე საკითხი: „ანონიმური დამწერლობის პროფესიული დაოსტატების გამოვლინებანი და მათი ინდოქსიკაციური ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე“.

— ბატონებო! — ხმას აუწია დისერტანტმა, — „ანონიმოს“ საერთაშორისო სიტყვაა, ძველი ბერძნული ენიდან არის ნასესხები და ქართულად უსახელოს ნიშნავს, ჯერ ანალიზისა და შემდეგ სინთეზის წყალობით ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა შეიქმნას ანონიმის ჟანრის შემსწავლელი საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევითი ინსტიტუტი, სადაც შესწავლილი იქნება ამა თუ იმ შემოქმედთა მეთოდები. როგორც ვიცით, არსებობენ სადაბო, რაიონული, რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბის ცილისმწამებლები. ისინი ჩირქს სცხებენ პატიოსან ადამიანებს, არალეგალურად თხზავენ ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ლიტერატურას, რომელიც შემოწმებისა და კვლევა-ძიების შემდეგ, როგორც წესი, გადაიქცევა ხოლმე მაკულატურად. მომჩმახველთა და ცრუპენტელათა კატეგორია იყოფა სამ საფეხურად ანუ სამ თანრიგად: 1. გამოუცდელი, ანუ დამწყები ავტორები. ისინი მარჯვენა ხელით თხზავენ; 2. შედარებით უფრო გამოცდილები, წერენ მარცხენა ხელით; 3. მესამენი კი პროფესიონალები არიან, აწერინებენ ნდობით აღჭურვილ პირებს — ცოლებს, სიდედრებს, შვილებს და ვინ მოთვლის კიდევ ვის... არსებობენ აგრეთვე მე-4 თანრიგის ოსტატებიც: ესენი გახლავან ავტორები და თანაავტორები.

დისერტანტმა ზუსტად ხუთი საათი ილაპარაკა; მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ ანონიმური ჟანრის მჯალბნელები ყოველწლიურად ანადგურებენ ათობით ტონა ქაღალდს, უმოწყალოდ იკარგება დრო, უაზროდ იფლანგება მილიონობით კაცსაათი; სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, — ჰყვებოდა დისერტანტი, — რომ ეგრეთწოდებულმა ანონიმურმა ჟანრმა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მსოფლიოში ფართო გასაქანი ჰპოვა და ამ სენმა, გადმონაშთების სახით, ჩვენს ეპოქამდე მოაღწია. თუ რაოდენი დიდი ზიანი მიაყენა კაცობრიობას ამ ანტისაზოგადოებრივმა მიმდინარეობამ, ახლავე მოგახსენებთ:

უკანასკნელი დროის სტატისტიკური მონაცემებით, მარტო 1973 წლის პირველ და მეორე კვარტალში, მთელ მსოფლიოში, ანონიმური წერილების ავტორებმა თავიანთი ცილისმწამებლური ნაწარმოებების წყალობით დაანგრიეს 27 მილიონი ოჯახი, სიცოცხლეს გამოასალმეს 4.746.603 მოქალაქე, გულის ფრიალით, მიოკარდიით, წნევით, ინფარქტით და სხვა ავადმყოფობით დაავადდა 19.401.046 ადამიანი.

დიდი ლომბარტო ანჯელინო თავის საქვეყნოდ ცნობილ მემუარებში წერს: „შარლოტა ზიზი დღესაც ცოცხალი იქნებოდა, ლისაბონიდან საბედისწერო ანონიმური წერილი რომ არ მიეღო“. ბევრმა ისიც კი არ იცის, — გულისტკივილით ყვებოდა დისერტანტი, — რომ იოსებ მშვენიერმა, იაკობისა და რახილის ძემ, საკუთარი ხელით მოახრჩო თავისი სიდედრი. მიზეზი? მან შემთხვევით შეუსწრო სიდედრს, როცა იგი ბუდუარში ცილისმწამებლურ წერილს თხზავდა ყოვლად სათნო, უდანაშაულო ნეფერტიტზე. იქვე იდო კონვერტი, რომელზეც მისამართი ეწერა: „მის უდიდებულესობას ეგვიპტის ფარაონს ექნატონს, ამენხოტეპ მესამის ძეს“. ალბათ ისიც გეცოდინებათ, — ხმას აუწია დისერტანტმა, — რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეცხრე საუკუნის ბოლოს ჩანგისტანის იმპერიის ზვიადმა მბრძანებელმა აბუალი ფარაჯმა თავის სამეფოში ანონიმური წერილის ავტორი რომ ვერ აღმოაჩინა, დედაბუდიანად ამობუგა მთელი მიდამო, უდაბურ კუნძულზე გადაიხვეწა, ცალი ულვაში გაიპარსა, წვერი მოუშვა და მარტოობაში დალია სული.

სახელგანთქმული ალექსანდრე მაკედონელი კი სულ სხვაგვარად მოიქცა. ვიდრე აქემენიდების უზარმაზარ იმპერიას დაამხობდა, სწორედ გადამწყვეტი ბრძოლების წინ, მცირე აზიაში ყოფნის დროს, მდინარე კიდნოსის ცივ წყალში იბანავა და ავად გახდა. დაეხვივნენ ექიმები, მაგრამ როცა გასინჯეს, წამლის მიცემა ველარავინ გაბედა — ფიქრობდნენ ამ ავადმყოფობას ვერავითარი წამალი ვერ უშველის, მთავარსარდალი შეიძლება მოკვდეს და ჩვენ დაგვბრალდებაო. ალექსანდრე კი სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. მაშინ ერთმა ექიმმა — ფილიპე აქარნელმა, რომელსაც მთავარსარდალი ძლიერ უყვარდა, გაბედა და თქვა: — მე მოვარჩენო. მან წამალი მოამზადა და მთავარსარდალს ურჩია — მოთმინებით დალიე იგი, თუ გინდა ცოცხალი გადარჩეო.

სწორედ ამ დროს ალექსანდრემ ანონიმური წერილი მიიღო: ფრთხილად იყავ, შენმა მოსისხლე მტერმა, სპარსეთის მეფემ დარიოსმა შენი ექიმი მოისყიდა დიდი საჩუქრებით და თავისი ქალიშვილის მითხოვებასაც დაჰპირდა, თუ შენ წამლის ნაცვლად საწამლავს დაგალევინებს. ამიტომ ეგ წამალი არ დალიო და ექიმს დაუყოვნებლივ თავი მოჰკვეთეო.

პლუტარქე თავის მატიანეში აღნიშნავს, ეს წერილი, ალექსანდრეს ხელქვეითმა სარდალმა პარმენიონმა დაწერაო, არისტობულე და სენეკა სულ სხვა პიროვნებას ასახელებენ, ერთი სიტყვით, ანონიმური წერილის ავტორი თავის დროზე ვერ აღმოაჩინეს და ახლა, ორი ათას სამასი წლის შემდეგ როგორ მიაგნებ!

მაგრამ ვნახოთ რა მოჰყვა ამ ამბავს: ალექსანდრე მაკედონელმა ანონიმური წერილი წაიკითხა, არც ერთ თავის მეგობარს არ უჩვენა და ბალიშის ქვეშ ამოიდო.

დანიშნულ დროს, როცა ექიმს წამალი უნდა მოეტანა, მთავარსარდალმა თავის მეგობრებს დაუძახა. ამ დროს ექიმიც გამოჩნდა, არხეინად მოაქვს წამლით სავსე ფიალა. ალექსანდრემ ფიალა ჩამოართვა, თანაც ანონიმური წერილი მიაწოდა წაიკითხეო. საკვირველი და ამაღელვებელი სანახაობა იყო: ექიმი წერილს კითხულობდა, მთავარსარდალი წამალს სვამდა! ერთ დროს დაამთავრეს, ერთმა — კითხვა და მეორემ — წამლის სმა, დაამთავრეს და შეხედეს ერთიმეორეს. ალექსანდრე მაკედონელს მხიარული და გაბრწყინებული სახე ჰქონდა. ექიმს ნდობისა და სიყვარულის თვალით უცქეროდა; ექიმი კი, ცილისწამებით აღშფოთებული და თავზარდაცემული, კანკალებდა, მუხლებზე დამხობილიყო და ზეცისაკენ ხელაპყრობილი ღმერთებს ევედრებოდა — ცილისმწამებელი დასაჯეო.

ალექსანდრემ წამოაყენა და უთხრა: ნუ გეშინია, ჩვენს მეგობრობას, სიყვარულსა და ურთიერთნდობას ცილისწამების შხამი ვერ მოერევაო.

— ძვირფასო კოლეგებო, — განაგრძობდა დისერტანტი, — სულ რაღაც ამ ორიოდე კვირის წინ ინგლისიდან ბანდეროლით მივიღე ჩემი კოლეგა მისტერ ნევილ ჰობჰაუზის გულისამჩუყებელი ბარათი, — მან ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო, ხელის კანკალით ბარათი გაშალა და მთრთოლვარე ხმით კითხვა დაიწყო: — მისტერ შალიკო, მინდა გაუწყოთ სენსაციური ამბავი: იტალიელმა არქეოლოგებმა ამ ხუთი წლის წინ, ეგვიპტეში, რამზეს დიდის პირამიდის მახლობლად აღმოაჩინეს გაურკვეველი ეროვნებისა და პროფესიის 27 წლის მამაკაცის მუმია, რომელსაც თავისქალა ჩამტვრეული ჰქონდა, ხოლო ხელში პაპირუსის ქაღალდი ეჭირა. ქაღალდი უცნაური ნახატებით იყო აჭრელებული. და აი, ხუთი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ ეს პაპირუსი გაშიფრულია. აი რა სწერია მასზე (დარბაზი უკიდურესობამდე დაიძაბა, დისერტანტმა მწარედ ამოიგმინა, ფარული მზერა შეავლო სამარისებური სიჩუმით მოცულ აუდიტორიას და სევდიანი ხმით დაიწყო წერილის კითხვა): — მე ანონიმური წერილის უდანაშაულო მსხვერპლი ვარ. დაიწვას, დაიდაგოს და დაიფერფლოს მისი სხეული, ვინც დღეიდან ხელში აიღოს საწერ-კალამი და პატიოსან ადამიანზე ცილისმწამებლური წერილი დაწეროს. დალახვროს ეშმაკმა მისი ბოროტი სული, შერისხოს მამაზეციერმა ყველა ჯურის ნილაბაფარებული მჯლაბნელი, დაევსოს მას თვალები, დაეყაროს გულზე მიწა“...

# ლიტვური იუმორი

## ლეინას კიაულეიკისი

### სწავლა სიბერემდეო

მისალები გამოცდების წინა დღეებში მამალმა განცხადება შეიტანა კონსერვატორიაში, ვოკალურ ფაკულტეტზე.

— რაღად გინდა რომ ისწავლო, — უთხრა ბულბულმა, — შენ ისედაც მშვენივრად მღერი...

—ეგ მეც კარგად ვიცი, — მიუგო მამალმა, — მაგრამ ცოლი სახლში აღარ მიშვებს, უდიპლომოდ აღარ დამენახვოო!

### კატა და ლიფსიტა

კატა ნაპირზე იჯდა და წყალში იცქირებოდა. მოცურდა ნაპირთან ლიფსიტა და ჰკითხა:

— რაო, ფისუნი, მოგშივდა, ნერწყვი მოგდის?

— არა, — უპასუხა კატამ, — ისე, მზეზე ვნებივრობ. მე ახლა კარგ პენსიას ვღებულობ და მარტო წითელ თევზსა ვჭამ.

— უყურე შენ, — გაუკვირდა ლიფსიტას, — მაშ ჩემისთანები სულ აღარ გაინტერესებს?

— შენ ვისი გვარისა ხარ, რომ არ ვიცი, მიჩვენე კუდი, იმაზე შეგატყობ...

— პენსია პენსიად იყოს, — ამოიოხრა კატამ, როცა ლიფსიტა შესანსლა, — მაგრამ ხელობას ვერ ვუღალატებ...

### კონცერტის შემდეგ

ბულბული ტყიდან ქალაქში მიიწვიეს და ფილარმონიის დარბაზში შემოქმედებითი საღამო მოუწყეს. მისი გამოსვლის შემდეგ დაიწყო ბულბულის შემოქმედების განხილვა. ქათამმა თავი გადაიქნია, ყელი ჩაიწმინდა და თქვა:

— იცით, რა, ძვირფასო კოლეგებო! სენტიმენტალური მუსიკა ახლა მოდაში აღარ არის. უნდა მოვძებნოთ ახალი ფორმები. აი, მაგალითად, ძაღლის ყეფას და ცხენის ფრუტუნს ადრე ყურადღებას არავის აქცევდა... ახლა კი ჯაზური ანსამბლი უმისოდ წარმოუდგენელია.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ მე ხომ ცხოველებისათვის არ ვმღერი, — უპასუხა ბულბულმა.

თარგმნა **დ. სეფიაშვილმა.**

# ბინები და პატრონები

იგავი

ჭალის სიღრმეში მოჩანდა,
მთა-კლდე, ვით ზღვაში კუნძული,
იქ გამოქვაბულს სტოვებდა —
დათვი ბუზღუნით, ძუნძულით...
ამბობდა: — აქ სად ვცხოვრობდი,
სიმყრალე იყო საზარი,
ახალი ბინის საძებრად
დათვმა მოთელა მთა-ბარი;
კვლავ ნახა გამოქვაბული,
ქვა-ღორღი მისწი-მოსწია,
და საცხოვრებლად ძუნძულამ
ბინა გამართა კოპწია.
არ მოეწონა არც იქ და
კვლავ საძებნელად წავიდა,
ერთში დისშვილი დასტოვა,
მეორეში კი მამიდა.
ჩასახლდა ახალ ბუნაგში,
ერთი ღრმა ხევის ნაპირას
და აქაც დაჰყო ძუნძულამ
მხოლოდ ერთ თვეს და სამ კვირას.
მერე კი ისევ აკრიფა
თავისი გუდა-ნაბადი,
და თქვა — აქ უფრო მეტად ყარს
ხევიც და წყაროს ნაკადიც.
ჩასახლდა კიდევ ერთ ალაგს,
ჰფარავდნენ ხე და ბუჩქები,
აითვალწუნა ეს ბინაც
გადმოაბრუნა ტუჩები.
— მყრალი სუნი აქვს ხე-ბუჩქებს,
აქაც ცხოვრება მიჭირსო,
ორბმა დასძახა ზევიდან:
— დათვო, მე შენი მიკვირსო:
ადგილმა რა ჰქნას, თუ თვითონ
ტანი და პირი გიყარსო,
თუ სუნი ასე გაწუხებს —
აბანო რათ არ გიყვარსო?!

**ზაალ გახუტიშვილი**

# მინიატურები

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

— მეგობარო, თქვენი ტაქსი მცხეთამდის რას დაწერს?

— პროზაში გაინტერესებთ თუ პოეზიაში?

* * *

— პატივცემულო დირექტორო, რაც ჩვენთან მუშაობთ, ზედმიწევნით გულწრფელი გახდით.

— ეს როგორ შეამჩნიეთ?

— ხშირად ბრძანებთ ხოლმე — გააკეთეთ, მე მეტი არაფერი ვიციო.

* * *

— აჰ, ღვინოს ვერ დავლევ, თირკმელები მტკივა.

— რა დროს შენი თირკმელების ტკივილია, ბიძიკო!

— მატარებელში ზედა საწოლიდან გადმოვვარდი!

— მაღლა წოლა თუ არ შეგეძლო, ბიძიკო, გაგეცვალა ვისთვისმე შენი ადგილი!

— ვისთვის გამეცვალა, კუპეში რომ ჩემს მეტი არავინ იყო?

* * *

— რა ჭკვიანი გოგონაა ჩვენი მარინე. ჯერ თითისხელაა, მაგრამ თავის ნახატებს გადასარევად ამსგავსებს აბსტრაქციონისტების ნამუშევრებს.

* * *

— ყველა დასასვენებლად მიდიხართ, მე კი ამ თბილისის ქუჩებს წლიდან წლამდე ეგრე ვტკეპნი.

— შენც წადი, შვებულებაზე უარს ვინ გეტყვის?

—ვა, რომ არ ვმუშაობ?

* * *

ვარიკებმა თქვეს: რევიზორთა ყოველ გამოჩენაზე ჩვენი ხელმძღვანელების ცოდვით ვიწვებით და ვიხრაკებითო.

ღვინომ დაუმატა: მეც მათი შიშით ვილევიო.

არყის კასრმა მიუგო: მათმა წანწალმა გული გამიწყალაო.

დარბაზში უეცრად ბრახუნი მოისმა, დისერტანტმა სიტყვა შეწყვიტა, თავი ასწია და დაინახა, რომ რამდენიმე მოქალაქე მოცელილივით გაშხლართული იყო იატაკზე. როგორც კი გულწასულები გარეთ გაიყვანეს და დარბაზში ჩოჩქოლი შეწყდა, დისერტანტმა ჯიბიდან მომცრო კოლოფი ამოიღო, მრავლისმთქმელად გაიღიმა და სევდიანი ხმით წარმოთქვა:

— ამ ანტიმაგნიტურ ელექტროდინამიკური აპარატის შესაქმნელად ზუსტად ათი წელი ვიმუშავე. იგი სამას გრამს იწონის, პორტატულია და 35 ათასი დეტალისაგან შედგება. საკმარისია აპარატის ქვედა ღრმულზე დამაგრებული შტეფსელი დენის წყაროზე შევაერთო, რომ აპარატში მოთავსებული მრავალსაფეხურიანი ანტიმაგნიტური დინამიკები ვიბრაციას დაიწყებენ და თანამიმდევრულად, უშეცდომოდ, ხმამაღლა დაასახელებენ ანონიმური წერილების ავტორებს და მათ თანაავტორებს. საბედნიეროდ, აქვე მინდა დავსძინო, რომ ჩვენში აღარ არსებობენ ცილისმწამებლები და ამ აპარატის ლიცენზიებს ალბათ უცხო სახელმწიფოები შეისყიდიან.

— პატივცემულო კოლეგებო! ისე, ყოველ შემთხვევისათვის, თუ გნებავთ, ხათრს არ გაგიტეხავთ და ახლავე ჩავრთავ ამ აპარატს, — ისე, სხვათაშორის, წარმოთქვა დისერტანტმა და დარბაზში მსხდომთ გახედა. „რა საჭიროა“, — გაისმა დარბაზში აღელვებული შეძახილები, „დღეს სადღა არიან ანონიმური წერილების ავტორები“, იძახდნენ აქეთ-იქიდან. „როგორ არ არიან, არიან, ჩართეთ აპარატი, მოგვასმენინეთ“, ისმოდა საწინააღმდეგო შეძახილებიც. დისერტანტი წამით ჩაფიქრდა, დარბაზში გაიარ-გამოიარა და ელექტროჩამრთველისაკენ გაეშურა. დარბაზი უკიდურესობამდე დაიძაბა, ის იყო შალიკოს შტეფსელი უნდა ჩაერთო, რომ ამ დროს მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: დარბაზში სინათლე გამორთეს, ირგვლივ სიბნელემ დაისადგურა. რამდენიმე კაცმა დრო იხელთა, კარი ხმაურით გამოაღო; გაისმა აურზაური, კივილ-წივილი, სკამების ჭრიალი, ფეხების ბრაგუნი, მაგრამ ეს ქაოსი დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე ჭაღი აკაშკაშდა. დარბაზი ბრძოლის ველს დამსგავსებოდა, აქეთ-იქიდან ისმოდა იატაკზე გადათელილთა გმინვა. დარბაზიდან უკვალოდ გამქრალიყო რამდენიმე კაცი, მათ შორის ორი ოპონენტი; შალიკომ მწარედ გადაიქნია თავი და აპარატი აღარ ჩაურთავს. სამეცნიერო საბჭომ საერთო ტაშის გრიალში დისერტანტს კანდიდატის ნაცვლად ერთხმად მიანიჭა დოქტორის ხარისხი.

ხალხი ჟრიამულით დაიშალა. იატაკზე ეყარა დამტვრეული ფანქრები, ავტოკალმები და ფარულად დახეული ანონიმური წერილების ნაგლეჯები.

— ცოტა ხანს მათხოვე ეგ სკამი, საქმე არაფერი მაქვს.

ნახატი ა. ერაძისა.



# მოზაიკა



## ვინ მოიგო თამაში

ქალაქ კანდორას (ჰონდურასი) ციხეში გამომწყვდეული გამოუსწორებელი დამნაშავე მანუელ მიგუეცი ჭადრაკის თავგამოდებული ტრფიალია. მანუელმა ჭადრაკის თამაში არა მარტო პატიმრებს, არამედ ციხის ზედამხედველებსა და დარაჯებსაც შეასწავლა.

ერთხელ, მანუელ მიგუეცის წინადადებით, ციხეში მოეწყო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ პატიმრებისა და ციხის მომსახურე პერსონალის ნაკრები გუნდები.

გამარჯვება ციხის მომსახურე პერსონალს დარჩა. მაგრამ ეს იყო პიროსის გამარჯვება! ტურნირის შემდეგ გამოირკვა, რომ ვიდრე საკნებში გააფთრებული ორთაბრძოლა მიმდინარეობდა, ციხიდან თორმეტი პატიმარი გაიპარა.

რა თქმა უნდა, გაპარულთა შორის იყო ტურნირის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი მანუელ მიგუეცი.

## პატიმრობა ხვრინვისათვის

ქალაქ კელნის მკვიდრს ჰანს ბაუერს მთელი ცხოვრება გაუმწარდა იმის გამო, რომ იგი ძილში უსაშველოდ ხმამაღლა ხვრინავდა. ჯერ იყო და, ბაუერს საყვარელი მეუღლე გაექცა შინიდან: ძილდამფრთხალმა ქალმა ველარ გაუძლო ღამეების თეთრად თენებას. შემდეგ ბაუერი იძულებული გახდა რამდენჯერმე გამოეცვალა საცხოვრებელი ადგილი. მეზობლებმა უჩივლეს, ღამე ძილს გვიფრთხობსო.

ბოლოს, სასოწარკვეთილმა ბაუერმა გადაწყვიტა, ეზოში გაჩერებულ ავტომობილში გაეთენებინა ღამე. არც ამან გაჭრა. პოლიციამ, იმავე მეზობლების დასმენით, ბაუერი რამდენჯერმე წამოაგდო ფეხზე და საპატიმროში წაიყვანა.

და აი აქ, პოლიციის მიწისქვეშა კამერაში, ბაუერმა სანატრელი ნავსაყუდელი ჰპოვა. მისი გოლიათური ხვრინვა ბეტონის სქელ კედლებს იქით აღარავის აღარ უშლიდა ხელს და უძილობით განაწამებ ბაუერს, რამდენიც სურდა, იმდენი ეძინა საკანში.



## ჭადრაკი წყალქვეშ

როგორც დასავლეთგერმანული ჟურნალი „ქუიკი“ იუწყება, სიდნეიში (ავსტრალია) ჭადრაკის ისტორიაში პირველად მოეწყო წყალქვეშა მსოფლიო პირველობა. ამ შეჯიბრში თვრამეტმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. ჩემპიონი გახდა ავსტრალიელი უორენ ლიუისი.

ჩემპიონატის ზოგიერთი მონაწილის აზრით, „წყალქვეშა ტურნირი“ იმით არის კარგი, რომ მოჭადრაკეები იძულებულნი არიან სწრაფად იაზროვნონ. სპორტსმენებს წყალქვეშ სათამაშოდ, მხოლოდ ერთი საათის ჟანგბადის მარაგი ეძლევათ.



## საკუთარი მანქანის გამტაცებლები

ელექტროგამომთვლელი მანქანა ბევრ სასწაულს ახდენს. სხვათა შორის, მას ახლა კრიმინალისტებიც იყენებენ. და აი, მოხდა უცნაური ამბავი — ცოლ-ქმარი ჯერრი და ბარბარა ფლორენსები ციხეში მოხვდნენ, როგორც საკუთარი ავტომანქანის გამტაცებლები. ეს ამბავი ნიუიორკის გარეუბანში მოხდა. საქმე ასე იყო: მანქანა ფლორენსებმა ნამდვილად დაკარგეს, პოლიციამ საქმე „გამოსარკვევად“ გადასცა ელექტროგამომთვლელ მანქანას; მაგრამ ვიდრე ის „ძიებას“ დაამთავრებდა, ფლორენსებმა მანქანა იპოვეს. მერე სამოგზაუროდ წავიდნენ თავიანთი მანქანით. და აი, პოლიციამ ისინი შუა გზიდან მოაბრუნა და ციხეში ამოაყოფინა თავი. ელექტროგამომთვლელმა მანქანამ ავტომობილი იპოვა, მაგრამ პატრონები, ცხადია, ვერ იცნო.

## დაუმთავრებელი მატჩი

ესპანეთის საფეხბურთო გუნდების „დოლარ სან ისიდროსა“ და „ოლიმპიკო კარანტეს“ მატჩის დროს, ორივე გუნდის მოთამაშეებმა დიდი აყალმაყალი ატეხეს. ისინი გარს შემოეხვივნენ გაოგნებულ მსაჯს და მუშტების ქნევით უწმაწური ლანძღვა-გინება დაუწყეს.

მსაჯმა რამდენჯერმე სცადა დაეშოშმინებინა ფეხბურთელები, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდა. მოთმინებიდან გამოსულმა მსაჯმა უკიდურეს ზომას მიმართა, თავისი ძალაუფლება გამოიყენა და მინდვრიდან, ერთმანეთის მიყოლებით, ზედიზედ გააძევა ოცდაერთი ფეხბურთელი.

ხოლო მაშინ, როცა უკანასკნელმა ოცდამეორე ფეხბურთელმა მამის



სული შეუკურთხა მსაჯს, არბიტრმა თავხედი სპორტსმენი მინდვრიდან გააძევა და თვითონაც ამაყად თავაწეულმა დატოვა მწვანე სარბიელი.

ფეხბურთის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ორივე გუნდის ყველა მოთამაშე გაძევებულ იქნა მოედნიდან.

## როგორც იქნა, დააჯერეს

კოსმოსური ხომალდის აფრენის დროს, კენედის კონცხზე მიწვეულ სტუმართა შორის იყო ქალაქ ბარტოუს (ფლორიდას შტატი) მკვიდრი, 180 წლის ჩარლზ სმიტი. მოხუცი იმიტომ მიიწვიეს კონცხზე, რომ არ სჯეროდა ადამიანების მთვარეზე აფრენა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ცნობა მთვარეზე კოსმონავტების გადასხდომის შესახებ, ჟურნალისტთა მონაჭორია და მეტი არაფერიო.

ასეთი ურწმუნონი ამერიკაში ცოტანი როდი არიან. ამას წინათ, ჩიკაგოს ორმა გაზეთმა გამოკითხვა მოუწყო ქალაქ შარლოტის (ჩრდილოეთ კაროლინას შტატი) მცხოვრებლებს. გამოკითხულთა 17 პროცენტმა განაცხადა, რომ მთვარეზე ადამიანების აფრენა, მათი ღრმა რწმენით, მხოლოდ და მხოლოდ „ჰოლივუდის მორიგი ტრიუკია“.


გარეკანის პირველ გვერდზე: ვაჟა-ფშაველას ძეგლი თბილისში. ფოტო თ. არჩვაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცკ გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/VII-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VII-73 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2,5. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 3,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 55.300. შეკვ. № 2288. უე 11578.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ეროვნული ბიბლიოთეკა

წყურვილი

ფოტო ზ. დათუაშვილისა



მთაწმინდაზე

ფოტო ო. თურქიასი და ბ. დადვაძისა.

რუსთაველის პროსპექტზე.



ИНДЕКС 76056